პოლიტიკური დეჭავუ A3

ბინ ლადენი ახალ განცხადებას ავრცელებს A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 17 თებერვალი, 2003 წელი. №46 (258) ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

არსებობს თუ არა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების საიდუმლო გეგმა?

ასეთი გეგმის არსებობაზე მოსკოვის პოლიტიკური წრეები უმალ აკეთებენ ხოლმე მინიშნებებს, როგორც კი საქართველოს წარმომადგენლები მოსკოვში აღმოჩნდებიან.

A2

პოლიტიკა

ჭორბენაძის ვიზიტის ერთადერთი „შედეგი„

გუშინ ენგურზე ბოლო ერთი კვირის განმავლობაში პირველად გამოიდარა. დევნილები ამბობენ, რომ მათ ბედი ამინდშიც არ სწყალობთ, გუშინდელ დარს კი სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის ერთადერთ "დამსახურებად" მიიჩნევენ.

A2

უცხოეთი

ერაყის თავდაცვის საიდუმლო გეგმა

აშშ-ს სადაზვერვო უწყებები დარწმუნებულნი არიან, რომ ომის დაწყებისთანავე, ერაყი "სკადის" ტიპის რაკეტებით შეტევას განახორციელებს ისრაელის წინააღმდეგ.

A5

საზოგადოება

უნამუსოდ იყიდება ძველი თბილისი

თბილისის უნამუსოდ გაყიდვის პროცესი, რომელიც შევარდნაძის მიერ სსრკ-ს დაშლისა და საქართველოში ე.წ. დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დაიწყო, შესაშური წარმატებით მიმდინარეობს და დღითი-დღე იკრებს ტემპს.

A6

თვალსაზრისი

"მე ტფილისი მიყვარს..."

რამდენიმე წლის წინ ინგლისელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრებმა - მაკმანამანმა და შირერმა, თბილისში სტუმრობისას, ინტერვიუში (რომელიც ქართულ გაზეთებშიც დაიბეჭდა) აღნიშნეს - ასეთი უსახური, ბნელი და ბინძური ქალაქი არსად გვინახავსო (გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთელები მუდმივად მოგზაურობენ და უამრავი ქალაქი აქვთ ნანახი). მახსოვს, როგორ აღვშფოთდით ამასთან დაკავშირებით და მათი დედები სხვადასხვა ბრუნვაში მოვიხსენიეთ.

A8

ამინდი

თბილისი	6
ქუთაისი	7
ბათუმი	6
სოხუმი	4
ფოთი	6
თელავი	3
ზუგდიდი	6
გორი	1
ახმეტა	3
ჭიათურა	3
გაგრა	4
სამტრედია	6

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1870
ევრო	2.3674
გირვანქა სტერლინგი	3.5366
რუბლი	0.0691

„ალ ჰუსეინებისგან" საქართველო აბსოლუტურად დაუცველია

მოდერნიზებულ "სკადებს" ნინოწმინდის რაიონამდე შეუძლია მოღწევა

ზაზა წულაძე

იმ ქვეყნებს შორის, რომლებზეც ერაყის არმიის არსენალში არსებული ყველაზე დამანგრეველი იარაღის - "ალ ჰუსეინის" ტიპის რაკეტების მოქმედების რადიუსი ვრცელდება, საქართველოც შედის. გავლენიანი ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის, სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, მოდერნიზებულ "სკად-ბ"-ს (იგივე "ალ ჰუსეინს") სომხეთის მოსაზღვრე, ნინოწმინდის რაიონამდე შეუძლია მოღწევა. ზოგიერთი დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ "ალ ჰუსეინის" დაფარვის არეალში, სამხრეთ საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებიც შეიძლება მოხვდნენ. თუ ამ საკითხზე კამათი დღემდე გრძელდება, უფრო მნიშვნელოვან საკითხში ყველა ექსპერტი ერთ აზრზეა – ამერიკის შეერთებული შტატების საიმედო მოკავშირე და ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრი საქართველო, ერაყის შესაძლო საჰაერო აგრესიის შემთხვევაში, აბსოლუტურად დაუცველია.



წყარო: სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტი, სამხედრო ბალანსი 1997-98, ჯეინის სტრატეგიული შეიარაღების სისტემები

ლონდონის სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკვლევით, ერაყის არმიას, "ალ ჰუსეინების" გამოყენებით, შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ცამეტ ქვეყანას - ისრაელს, თურქეთს, კვიპროსს, ირანს, კუვეიტს, იორდანიას, სირიას, საუდის არაბეთს, ბახრეინს, ყატარს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და ნაწილობრივ, საქართველოს. ერაყში ომის დაწყების შემთხვევაში, ამ სიიდან ავტომატურად ვარდება სამი ქვეყანა - ირანი, სირია და სომხეთი. ირანი და სირია ოფიციალურად არ უჭერენ მხარს აშშ-სა და მოკავშირეების სამხედრო ოპერაციას ერაყის წინააღმდეგ. ამერკავკასიაში რუსეთის ერთადერთი პარტნიორი სომხეთი კი, რომელსაც ბაღდადთან დიპლომატიური ურთიერთობაც აქვს, დღემდე მკაცრ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ედუარდ შევარდნაძე: "ცოტაც მოვიცადოთ და აშშ მოიცლის აფხაზეთისთვის"

საქართველოს პრეზიდენტი სამშვიდობოებს მანდატს უგრძელებს!

თამარ ხორბალაძე

- "უნდა გაგვიგოთ... ცოტა კიდევ უნდა მოითმინოთ. მე სპეციალურად გამოვაქვეყნე აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილი, რომელშიც იგი ამბობს, ცოტა გვაცალეთო და აშშ მოიცლის აფხაზეთისთვის..." - ამ იმედით საქართველოს პრეზიდენტმა შაბათს საქართველოს მოსახლეობას, საპროტესტო აქციების მონაწილეებს, სამშვიდობო ძალებზე თავდასხმების ორგანიზატორებს მოცდა სთხოვა.

ჯორჯ ბუშის სახელის ხსენება საქართველოს პრეზიდენტს იმ გადაწყვეტილების გასამართლებლად დასჭირდა, რომლის მიღებაზეც, თითქოსდა, კატეგორიულად ამბობდა უარს ბოლო თვეების განმავლობაში და რის შედეგადაც რუს სამშვიდობოებს აფხაზეთის კონფლიქტის ტერიტორიაზე "მშვიდობის შენარჩუნების" მანდატი კიდევ ხუთი თვით უნდა გაუგრძელდეთ.

"ჩემი ინფორმაციით, ჟენევაში მეგობარი ქვეყნები მიიღებენ მიმართვას საქართველოს სახელზე, რომელშიც გვთხოვენ, გავუგრძელოთ მანდატი სამშვიდობო ძალებს..." - გაიმყარა პოზიცია საქართველოს პრეზიდენტმა.

ამ გამოსვლას წინ უძღოდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ: **"აშშ მოუწოდებს აფხაზეთის კონფლიქტის მხარეებს, მიიღონ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ შედგენილი დოკუმენტი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ და დიალოგი ამ დოკუმენტზე დაყრდნობით წარმართონ.**

ამავე დროს, აშშ-სთვის სრულიად გასაგებია საქართველოს მთავრობის შეშფოთება რუსეთის ისეთი ცალმხრივი ქმედებების გამო, როგორიცაა სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ჰააგის ტრიბუნალმა, შესაძლოა, აფხაზეთის საქმე განსახილველად არ მიიღოს

ჰააგის ახლადშექმნილი საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლო პირველ საქმეზე მუშაობას იწყებს. სასამართლოს სამდივნო თანახმაა, ჩაიბაროს აფხაზეთის საქმე. თუმცა, მანამდე მთელი რიგი პროცესუალური საკითხებია მოსაგვარებელი. აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი პაატა დავითაია, რომელიც ტელეფონით ესაუბრა სასამართლოს სამდივნოს წარმომადგენელს, ჰააგის ტრიბუნალს ერთ კვირაში ეწვევა და საერთაშორისო სასამართლოს სამდივნოს აფხაზეთში ქართველთა გენოციდის დამადასტურებელ მასალებს ჩაუტანს.

ინგა ალავიძე

მასალების გაცნობის შემდეგ საერთაშორისო სასამართლოს სპეციალური ჯგუფი იმსჯელებს, მიიღონ თუ არა წარმოებაში აფხაზეთის საქმე. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოში გამოძიების ჩასატარებლად ჰააგიდან პროკურორი და სპეციალური ჯგუფი ჩამოვა. საქმის განხილვა, სავარაუდოდ, წლის ბოლოს დაიწყება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო სასამართლო მომჩივანი ქართული მხარის მასალებს საკმარის მტკიცებულებად ჩათვლის.

გაგრძელება A7 გვერდზე

რუსეთს "მართვად დემოკრატიას" უწოდებენ

მაგრამ იგი არც დემოკრატიაა და, მით უმეტეს, არც მართვადი

გთავაზობთ ინტერვიუს რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნესთან, დონალდ იენსენთან, რომელიც მას "ვაშინგტონ პროფაილმა" ჩამოართვა.

- რამდენად შეიცვალა დასავლეთის დამოკიდებულება პუტინის მიმართ?

- სამი წლის წინ, როდესაც პუტინი პირველად გამოჩნდა საერთაშორისო არენაზე, მასთან ერთად გაჩნდა კითხვაც: "ვინ არის ბატონი პუტინი?". ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, პირველ რიგში, მისი ბიოგრაფიის დეტალების დაზუსტებით ცდილობდნენ. თანდათანობით, დასავლეთში ჩამოყალიბდა პუტინის მიმართ დამოკიდებულება და ხსენებულმა კითხვამ აქტუალობა დაკარგა. თავიდან, ბევრს ეშინოდა, რომ პუტინი დიქტატორი იქნებოდა, რადგან იგი ყოფილი "ჩეკისტი" იყო და თანაც, ხელისუფლების ცენტრალიზაციას ცდილობდა. მოგვიანებით, ეს შეხედულება შეიცვალა ახლით, რომელსაც დღეს მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა იზიარებს. ამ ახალი მოსაზრების თანახმად, პუტინი ის კაცია, ვისთანაც საქმის დაჭერა შეიძლება, იგი რეფორმატორია და ა.შ. ამის შესახებ "ნიუ-იორკ ტაიმსსა" თუ "ვაშინგტონ პოსტში" თითქმის ყოველდღე წაიკითხავთ.

გაგრძელება A5 გვერდზე

დემირჭიანის პოპულარობა პიკს აღწევს

რევაზ ბახტაძე

ერევნიდან

"მე დარწმუნებული ვარ, რომ 19 თებერვალს ხალხი გაიმარჯვებს, - განაცხადა გუშინ ერევანში გამართულ შეხვედრაზე დემირჭიანმა, - ამის შემდეგ ჩვენ საქმეს მივუბრუნდებით და ამ ენთუზიაზმს ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ მივმართავთ".

სიცივის მიუხედავად, კვირადღეს სომხეთის საპრეზიდენტო კანდიდატის სტეპან დემირჭიანის შესახვედრად ერევანში ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. სახალხო პარტიის ლიდერს ამომრჩევლები პლაკატებით, სიმღერებითა და ტაშით შეეგებნენ.

სტეპან დემირჭიანი და მისი მოკავშირე ოპოზიციონერი ლიდერები, პრაქტიკულად, დარწმუნებულები არიან თავიანთ გამარჯვებაში. უკანასკნელი დღეების განმავლობაში გამართულ შეხვედრებზე, ერევანსა და სომხეთის რეგიონებში, ათასობით ადამიანი იყრის თავს.

"რეჟიმი მკვდარია, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმარხავი. დაკრძალვა 19 თებერვალს გაიმართება", - აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა შავარშ კოჩარიანმა დემირჭიანის მიერ მოწყობილ მიტინგზე გამოსვლისას.

სოფლის მცხოვრებთა მიერ სტეპან დემირჭიანის პატივსაცემად ცხვრების მასობრივი დაკვლა პოპულარული პოლიტიკოსის წინასაარჩევნო

გაგრძელება A2 გვერდზე

მომავალ "ბერლინალემდე"

სტივენ დალდრი კიდმანის, სტრიპისა და მურის დათვებით თამაშობს.

REUTERS

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

ჯორბენაძის ვიზიტის ერთადერთი „შედეგი"

სოფო ბუკია

ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მოიცალა და ენგურის ხიდზე ორი თვის წინ დაწყებულ დევნილთა აქციას საკუთარი ყურადღება აღირსა. სიტუაციის განსამუხტავად და აქციის მონაწილეთა მოსანახულებლად გუშინ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მიავლინეს. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ მისიას ჯორბენაძეზე უკეთ აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი გაართმევდა თავს.

შეხვედრა ენგურის ხიდზე შედგა და ოთხსაათიანი ხანგრძლივობის მიუხედავად, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევენ თავად დევნილები, რომლებიც გუშინ კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ხელისუფლების უსუსურობაში.

დევნილთა ძირითად მოთხოვნად ისევ აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა რჩება. ამ მოთხოვნის საპასუხოდ სამეგრელოში საგანგებოდ ჩასული სახელმწიფო მინისტრის ერთადერთი არგუმენტი აშშ-ის რეკომენდაცია აღმოჩნდა. ჯორბენაძემ დევნილებს საკუთარი აღშფოთების ხუთი თვით გადავადება ურჩია, რადგან ამერიკის დავალებით საქართველომ სწორედ ამ დროით უნდა გაუგრძელოს მანდატი რუს სამშვიდობოებს. მან დევნილებს ახარა, რომ ხუთი თვის შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე თავად აშშ იზრუნებს.

"ჩვენ მხოლოდ ვისაუბრეთ, არავითარი შეთანხმება არ მომხდარა. ასეთი დანაპირები მილიონი გვახსოვს, დროის გაწელვა ხელისუფლების მოგონილია, ათი წელია უკვე, ამ საქმით არიან დაკავებულები. ჩვენ პირდაპირ გამოვუცხადეთ ბატონ ჯორბენაძეს, რომ არც ხელისუფლების გვჯერა და არც კონკრეტულად სახელმწიფო მინისტრის," – ამბობს "24 საათთან" საუბარში დევნილთა შტაბის ხელმძღვანელი ვახტანგ გამსახურდია.

ამ უნდობლობის მორევში ერთადერთი გამოსავალი აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი აღმოჩნდა. ჯორბენაძის სიტყვების გადამოწმება დევნილებს აუცილებლად მიაჩნიათ და საამისოდ ისინი სწორედ ამერიკის საელჩოს მიმართავენ.

ოთხშაბათს დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლები დედაქალაქში ჩამოსვლას და მაილსთან შეხვედრას გეგმავენ.

"ჩვენ შევხვდებით ელჩს და გავიგებთ, დაგვეხმარება თუ არა ამერიკა სინამდვილეში. სახელმწიფო მინისტრის დანაპირებს ვერ ვენდობით. ჩვენ კარგად ვიცით მაილსის პიროვნებისა და აშშ-ის საელჩოს წონა, ამიტომ მხოლოდ ელჩისგან უნდა შევიტყოთ ყველაფერი," – აცხადებს გამსახურდია.

ენგურის ხიდზე აქციების გაგრძელება-არგაგრძელების ბედი, როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, მაილსის პასუხზეა დამოკიდებული და არა ჯორბენაძის სამეგრელოში სტუმრობაზე.

"თუ ელჩი დაადასტურებს აშშ-ის ადმინისტრაციის მზადყოფნას აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მაშინ შესაძლოა, მე თავად გამოვიდე მედიატორის როლში და დევნილებს ვთხოვო, კიდევ ხუთი თვე მოითმინონ. თუმცა, ამ ხალხს უკვე აღარაფრის სჯერა. როგორ განვითარდება მოვლენები, საბოლოოდ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე გადაწყდება," –ამბობს ვახტანგ გამსახურდია.

სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის წინა დღეს დევნილებმა, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ზუგდიდის ცენტრში ხუთასკაციანი მიტინგის გამართვა მოახერხეს. როგორც დევნილები ამბობენ, ეს იმის მაუწყებელია, რომ ენგურის აქციას დიდი შანსი აქვს, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდოს.

გუშინ ენგურზე ბოლო ერთი კვირის განმავლობაში პირველად გამოიდარა. დევნილები ამბობენ, რომ მათ ბედი ამინდშიც არ სწყალობთ, გუშინდელ დარს კი სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის ერთადერთ "დამსახურებად" მიიჩნევენ.

მოსკოვისკენ ჰერი, ჰერი!

თითქმის წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ, დღეს მოსკოვში განახლდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზე. ჩვენი ქვეყნის დელეგაციას უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რუსეთისას - რუსეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი, სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი ილია კლებანოვი. თავდაპირველად გაიმართება საგარეო და სამხედრო ექსპერტების კონსულტაციები, დელეგაციათა ხელმძღვანელები კი "ბრძოლაში" ცოტა მოგვიანებით, 19 თებერვლიდან ჩაებმებიან.

გიორგი ასანიშვილი

მოლაპარაკებების მთავარი თემა საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები იქნება. როგორც ცნობილია, მხარეები დღემდე ჯიუტად დგანან თავიანთ პოზიციაზე: ოფიციალური თბილისი მიიჩნევს, რომ რუსული ბაზების ლიკვიდაციისთვის სამი წელიწადი საკმარისია, მოსკოვი კი ამისთვის, მინიმუმ, 11 წელიწადს ითხოვს. საინტერესოა, რომ რუსეთის დედაქალაქში მოლაპარაკებების განახლების წინ, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, საქართველოში რუსეთის ბაზების გასაყვანად 200 მილიონი დოლარი გაიღოს. იუწყებიან იმასაც, რომ ამ ოდენობის თანხის მიღების შემთხვევაში, მოსკოვი ბაზების ლიკვიდაციის სამწლიან ვადაზე დათანხმდება.

როგორც ირკვევა, ქართული მხარე აპირებს, კონსულტაციების დროს წამოჭრას მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების ყოფნისთვის კომპენსაციის მიღების საკითხი. მითუმეტეს, რომ შესაბამისი დადგენილება საქართველოს პარლამენტს უკვე მიღებული აქვს და საქმე რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარს ეხება.

გარდა ამისა, მოლაპარაკებისას ჩვენი დელეგაცია თბილისში განლაგებული რუსული სამხედრო ქარხნის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხსაც დააყენებს (ამ ქარხანაში რუსი სპეციალისტები სომხეთის სამხედრო ტექნიკას არემონტებენ).

დღეს მოსკოვში კიდევ ერთი ქართული დელეგაცია გაემგზავრება. მას ხელმძღვანელობენ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. ისინი რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებს გამართავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელების საკითხზე. და ეს მოხდება იმის მიუხედავად, რომ მოსკოვმა უარი თქვა, მანდატის გაგრძელების სანაცვლოდ, აფხაზების პასპორტიზაცია შეეწყვიტა და სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალზე მიმოსვლა შეეჩერებინა.

რუსეთის დედაქალაქისკენ აქვს აღებული გეზი ვახტანგ რჩეულიშვილსაც. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი ხვალ აპირებს მოსკოვში ჩასვლას. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს, პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი წარმომადგენელია ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, ვიზიტის ფარგლებში რუსი პარლამენტარების ჯგუფს შეხვდება და წინა პლანზე, ცხადია, მასზე "მინდობილი" კონფლიქტის პრობლემატიკას წამოწევს.

მოკლედ

თბილისი. პარლამენტარი ელენე თევდორაძე 4 მარტს პარიზში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მორიგ სხდომაზე გაემგზავრება და კომიტეტის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტის შესახებ პირველ შთაბეჭდილებებს მოისმენს. სხდომის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი ოფიციალურადაა შეტანილი. თევდორაძის ვარაუდით, მონიტორინგის კომიტეტი საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევაზე და რელიგიური უმცირესობების პრობლემებზეც იმსჯელებს. "მართალია, კომიტეტის დელეგაციამ საქართველოში ვიზიტისას, ყურადღება საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხზე გაამახვილა, მაგრამ ევროპაში არანაკლებ აინტერესებთ ადამიანის უფლებების დაცვისა და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემებიც", - აცხადებს ელენე თევდორაძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თბილისში კრიმინოგენული ვითარების გაუარესების ერთ-ერთ მიზეზად დედაქალაქში დევნილებთან ერთად, ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მოქალაქეების რაოდენობის კატასტროფულ სიმრავლეს მიიჩნევს. მისი თქმით, დედაქალაქში არათბილისელი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. შარშან თბილისში ჩამოსული 762 კრიმინალის მიერ ჩადენილია 900-მდე დანაშაული, მათ შორის 133 ჯგუფური.

როგორც კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში ჩამოსულმა 2.202-მა დამნაშავემ 3.000-მდე დანაშაული ჩაიდინა. აქედან ყოველი მეოთხე განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობაა, ხოლო ყოველი მესამე ფაქტი -ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა. 2002 წელს არათბილისელთა მიმართ აღიძრა 149 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 33 - ნარკოტიკული ნივთიერებებით რეალიზაციის ფაქტზე. შს მინისტრი არასაიმედოს უწოდებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელს. მისი თქმით, ქვეყანაში გამწვავდა არასრულწლოვანთა უზედამხედველობის, სოციალური დაცვის და მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების პრობლემა. **მედია-ნიუსი.**

დემირჩიანის პოპულარობა იკს აღწევს

ვირველი გვერდიდან

კამპანიის განუყოფელ ნაწილად იქცა და სომხეთში ბევრს კარენ დემირჭიანის 1998 წლის საპრეზიდენტო კამპანია გაახსენა.

1959 წელს დაბადებულმა სტეპან დემირჭიანმა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა და 1988 წლიდან სომხეთის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და სტრატეგიულ საწარმოს "მარსს" ხელმძღვანელობს, რასაც ბოროტი ენები მამამისის კარენ დემირჭიანის დამსახურებად მიიჩნევენ.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში გამართული მიტინგები ცხადყოფს, რომ უმცროსი დემირჭიანი საზოგადოების მხარდაჭერას, ძირითადად, მამამისის შესახებ არსებულ მოგონებებს უნდა უმადლოდეს, რომელიც 1974-1988 წლებში საბჭოთა სომხეთის ცკ-ის მდივანი იყო. კარენ დემირჭიანი 1999 წელს სომხეთის პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის დროს მოკლეს.

"მეფეები უფლისწულებს ბადებენ", - ამბობს სტეპან დემირჭიანის მიტინგზე მოსული რუზანა. "ჩვენ კარენის დროს მშივრები და ჩაუცმელები არ ვიყავით", - აღგზნებული განაგრძობს 45 წლის არტიომი და შემაღლებულ ადგილზე მდგარი დემირჭიანის თითოეულ განცხადებას ტაშით ეგებება.

ერევანში არსებული კავკასიის მედიის ინსტიტუტის პრორექტორი, პოლიტოლოგი ალექსანდრ ისკანდარიანი დემირჭიანის ამომრჩევლებს "ნოსტალგიურ ჯგუფს" უწოდებს.

დემირჭიანი, როგორც წესი, ბუნდოვნად ლაპარაკობს თავის პროგრამაზე, იგი, პრაქტიკულად, არ საუბრობს იმ კონკრეტულ საშუალებებსა და პოლიტიკაზე, რომლის მეშვეობითაც ცხოვრების დონის ამაღლებას, კორუფციის აღმოფხვრას, სამუშაო ადგილებისა და დემოკრატიული მმართველობის სისტემის შექმნას შეძლებს. იგი უფრო მემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელია, რომელიც გადასახადების შემცირებას და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ჰპირდება მოსახლეობას. თუმცა, სომხეთის რეალობაში მემარჯვენეობა-მემარცხენეობა ძალზე პირობითია.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის სფეროს, დემირჭიანის შეხედულებები პრინციპში არაფრით განსხვავდება სხვა კანდიდატების პროგრამებისაგან -- რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების შენარჩუნება და განმტკიცება, ყარაბაღის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში და ინტენსიური თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან.

კონკრეტულად იგი ხალხს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩერებული ქარხნების ამუშავებას ჰპირდება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით. თუმცა, დემირჭიანის მოსასმენად მისულ უბრალო მოქალაქეებს ამგვარი წვრილმანები ნაკლებად აინტერესებთ. მათთვის სტეპანი "ლავე ბიჭია".

სტეპან დემირჭიანი.

დემირჭიანის მხარდამჭერთა მიტინგი.

"დემირჭიანს არანაირი პროგრამა არ სჭირდება. იგი გამოდის და უბრალოდ ამბობს, რომ მამამისის შვილია. დემირჭიანი ერთგვარი მითია, სიმბოლოა, რომელსაც ხალხი ხმას აძლევს", - აღნიშნა ისკანდარიანმა "24 საათთან" საუბრისას.

"მისი ბრალი ხომ არ არის, რომ ასე ძალიან ჰგავს მამამისს", - ამბობს არამ სარქისიანი სტეპან დემირჭიანის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ. პატარა "დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა და საპრეზიდენტო კანდიდატმა პარასკევს თავის მომხრეებს მოუწოდა, რომ დემირჭიანს დაუჭირონ მხარი იმის მიუხედავად, რომ იგი მოქმედი კანონით ოფიციალურად საარჩევნო კამპანიას უკვე ვეღარ გამოეთიშება.

სტეპან დემირჭიანს დანარჩენი კანდიდატებისაგან დახვეწილი და ძვირფასი, გემოვნებით შერჩეული ტანისამოსიც გამოარჩევს. საშუალო დონის ორატორული მონაცემების კომპენსირებას კი სახალხო პარტიის ლიდერი საკუთარი გარეგნობითაც ახდენს.

მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა დემირჭიანი ქალებზე დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. საბჭოთა კავშირის დროინდელ "ტკბილ ცხოვრებას" მოწყურებულ მოქალაქეებთან ერთად დემირჭიანის ამომრჩეველთა შორის ახალგაზრდა ქალებიც საკმაოდ მრავლად არიან.

თვით ოპოზიციური პრესაც კი ვერ მალავს გაკვირვებას დემირჭიანის არნახული პოპულარობის გამო, რომელიც არჩევნებამდე დარჩენილ მცირე პერიოდში პიკს აღწევს. "სტეპან დემირჭიანის სიყვარული, ფაქტობრივად, რელიგიად გადაიქცა", - წერს პოპულარული სომხური გაზეთი "ჰაიაკაკ ჟამანაკი".

"ხალხის ამგვარი მხარდჭერა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო", - აღნიშნავს უმცროსი დემირჭიანის მოკავშირე შავარშ კოჩარიანი.

დემირჭიანის ოპონენტთა განცხადებით, სტეპან დემირჭიანს არასოდეს არ სდომებია პოლიტიკოსობა და კარენ დემირჭიანის მოკვლის შემდეგ სახალხო პარტიის თავმჯდომარე იგი მამამისთან დაახლოებული პირების ზეწოლით გახდა.

უდავოა, რომ სტეპან დემირჭიანის უზარმაზარი პოპულარობის მიზეზი კარენ დემირჭიანზე არსებული მოგონებების გარდა, სხვადასხვა პოპულარული ლიდერების გაერთიანების უნარიც არის, რასაც სხვა კანდიდატები ვერ დაიკვეხნიან.

თუმცა, სომეხ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, დემირჭიანის გარშემო ამდენი ოპოზიციონერი კანდიდატის გაერთიანების გამო, შესაძლოა, მთავრობა კონსოლიდირებული არ იყოს.

დემირჭიანის მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ სწორედ ოპოზიციის პოპულარული ლიდერების ერთად გაერთიანება გახდება ნამდვილად დემოკრატიული მთავრობის შექმნის საფუძველი და სწორედ ეს წარმოადგენს დემირჭიანის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მხარეს.

არსებობს თუ არა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების საიდუმლო გეგმა?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასეთი გეგმის არსებობაზე მოსკოვის პოლიტიკური წრეები უმალ აკეთებენ ხოლმე მინიშნებებს, როგორც კი საქართველოს წარმომადგენლები მოსკოვში აღმოჩნდებიან.

კიევში, პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში ინტენსიურად დაიწყეს ლაპარაკი რუსეთ-საქართველოს შორის პრობლემების დარეგულირების რაღაც საიდუმლო გეგმაზე. რუსი ანალიტიკოსები ადასტურებენ, რომ **"ეს გახლავთ კომპლექსური ღონისძიებების პროგრამა, რომელიც ორივე მხარის დიპლომატებისა და ექსპერტების ხელითაა დაწერილი. ამ გეგმის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს რუსეთ-საქართველოს უშიშროების საბჭოებმა, სპეცსამსახურებმა, რუსმა ანალიტიკოსებმა და ცალკეულმა ქართველმა პარლამენტარებმა."** მოსკოვში თვლიან, რომ "საიდუმლო გეგმა" გარკვეული პოზიტივია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაშიც. იგი, ეკონომიკური საკითხების მოგვარების პარალელურად, გაჭიანურებული ეთნოკონფლიქტების პოლიტიკურ პრობლემასაც მოხსნის.

ამ თეორიული საკითხების განსახილველად, მოსკოვში, რუს კოლეგებთან პერიოდულად სხვადასხვა დონის დელეგაციები ჩამოდიან. ორიოდე დღის წინ მოსკოვში ტრადიციული ვიზიტით იმყოფებოდა ასლან აბაშიძე. ამჟამად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით, აპირებს იმ პოლიტიკოსებთან დიალოგს, რომელთა წრეში სულაც არ არის ერთსულოვანი პოზიცია აფხაზეთის საკითხზე. ამიტომ, ძნელი სათქმელია, რითი დასრულდება ნადარეიშვილის ვიზიტი მოსკოვში. ჩვენი გაზეთის ინფორმაციით, რუსეთის პარლამენტის აფხაზური ლობი ობსტრუქციისათვის ემზადება. ნადარეიშვილი კი სწორედ რუსეთის პარლამენტში გეგმავს ვიზიტს, სადაც, იციან რა არ სჭირდება. იგი გამოდის და უბრალოდ ამბობს, რომ მამამისის შვილია. დემირჭიანი ერთგვარი მითია, სიმბოლოა, რომელსაც ხალხი ხმას აძლევს", - აღნიშნა ისკანდარიანმა "24 საათთან" საუბრისას.

"მისი ბრალი ხომ არ არის, რომ ასე ძალიან ჰგავს მამამისს", - ამბობს არამ სარქისიანი სტეპან დემირჭიანის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ. პატარა "დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა და საპრეზიდენტო კანდიდატმა პარასკევს თავის მომხრეებს მოუწოდა, რომ დემირჭიანს დაუჭირონ მხარი იმის მიუხედავად, რომ იგი მოქმედი კანონით ოფიციალურად საარჩევნო კამპანიას უკვე ვეღარ გამოეთიშება.

სტეპან დემირჭიანს დანარჩენი კანდიდატებისაგან დახვეწილი და ძვირფასი, გემოვნებით შერჩეული ტანისამოსიც გამოარჩევს. საშუალო დონის ორატორული მონაცემების კომპენსირებას კი სახალხო პარტიის ლიდერი საკუთარი გარეგნობითაც ახდენს.

მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა დემირჭიანი ქალებზე დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. საბჭოთა კავშირის დროინდელ "ტკბილ ცხოვრებას" მოწყურებულ მოქალაქეებთან ერთად დემირჭიანის ამომრჩეველთა შორის ახალგაზრდა ქალებიც საკმაოდ მრავლად არიან.

თვით ოპოზიციური პრესაც კი ვერ მალავს გაკვირვებას დემირჭიანის არნახული პოპულარობის გამო, რომელიც არჩევნებამდე დარჩენილ მცირე პერიოდში პიკს აღწევს. "სტეპან დემირჭიანის სიყვარული, ფაქტობრივად, რელიგიად გადაიქცა", - წერს პოპულარული სომხური გაზეთი "ჰაიაკაკ ჟამანაკი".

"ხალხის ამგვარი მხარდჭერა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო", - აღნიშნავს უმცროსი დემირჭიანის მოკავშირე შავარშ კოჩარიანი.

დემირჭიანის ოპონენტთა განცხადებით, სტეპან დემირჭიანს არასოდეს არ სდომებია პოლიტიკოსობა და კარენ დემირჭიანის მოკვლის შემდეგ სახალხო პარტიის თავმჯდომარე იგი მამამისთან დაახლოებული პირების ზეწოლით გახდა.

უდავოა, რომ სტეპან დემირჭიანის უზარმაზარი პოპულარობის მიზეზი კარენ დემირჭიანზე არსებული მოგონებების გარდა, სხვადასხვა პოპულარული ლიდერების გაერთიანების უნარიც არის, რასაც სხვა კანდიდატები ვერ დაიკვეხნიან.

თუმცა, სომეხ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, დემირჭიანის გარშემო ამდენი ოპოზიციონერი კანდიდატის გაერთიანების გამო, შესაძლოა, მთავრობა კონსოლიდირებული არ იყოს.

დემირჭიანის მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ სწორედ ოპოზიციის პოპულარული ლიდერების ერთად გაერთიანება გახდება ნამდვილად დემოკრატიული მთავრობის შექმნის საფუძველი და სწორედ ეს წარმოადგენს დემირჭიანის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მხარეს.

აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრის მოსურნე ნადარეიშვილის პოლიტიკური "ბაგაჟი," ამტკიცებენ, რომ იგი "მძიმეწონიან" აბაშიძეს მოსკოვურ ფრონტზე ბრძოლას ვერ მოუგებს.

რუსი პარლამენტარების ერთი დიდი ნაწილი ჯიუტად თვლის, რომ დღეს მხოლოდ ასლან აბაშიძეს შეუძლია ორ ქვეყანას შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება. ამას აჭარის ლიდერი აფხაზეთის ფრონტზე მთელი რიგი დათმობებით ახერხებს. პრაგმატიკოსი რუსი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ, სინამდვილეში, ასლან აბაშიძე მოსკოვში მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის დავალებებს ასრულებს და რომ მათ შორის განხეთქილება ხალხის თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს. რამდენიმე რუსი პარლამენტარი სერიოზულად გვიმტკიცებს, რომ მოსკოვთან აბაშიძის ურთიერთობების სრული თავისუფლება, მათ შორის, დიპლომატიურ სიმაღლეებზე დამოუკიდებელი მანევრები, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდანაა ვიზირებული. ანუ, აბაშიძე, მათი თქმით, მოსკოვში აკეთებს იმას, რაც, ობიექტური მიზეზების გამო, აკრძალული აქვს პრეზიდენტ შევარდნაძეს. თუმცა, ეს სულაც არ უშლის ხელს აბაშიძეს, მოსკოვში თავი ისე იგრძნოს, როგორც მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტმა. რუსეთის პარლამენტის ძლიერი აჭარული ლობი დღემდე დიდი სითბოთი იხსენებს ახალი, 2003 წლის დამდეგს რუსეთის პარლამენტის რესტორანში აჭარელი მაღალჩინოსნების მიერ ორგანიზებულ ბანკეტს, რომელიც რესპუბლიკის ათ წლისთავს მიეძღვნა და რომელსაც დსთ-ს საქმეთა კომიტეტის მთელი ხელმძღვანელობა ესწრებოდა. რუსმა სენატორმა კადოხოვმა გულწრფელი სინანულიც კი გამოხატა იმის გამო, რომ "მსგავსი საღამოების მოწყობა თბილისელ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ."

საქართველოში მოსკოვის ორიენტირების მოსინჯვაში გამონაკლისი არც საქართველოს პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი იყო. იმ დღეებში რუსულ პრესაში უმალ გაჩნდა ტრადიციული ფრაზები, რომ "ამჟამად მოსკოვი ფსონს ბურჯანაძეზე ჩამოდის" და რომ "მოსკოვი შევარდნაძის შემცვლელს ამზადებს".

თავის დროზე მოსკოვის პოლიტიკურმა ელიტამ საკმაოდ გულთადად მიიღო ექს-სპიკერი ზურაბ ჟვანიაც. რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა ევგენი კაჟოკინმა მაშინ ქართველ ჟურნალისტებს ერთადერთი, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა უთხრა: "ჟვანია საჭირო მომენტში საჭირო ადგილას აღმოჩნდა." ვიზიტს შედეგად ზურაბ ჟვანიას გადადგომა მოჰყვა. იმ დღეების რუსული მასმედია სინანულით აღნიშნავდა, რომ "საქართველოს პარლამენტის სპიკერმა პოლიტიკური ბრძოლა შინ საკუთარ თავზე ვერ აიღო."

კრემლი დღემდე სასურველი ქართველი ლიდერის ძიებაშია და ამ ჩვეულების მოშლას არ აპირებს. რატომ ხდება ასე, ამაზე მოსკოველი პოლიტოლოგები კონკრეტულად პასუხობენ, რომ **"რუსეთი დაინტერესებულია, სტრატეგიულად მნიშვნელოვან მეზობელ რესპუბლიკაში მეგობრულად განწყობილი რეჟიმი ჰყავდეს და არა ასეთი მტრული"** (სერგეი კარაგანოვი). რატომ არ სურს რუსეთს საქართველოს "გაშვება" და რატომ ვერ ეგუება საგარეოპოლიტიკურ სივრცეში მის თავისუფალ მანევრებს, ამაზე რუსი სამხედროები აცხადებენ: **"ყველაფერი, რაც მეზობელ საქართველოში და ჩვენს სამხრეთ საზღვრებზე ხდება, პირველ რიგში, რუსეთის ეროვნული უშიშროების საკითხია. ჩვენ არ შეგვიძლია, ვიყოთ გულგრილნი, როცა რუსეთის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრიდან საერთაშორისო ტერორიზმი ემუქრება"** (გენერალი ანდრეი ნიკოლაევი).

მოსკოვში თვლიან, რომ რუსეთის უპირატესობა საქართველოში კვლავაც არსებულ "ოქროს რეზერვშია", სადაც კრემლს იმედად კიდევ რჩება ორი-სამი საიმედო "ორიენტირი". ალბათ, არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ ბოლო პერიოდში საეჭვოდ დაიწყო "დუმდა "ლუბიანკის ლუბიმჩიკი" იგორ გიორგაძე. სამაგიეროდ, რუსეთის პარლამენტში ხელგაშლილად მიღებული ქართული "დათვი" პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის პარტიის ყურადღების ობიექტად იქცა. საქართველოში მოვლენათა განვითარების ე.წ. "რუსულ სცენარში" პრორუსული ლიდერები საიმედო რეზერვია. თქმა არ უნდა, ბატონი ხაჩიშვილისა და მის უკან მდგომი პირების პიარი რუსეთში უკეთეს პოლიტიკურ მომენტს ელოდება. და ამ რეზერვს "ლუბიანკა" უთუოდ აამოქმედებს.

მოსკოვში დღემდე ერთ-ერთ პოპულარულ ქართველ ლიდერად მაინც ჯუმბერ პატიაშვილი რჩება და მასთან ერთად - რამდენიმე ახალგაზრდა პოლიტიკოსიც, ვის გვარებსაც, "მათივე ინტერესების გამო," საჯაროდ არ ასახელებენ. პატიაშვილის თანამგრძნობი რუსეთის პოლიტიკური წრეების კატეგორიულ თვალსაზრისს ენაცვლება შედარებით დელიკატური რუსი კანონმდებლების პოზიცია საქართველოში პოტენციური ლიდერების მოსინჯვის დაუშვებლობასა და რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩაურევლობაზე. ასეთი პოლიტიკოსები, სამწუხაროდ, რუსეთის დიდ პოლიტიკაში დღეს ამინდს ვერ ქმნიან. ალექსეი არბატოვი, ირინა ხაკამადა, ალექსანდრ იუშენკოვი, ვიაჩესლავ იგრუნოვი და სხვანი, საკუთარი ლიბერალურ-დემოკრატიული პოზიციის გამო, დღეს უმცირესობაში იმყოფებიან და "თავაზიანობის ვიზიტების" პასიური მონაწილენი არიან.

მოსკოვში კარგად ინფორმირებული კომპეტენტური პირები ამტკიცებენ, რომ საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირების რაღაც საიდუმლო გეგმის განხორციელების პროცესი მოკლებული იქნება საჯაროობას, მაგრამ კონკრეტული და პოზიტიური შედეგები სასურველ ფინალამდე მაინც მიგვიყვანს. თუკი ასეთი თვალსაზრისი მორიგი სატყუარა არაა და ორივე ქვეყანაში მოახლოებულ საარჩევნო პიარს არ ემსახურება, მაშინ, უკეთეს დღეებზე იმედით, დროებით თავის მოტყუებაც ღირს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ედუარდ შევარდნაძე: "ცოტას მოვიცვადოთ და აშშ მოიცლის აფხაზეთისთვის"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აშშ მიიჩნევს: არავინ არ უნდა მოიქცეს ისე, რომ შესაძლო გახდეს აფხაზეთის სეპარატისტული სტატუსის გაძლიერება და მოლაპარაკების პროცესის გართულება". - ბოლოს კი საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ ამ ეტაპზე აშშ სამშვიდობო ძალების გასვლას მხარს არ უჭერს. ეს განცხადება აშშ-ს საელჩომ საქართველოში ხუთშაბათს გაავრცელა.

ივარაუდება, რომ დაახლოებით ანალოგიური შინაარსის იქნება ის განცხადება, რომელსაც მეგობარი ქვეყნები ჟენევაში 19-20 თებერვალს გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღებენ.

ცხადია, ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი უკვე ოფიციალურად გაუგრძელებს მანდატს სამშვიდობოებს. თუმცა, ფაქტია, რომ ხუთი თვის თავზე საქართველო და მისი პრეზიდენტი მსგავსი არჩევანის წინაშე კვლავ დადგებიან.

ძნელი სათქმელია, როდის და რა სახით "მოიცლის" აფხაზეთისთვის აშშ, მით უმეტეს მაშინ, როცა ანტისაომარი კამპანია მსოფლიოში იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან შეიძლება ყოფილიყო ნავარაუდევი.

თუმცა, ფაქტია ერთიც - გასულ კვირას საინტერესო ინფორმაციამ გაჟონა უცხოურ პრესაში, რის შედეგადაც სახელისუფლებო კულუარებში, გნებავთ შევარდნაძის გარემოცვა დაარქვით, ახალ გეგმას, თუ მითს ქმნიან საქართველო-აშშ-ს მოსლოდნელ პარტნიორობასთან დაკავშირებით, რასაც, მათი გათვლით, საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება თითქმის მექანიკურად მოჰყვება.

ამ სახის ერთ-ერთი სერიოზული მესიჯად მიიჩნევა ბი-ბი-სი-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს მიერ აშშ-სთვის ვაზიანის ბაზის დათმობის შესახებ, რომელიც, მართალია, ოფიციალურად არც ერთმა მხარემ არ დაადასტურა, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა კი განცხადებაც გაავრცელა იმის თაობაზე, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტეფან რედმეიკერის საქართველოში ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტს მისთვის ვაზიანის ბაზა არ შეუთავაზებია.

მიუხედავად ამისა, ძალიან საინტერესოა, რომ არც უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი, არც თავდაცვის მინისტრი, არც უშიშროების მინისტრი ასეთ შესაძლებლობას ცალსახად არ უარყოფს. არც ადასტურებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გადამწყვეტი არ გახლავთ. ცხადია, რომ საქართველოს მხარეს ეს საკითხი აინტერესებს და არ არის გამორიცხული ასეთი ნიადაგის მოსინჯვა მართლაც შემდგარიყო.

ამერიკულ ბაზაზე, ანტიერაყული კოალიციის წევრობასა და, მოკლედ, საქართველოს აშშ-ს სერიოზული პატრონაჟის ქვეშ შესვლაზე გახლავთ დამყარებული ყველა ის იმედი, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, თავად საქართველოს პრეზიდენტიც ყველა პრობლემის, მათ შორის ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას უკავშირებს.

"ამისათვის ცოტა კიდევ უნდა მოვიცადოთ, უნდა გავუძლოთ..." - თქვა შაბათს საქართველოს პრეზიდენტმა, კვირას კი სამეგრელოში სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნით ენგურზე გამოსულ ადამიანებთან დესპანი - სახელმწიფო მინისტრი აფრინა.

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვის პროტესტანტებმა ამჯერად აღარ ირწმუნეს.

ᲔᲙᲐ ᲥᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

პოლიტიკური დეჭავუ

მთავრობა სხდომაზე.

რომ არა საკრებულოს თავმჯდომარე, ვერავინ დაარღვევდა ორი დღის განმავლობაში ერთად შეკრებილი ბედნიერი ფუნქციონერების თვითკმაყოფილებას, ჰარმონიასა და შესაშურ ურთიერთგაგებას.

რომ არა სააკაშვილის კონტექსტიდან ამოვარდნილი, არაადეკვატური, რეალობის დამამახინჯებელი, აგრესიული და ყოველგვარ ზღვარს გადასული გამოსვლა, მთავრობის სხდომის გულმოდგინე მაყურებელს, მართალია, დეჟავუ ეწვეოდა იმ შეგრძნების გამო, რომ ასეთი სხდომები დიდი ხნის წინ უნახავს, მაგრამ სამაგიეროდ ვერავინ გაბედავდა, არ დაეჯერებინა ის ეკონომიკური წინსვლა და აყვავება, რომელიც მოკვდავებისათვის ასე შეუმჩნეველი და ძნელად მისახვედრია.

შევარდნაძის კმაყოფილი ტონიდან კარგად ჩანს, რომ ზღაპრები, რომლებსაც მას ერთგული ჩინოვნიკები უყვებიან, მისთვის ძალიან დამაჯერებლად ჟღერს. პრეზიდენტი კი, როგორც თავად აღიარებს, დიდი ხანია, ქართულ ბაზარს აღარ სტუმრებია. მისი პირადი დაცვის კედელი კი ძალიან სქელია საიმისოდ, რომ მის მიღმა ჩინოვნიკების მონათხრობისაგან თავისუფალი რეალობა დაინახო, ისევე როგორც კანცელარიისა თუ კრწანისის ფაფჯრების მინები საკმაოდ ვარდისფერია საიმისოდ, რომ მის მიღმა დანახული სამყარო ჩინოვნიკების მონაყოლი ზღაპრებისაგან დიდად განასხვავო.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა პირველმა არხმა პირდაპირი ტრანსლაციით გადასცა მთავრობის ორდღიანი სხდომა. ლოგიკურად ძნელი ასახსნელია, რა მიზანს ემსახურებოდა სახელმწიფო ტელევიზიის ეს ნოვაცია. ნუთუ ხელისუფლებას, რომელიც დიდი ხანია, აღარ გადმოსულა თავისი ძვირფასი ავტომანქანებიდან, მართლა გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სილატაკის ზღვარზე მყოფი ადამიანები ამ უსიმპათიო ჩინოვნიკებისაგან მონათხრობ ზღაპრებს დაიჯერებენ და არჩევნებში გადაწყვეტილებას ხელისუფლების სასარგებლოდ მიიღებენ?

ამ სხდომის შემდეგ ნუღარავინ იტყვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ერთიანი გუნდი არ არის. მერე რა, რომ ისინი ვერასოდეს ახერხებენ, მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთი ენით ილაპარაკონ და, ძირითადად, ერთმანეთის ნიშნისმოგებით და დასმენით არიან დაკავებულები. სამაგიეროდ, ისინი ერთ მუშტად შეკრულები უპირისპირდებიან ყველაზე დიდ საფრთხეს - განსხვავებულ აზრსა და ღირებულებებს და ბოლომდე ერთად იბრძოლებენ კორუმპირებული, კრიმინალური, კლანების მიერ მართული, გაღატაკებული და არშემდგარი ქვეყნის სტატუსის მქონე საქართველოს შესანარჩუნებლად.

პოსტკომინისტური სისტემის "მანათობლებით", "ფილარმონიის ლომებით", კომკავშირული აზროვნებით, ფსევდოპატრიოტული კლიშეებით, ფსევდოპოეტებით და ფსევდოღირებულებებით სავსე, მთავრობის სხდომის დარბაზი საოცრად ნათელი ილუსტრაცია იყო ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ანტისახალხო მთავრობისა.

მთავრობისა, რომელიც ბოლომდე გაუცხოვდა ამ ქვეყნის რეალობისაგან და რომელმაც სრულიად არალეგიტიმურად აქცია თავისი არსებობა ამ საზოგადოებაში.

რაც მთავარია, შევარდნაძე ბედნიერია თავისი არჩევანით და როგორც არასდროს, კმაყოფილია თავისი გარემოცვით.

„ალ ჰუსეინებისგან" საქართველო აბსოლუტურად დაუცველია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, დღემდე "ალ-ჰუსეინების" დამანგრეველი ძალა გამოცდილი აქვს ისრაელს. ერაყმა 1991 წლის იანვარში, თელ-ავივის, ჰაიფის, ნევეგისა და სამარიის მიმართულებით 42 რაკეტა ისროლა. იმავე ომის დროს, ბაღდადმა ამ რაკეტებით 46-ჯერ დაბომბა საუდის არაბეთი და ერთხელ - ბახრეინი. ერაყის რაკეტების ძალას ასევე იცნობენ ირანშიც, ირან-ერაყის ომის დროს, ბაღდადმა "ალ ჰუსეინები" 1998 წელს პირველად სწორედ თეირანის დასაბომბად გამოიყენა. 1991 წლის დაბომბვებმა, უშუალოდ სულ ორი ებრაელი შეიწირა, კიდევ 15 მოქალაქე გულის შეტევით გარდაიცვალა, მაგრამ უზარმაზარი იყო მატერიალური ზარალი. 1500-ზე მეტი ნაგებობა დაინგრა, მათ შორის 1300 საცხოვრებელი სახლი, საერთო ზარალმა 250 მილიონ დოლარს გადააჭარბა. საბედნიეროდ, მაშინ ბაღდადს, "ალ ჰუსეინებზე" არ დაუმაგრებია ბიოლოგიური და ქიმიური ქობინები, თორემ მსხვერპლი და ნგრევა გაცილებით დიდი იქნებოდა," – გვითხრა ისრაელის სამხედრო ჟურნალ "ცახალის" მიმომხილველმა დან აშქელონსკიმ.

1991 წლის "უდაბნოს ქარიშხლის" დაწყებამდე, ისრაელის არმიის დაზვერვის მონაცემებით, ერაყი ფლობდა "სკადის" ტიპის 24 და "ალ ჰუსეინის" ტიპის 48 რაკეტის გამშვებს (აქედან 20 იყო თვითმავალი და 28 - სტაციონარული), და მოდერნიზებულ "სკად-ბ"-ს ტიპის 400-მდე რაკეტას. "უდაბნოს ქარიშხლის" დროს, აშშ-ს სამხედრო ავიაციამ ერაყის სარაკეტო იარაღის მწარმოებელი ქარხნებისა და მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილის (მათ შორის, ბიოლოგიური და ქიმიური ქობინების) განადგურება მოახერხა. 1991 წლიდან ერაყს საერთოდ აკრძალული აქვს რაკეტების წარმოება, რომელთა მოქმედების რადიუსი 150 კილომეტრს აღემატება, თუმცა მოკავშირეები დარწმუნებულნი არიან, რომ ერაყი კვლავ ფლობს რამდენიმე ათეულ რაკეტას, რომელთა მოქმედების რადიუსი 900 კილომეტრს აღწევს. **"აშშ-ს ჯარების მაშინდელმა მთავარსარდალმა გენერალმა ნორმან შვარცკოფმა ბოლომდე არ შეაფასა "სკადის" შესაძლებლობები. "სკადის" გამშვები, რომელიც საბჭოთა წარმოებისაა, 45 ტონას იწონის. შვარცკოფს სჯეროდა, რომ რაკეტის სროლის შემდეგ, ერაყელებს ნახევარი საათი მაინც დასჭირდებოდათ იმისათვის, რომ დაეშალათ მოწყობილობა და გაცლოდნენ სროლის ადგილს, ეს საკმარისი დროა, აშშ-ს თანამგზავრებისთვის მათ დასაფიქსირებლად. თუმცა ერაყელებს, რომლებმაც "სკადების" წვიმა დაატეხეს თავს ისრაელსა და საუდის არაბეთს, სულ ექვსი წუთი სჭირდებოდათ რაკეტის გამშვებისთვის ადგილის შესაცვლელად, შესაბამისად, ჩვენი ავიაგამანადგურებლები ვერ ახერხებდნენ მათ აღმოჩენას,"** – ამბობს ჟურნალ "თაიმის" მიმომხილველი მარკ ტომპსონი.

აშშ-სა და ისრაელის დაზვერვის მონაცემებით, რასაც გაერო-ს ექსპერტებიც იზიარებენ, ერაყმა, "სკადის" ტიპის ექვსი და "ალ ჰუსეინის" ტიპის ხუთი გამშვების, პლუს 50-მდე "ალ ჰუსეინის" რაკეტის გადამალვა მოახერხა. **"ალ ჰუსეინი" საბჭოთა "სკად-ბ"-ს გაუმჯობესებული ვარიანტია. ერაყელებმა შეამცირეს ქობინის წონა და ამის ხარჯზე გაზარდეს რაკეტის სიგრძე, რაც "ალ ჰუსეინის" დაახლოებით 600-900 კილომეტრზე გაფრენის საშუალებას იძლევა, ეს არის ერაყის ყველაზე სერიოზული იარაღი, მათ ასევე ჰქონდათ "ბადრ-2000"-სა და "თამუზ/ალ-აბიდის" რაკეტების წარმოების პროექტები, ამ რაკეტების მოქმედების რადიუსი 1000-2000 კილომეტრი იქნებოდა, თუმცა ამ პროექტების განხორციელება ვერ მოახერხეს,"** – გვითხრა დან აშქელონსკიმ.

იმ ფონზე, როცა ისრაელში, კუვეიტში, იორდანიაში, საუდის არაბეთში, ბახრეინსა და ყატარში ამერიკელებს უკვე განლაგებული აქვთ რაკეტსაწინააღმდეგო "პეტრიოტის" ტიპის განახლებული სისტემები (ისრაელმა გერმანიისგან ახლახან შეიძინა კიდევ ორი, მსოფლიოში უმძლავრესი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა - **Appoy-II**), ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის კი კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, და ალბათ, დადებითად გადაწყდება თურქეთისა და კვიპროსისათვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდების საკითხი, ანტიერაყული კოალიციიდან ყველაზე დაუცველად აზერბაიჯანი და საქართველო გამოიყურებიან.

საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანი რეალურად არის ჩართული ანტიერაყულ კოალიციაში. ერთი კვირის უკან გაბალის რადიოლოკაციურმა სადგურმა (ბაქოდან 300 კილომეტრში მდებარე ეს სადგური აზერბაიჯანის საკუთრებაა, თუმცა ათი წლით იჯარით რუსეთს აქვს აღებული. სადგურს 7300 კილომეტრის რადიუსში შეუძლია რაკეტის სტარტის დაფიქსირება – ზ.წ.) საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა მოკავშირეებთან, რომლის მიხედვითაც, ერაყის ტერიტორიაზე რაკეტის გაშვების დაფიქსირებისთანავე, გაბალა ოპერატიულად მიაწვდის ინფორმაციას აშშ-სა და ისრაელს. 13 თებერვალს, ბაქოში "ხაზარის" უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე გამოსვლისას, აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩმა როს უილსონმა პირველად ღიად განაცხადა, რომ აზერბაიჯანი შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებსაც ერაყის რაკეტები წვდება.

"საერთოდ, ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენა და მით უმეტეს განადგურება ძალიან ძნელია, ეს დადასტურდა 1991 წლის ომის დროსაც, როცა "პეტრიოტმა" ვერაფერი დააკლო ერაყის "სკადებს", ერთმა "სკადმა" საუდის არაბეთის ქალაქ დჰაჰრანში 28 ამერიკელი სამხედროს სიცოცხლე იმსხვერპლა. ამიერკავკასიაში "სკადის" საწინააღმდეგო სისტემა მხოლოდ სომხეთში დისლოცირებულ რუსეთის არმიის ნაწილებს აქვთ, ეს არის ჟ-300, რომელიც მონაცემებით "პეტრიოტის" დონის არის. საქართველოს და აზერბაიჯანს შეიარაღებაში, მხოლოდ პირველი თაობის საბჭოთა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები – ჟ-75 და ჟ-125 აქვთ, ამ სისტემებით "სკადის" ჩამოგდების შანსი ნულის ტოლია. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რატომ უნდა გვესროლოს ერაყმა, როცა იქვე ახლოს ისრაელი ჰყავს, მაგრამ რომ გვესროლოს? გარანტიას, რომ არ გვესვრის, ხომ ვერავინ გვაძლევს?!" – გვითხრა სამხედრო ექსპერტმა ირაკლი ალადაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ისე გააკეთა ერაყის საწინააღმდეგო განცხადებები, რომ ერაყის საჰაერო აგრესიის (მათ შორის, ქიმიური და ბიოლოგიური ქობინებით) შესაძლებლობაზეც კი არავის უფიქრია. კანცელარიაში, თავდაცვის სამინისტროში, დაზვერვის დეპარტამენტში, უშიშროების სამინისტროში ჩვენს კითხვაზე – "ვინ დაიცავს საქართველოს?" - ყველაზე გავრცელებული რეაქცია...ღიმილი იყო. ერაყი კი ხმამაღლა იმუქრება. **"სულ ერთია, ჩვენს წინააღმდეგ რა დახმარებას გაუწევენ ამერიკას სხვა ქვეყნები, მათ შორის, ჩვენი მეზობლები, ნებისმიერი დახმარება ნიშნავს, ამ ქვეყნის პირდაპირ ჩართვას ომში ერაყის წინააღმდეგ. თუ ეს ქვეყნები გაუწევენ დახმარებას აშშ-ს, მომავალში გაიგებენ, რომ ჩაიდინეს დანაშაული და დაუშვეს სტრატეგიული შეცდომა,"** – ეს მუქარანარევი განცხადება თურქეთში ერაყის ელჩმა თალიბ აბიდ სალიხმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა.

კარგია, თუ ჩვენი მაღალჩინოსნების ღიმილი მრავალმნიშვნელოვანი იყო...

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს

სატელეკომუნიკაციო სფეროში მაღალხარისხოვანი მომსახურების დანერგვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ბაზის შექმნის და მის საფუძველზე მომხმარებელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების სრულფასოვანი დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, იქმნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური.

მომხმარებელთა უფლებების და ინტერესების დაცვის, სატელეკომუნიკაციო სფეროში მაღალხარისხოვანი მომსახურების დანერგვის წინაპირობების შესაქმნელად საჭირო თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება მსოფლიო ბანკის და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთობლივი პროექტით არის გათვალისწინებული და მისი განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

კომისიას მიაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის მიზნების წარმატებული განხორციელება მხოლოდ მიუკერძოებელი მაღალკვალიფიციური კადრების, მათდამი საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხის და მათთვის რეალური ბერკეტების მინიჭების შემთხვევაში არის შესაძლებელი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურში თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ. ფართო საზოგადოების ინტერესების და მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, შეიქმნა საკონკურსო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებების, არასამთავრობო სექტორის და მასმედიის კარგად ცნობილი წარმომადგენლები (კომუნიკაციების ეროვნული კომისია გულწრფელ მადლობას უხდის მათ თანამშრომლობისთვის). საკონკურსო საბჭო, საქართველოს სახალხო დამცველის ქ-ნ ნანა დევდარიანის თავმჯდომარეობით, შეარჩევს და 2 წლის ვადით დანიშნავს შესაბამისი უფლებამოსილებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილ მომხმარებელთა უფლებების დამცველს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს კომისიის აპარატის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსის და ორი სპეციალისტის თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგი პირობებით:

მოვალეობები:

- კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების (ლიცენზირება, ტარიფების, მომსახურების გაწევის წესების, სტანდარტების დადგენა და სხვ.) განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალო მონაწილეობა და მომხმარებელთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით ლიცენზიის მფლობელის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი;
- მსოფლიო ბანკის სატელეკომუნიკაციო პროექტის კონსულტანტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობით მომხმარებელთა დაცვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლებისა და ტექნიკურ-ფინანსური ნორმების შემუშავება;
- მომხმარებელთა უფლებების სავარაუდო დარღვევის შემცველი ქმედებების და გადაწყვეტილებების კვლევა;
- მომხმარებელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა;
- ლიცენზიის მფლობელსა და მომხმარებელს შორის სადავო საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;
- მომხმარებელთა სახელით ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში მხარედ გამოსვლა;
- მომხმარებელთა წარმოდგენა ლიცენზიის მფლობელთან დავის დროს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (cover letter);
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან ცნობა სამუშაო ადგილიდან;
ე) სარეკომენდაციო წერილი/ები.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსს - მომხმარებელთა უფლებების დამცველს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება - იურიდიულ, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, მედიის ან ბიზნეს-ადმინისტრირების სფეროში;
ბ) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება სამართლის, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, მედიის, ბიზნეს-ადმინისტრირების ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე);
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება და უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ინიციატივიანობა, მეტყველების კულტურა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსი - მომხმარებელთა უფლებების დამცველი ინიშნება 2 წლის ვადით, შრომის მაღალი ანაზღაურებით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის სპეციალისტს (1 ვაკანსია) მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება – იურიდიულ ან ეკონომიკურ სფეროში;
ბ) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება სამართლის, ეკონომიკის ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვის უნარ-ჩვევები; კომუნიკაბელურობა; ინიციატივიანობა; მეტყველების კულტურა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის სპეციალისტს (1 ვაკანსია) მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება – კავშირგაბმულობის სფეროში;
ბ) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება კავშირგაბმულობის ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვის უნარ-ჩვევები; კომუნიკაბელურობა; ინიციატივიანობა; მეტყველების კულტურა.

სპეციალისტებისთვის გათვალისწინებულია შრომის მაღალი ანაზღაურება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის თანამშრომლის ინტერესთა კონფლიქტის გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს, თუ იგი იმავდროულად:

ა) არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;
ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი;
თუ იგი ან მისი ოჯახის წევრი (მამა, დედა, მეუღლე, შვილი):
ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში ასრულებდა ან ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს იმ პირისათვის, რომლის საქმიანობა განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში ფლობდა ან ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, რომლის საქმიანობა განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
გ) ბოლო 3 წლის განმავლობაში იყო ან არის იმ პირის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი, რომლის საქმიანობა განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
დ) ბოლო 3 წლის განმავლობაში ჰქონდა ან აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობა განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

თუ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის გარემოება, დანიშნული პირი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

კონკურსი ჩატარდება შერჩევის, ტესტირებისა და გასაუბრების გზით. შერჩევა და ტესტირება ჩატარდება კომისიის შესაბამისი სპეციალისტების მიერ ა.წ. 24 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება საკონკურსო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ჩატარდება ა.წ. 4 მარტს 1200 საათზე.

საკონკურსო საბჭო უფლებმოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა რაოდენობის არანაკლებ 2/3. საკონკურსო საბჭო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით; ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

განცხადებები და საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ა.წ. 5 თებერვლიდან 21 თებერვლის 1800 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ჭანტურიას ქ.N12, მე-8 სართული, ოთახი 803;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
გიორგი რატიშვილი,
საზოგადოებრივი ურთიერთობების კოორდინატორი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ტელ.: 921667 ტელ/ფაქსი: 921625
ელ-ფოსტა: gratishvili@gncc.ge

მოკლედ

თბილისი. თებერვლის ბოლოს თბილისს ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენა აღარ ემუქრება. როგორც "24 საათს" "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განუცხადა, "იტერასთვის" იანვარში მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადასახდელად "თბილგაზის" მეურნეობამ კომერციულ ბანკ "თი-ბი-სი"-სგან სესხი სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გაცემული გარანტიით აიღო. თანხა "იტერას" ანგარიშზე დღეს საღამომდე დაჯდება. **"24 საათი".**

■ ■ ■

თბილისი. "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე გახშირებული დივერსიების გამოძიების მიზნით სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო დასახმარებლად უშიშროების სამინისტროს მიმართავს. უკანასკნელად "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ერთ-ერთი ანძის იზოლატორები დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით ორი დღის წინ დააზიანეს. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

თბილისი. "თბილავიამშენი" "მავერიკის" ტიპის ამერიკული მოდელის ორ ხუთადგილიან სამოქალაქო თვითმფრინავს მაისში გაყიდის. ამჟამად თვითმფრინავები "31-ე საავიაციო ქარხანად" წოდებულ საწარმოში ეწყობა. სავარაუდოდ, თითოეული თვითმფრინავი მილიონი დოლარი ეღირება. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

თბილისი. "თბილავიამშენი" გაწეული მომსახურების სანაცვლოდ თურქმენეთის მიმართ საქართველოს საგარეო ვალს წელს 40 მილიონი დოლარით შეამცირებს: იგი თურქმენულ ამორტიზებულ თვითმფრინავებს არემონტებს და ამით საქართველოს ვალის ჩამოწერას ახორციელებს. ორი წლის განმავლობაში თურქმენეთმა "თბილავიამშენის" მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ საქართველოს 314 მილიონიდან უკვე 24 მილიონი დოლარი ჩამოაწერა. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

თბილისი. ხადორჰესის პირველი, 12-მეგავატიანი აგრეგატი აგვისტოში ამუშავდება, წლის ბოლომდე კი ჰესი სრულად ამოქმედდება. 24 მეგა-იანი ჰესის მშენებლობა შარშან, ჩინური ინვესტიციით დაიწყო. ჩინეთის ქალაქ სიჩუანის მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტ-იმპორტის კორპორაცია ყვარლის რაიონში, მდინარე ჩელთაზე კიდევ ერთი, 9,6 მეგავატიანი ჰესის აშენებას გეგმავს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. „ეი-ი-ეს ხრამის" რეაბილიტაციის გაჭიანურებით უკმაყოფილო ქონების მართვის სამინისტრო „ეი-ი-ესს" მართვის ხელშეკრულების შეწყვეტას სთხოვს. ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაციით, შეტყობინება მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ამერიკულ კომპანიას უკვე გაეგზავნა და დაიწყო აუცილებელი პროცედურები. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს მთავრობა "ეი-ი-ესს" თბილსრესის მე-11 ბლოკის გამოყენების უფლებისათვის 450 ათასი დოლარის გადახდას სთხოვს. ყოველწლიურად 150 ათასი დოლარის გადახდის 5-წლიანი ვალდებულება კომპანიამ ქონების მართვის სამინისტროსთან 1999 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად აიღო. "ეი-ი-ესის" მხრიდან თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში ბლოკი მის საკუთრებაში გადავა. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას თქმით, ერთ კვირაში მზად იქნება ნინოწმინდის გაზსაცავის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ახლო მომავალში მომზადდება ბიზნეს-გეგმაც, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები ინვესტორებთან თანხების მოსაზიდად. პროექტი 170 მილიონ დოლარამდე ჯდება. მის ტექნიკურ დოკუმენტაციას დანიური კომპანია „რამბოლი" ამზადებს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურის გასაყიდი ობიექტების სიებსა და მათ ფასებს აზუსტებს. გაგრის ცენტრში მდებარე სანატორიუმ "რიწის" დაუმთავრებელი კორპუსი, შესაძლოა, 100 ათას აშშ დოლარად გაიყიდოს. **"ინტერ-პრესი".**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 11 - 17 თებერვლის მდგომარეობით

მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6194	0.6882	0.0051
US$	1.6145		1.0794	0.0083
€uro	1.4953	0.9265		0.0077
¥en	194.47	120.33	129.87	

GWS სახელმწიფოს ქართული ღვინის პრესტიჟის დაცვისკენ მოუწოდებს

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში მოსკოვში გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსზე "პროდექსპო", ღვინის კატეგორიაში გრან-პრის მფლობელი GWS-ის პრემიალური ასორტიმენტის ღვინო "თამადა წინანდალი" გახდა. სადეგუსტაციო კონკურსზე წარდგენილი იყო კომპანიის რვა დასახელების პროდუქცია, რომელმაც უმაღლესი ჯილდოს გარდა, ოთხი ოქროს, ორი ვერცხლის მედალი და სამი საპატიო დიპლომი დაიმსახურა. ოქროს მედალი "საუკეთესო ხარისხისათვის" მიენიჭა "თამადა მწვანეს", "თამადა მუკუზანს", "თამადა ახაშენსა" და "განსაკუთრებულ ჭაჭას", ვერცხლის მედალი – "თამადა საფერავსა" და "თამადა ხვანჭკარას", ხოლო საპატიო დიპლომის მფლობელები "თამადა ქინძმარაული", "თამადა ტვიში" და "თამადა ოჯალეში" გახდნენ.

სოფიკო ოხანაშვილი

GWS-ში განაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გრან-პრის, რადგან ქართული ღვინის წარმოებაში ეს "პროდექსპოს" პირველი უმაღლესი ჯილდოა. ამ წარმატებას კომპანია მთლიანად ქართული ღვინის წარმოების გამარჯვებად მიიჩნევს. **"პროდექსპო" წელს განსაკუთრებით წარმომადგენლობითი და მასშტაბური იყო, ამიტომ ძალიან დიდი მიღწევაა, რომ გრან-პრი ჩვენ გვხვდა წილად",** - განაცხადა GWS-ს მარკეტინგული განყოფილების უფროსმა ლევან კობერიძემ. "პროდექსპოზე" ქართული ღვინოების მიერ მიღწეულ წარმატებებს დიდ და პერსპექტიულ ნაბიჯად მიიჩნევს სოფლის მეურნეობის მინისტრიც. **"16-მა ქართულმა ღვინომ დაიმსახურა მაღალი შეფასება. ეს იმითაცაა საინტერესო, რომ ეს პროდუქცია უცხოეთშიც გადის და ბაზარი მარტო რუსეთით არ შემოიფარგლება, ეს კი ქართული კვების მრეწველობის სამომავლო განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია",** - ასე შეაფასა "პროდექსპოს" შედეგები სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ.

კობერიძის ინფორმაციით, წელს კომპანიას თავისი პროდუქცია არ განუახლებია. **"გამოფენაზე პრინციპში იყო იგივე პროდუქცია, რაც შარშან. დეგუსტაციაზე დავამატეთ რამდენიმე სახეობა, მათ შორის - "წინანდალი",** - აღნიშნა GWS-ის მარკეტინგული განყოფილების უფროსმა. ამჟამად, ღვინის მწარმოებელი ლიდერი კომპანიის პროდუქციის რეალიზება 15-მდე ბაზარზე ხდება. მათ შორის GWS-ს სტაბილური სავაჭრო ურთიერთობები აქვს დსთ-ს ქვეყნებთან, აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, ისლანდიასთან, გერმანიასთან, დიდ ბრიტანეთსა და ჩეხეთთან. წელს "პროდექსპოს" გამოფენა-კონკურსზე ქართული ღვინის მწარმოებელ ლიდერ კომპანიას ახალი კონტრაქტები არ გაუფორმებია. იმის გამო, რომ რუსეთში ძალიან სწრაფად იზრდება ვაჭრობის ქსელი: რესტორნები, სუპერმარკეტები ჰიპერმარკეტები და ა.შ., კომპანიის ძალისხმევა პარტნიორი დისტრიბუტორების მხარდაჭერის შესანარჩუნებლად იყო მიმართული. GWS-ის მაღალხარისხიანი ქართული ღვინოების 90 პროცენტი ექსპორტისთვისაა განკუთვნილი.

GWS "პროდექსპოზე" მონაწილეობას მომავალ წელსაც აუცილებლად მიიღებს. მაგრამ, ლევან კობერიძის თქმით, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, თუ რა პროდუქციით წარსდგება კომპანია გამოფენა-კონკურსზე. წელს კომპანია მომხმარებლისთვის "განსაკუთრებული ჭაჭის" განსხვავებული ასორტიმენტის შეთავაზებასაც აპირებს, თუმცა ეს იდეა დამუშავების ეტაპზეა.

"პროდექსპოზე" მიღწეული გამარჯვებით კმაყოფილი GWS-ის მარკეტინგული განყოფილების უფროსი შიშობს, რომ თუ სახელმწიფო, არსებული საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე, ქართული ღვინის გადასარჩენად ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მნიშვნელოვან ბერკეტებს არ შეიმუშავებს, შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში დსთ-ს ბაზარზე ქართული ღვინის დისკრედიტაცია მოხდეს. კობერიძის თქმით, ფრანგულ-იტალიური თუ ჩილეს ღვინოების აგრესიულმა მარკეტინგულმა პოლიტიკამ, შესაძლოა, დსთ-ს სივრცეში ქართული ღვინის წილის შემცირება და საბოლოო დისკრედიტაცია გამოიწვიოს. **"საფრანგეთი, იტალია და სხვა მრავალი ქვეყანა მკაცრად აკონტროლებს ღვინის ხარისხს. როცა თქვენ ყიდულობთ ამ ქვეყნის ღვინოებს, დაზღვეული ხართ ფალსიფიცირებული პროდუქციისგან. ეს პრობლემა იმ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზეა მოგვარებული, რაც არ ხდება ქართული ღვინის შემთხვევაში",** - განაცხადა ლევან კობერიძემ. მისი თქმით, რუსეთის ბაზარზე არსებული ფალსიფიცირებული ქართული ღვინის დიდი ნაწილი ადგილობრივ მდარე პროდუქციაზე მზადდება, ნაწილი კი, საქართველოდან ყალბ დოკუმენტებს ამოფარებული გადენება.

კობერიძის განცხადებით, ფალსიფიკაციასთან ბრძოლა ცალკეული კომპანიების ძალას აღემატება და ეს პრობლემა სახელმწიფოს გადასაჭრელია. **"სახელმწიფომ და ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ამ ბაზარზე თამაშის ერთიანი წესები. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო ზრუნავს თავისი ღვინოების იმიჯზე,"** - აღნიშნა GWS-ს მარკეტინგული განყოფილების უფროსმა. მისი განცხადებით, ქართული ღვინოს წარმოება მხოლოდ საქართველოში უნდა ხდებოდეს. GWS მაღალხარისხიანი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების კოოპერირების ინიციატივით გამოსვლას აპირებს.

"ბიპის" გარემოს დამცველი ორგანიზაციები აღარ ენდობიან

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოში უდიდესი, გარემოს დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაციის "დაბლიუ-დაბლიუ-ეფ-ის" (WWF) ბრიტანულმა შტომ WWF UK "დაბლიუ-დაბლიუ-ეფ-იუ-ქიმ" განაცხადა, რომ იგი აპირებს, გაყიდოს თავისი წილი "ბრიტიშ პეტროლიუმში." ამ გადაწყვეტილების მიზეზად ალიასკაზე მომხდარი ინციდენტები იქცა, რომლის გამოც ზოგიერთი ინვესტორი "ბიპის" ერთგვარი ეჭვის თვალით უყურებს.

"ბოლო 12 თვის განმავლობაში მათი მაჩვენებლები უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მხრივ არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა რომ იყოს," – განაცხადა WWF UK-მ. ფირმის წარმომადგენლის თქმით, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ "ბიპი" შედარებით ნაკლებ რესურსებს დებს ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში, რის გამოც იგი უკვე **"აღარ შეიძლება, მიიჩნეოდეს წამყვან კომპანიად ამ სექტორში."**

თავის დროზე WWF UK-მ "ბიპის" აქციათა მომცრო პაკეტი (51 ათასი ცალი) სიმბოლურად შეიძინა იმის ნიშნად, რომ იგი ნდობას უცხადებდა ნავთობგიგანტს, როგორც კომპანიას, რომელიც უსაფრთხოების ზომებს იცავდა. მაგრამ ახლა ეს შეხედულება შეიცვალა.

"ჩვენ საკუთარ სინდისთან არ ვიქნებით მართლები, თუ "ბიპისთან" კვლავ შევინარჩუნებთ კავშირს," – ასეთია WWF UK-ს პოზიცია.

გარემოს დამცველი ორგანიზაციის ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო შეარყევს "ბიპის" ავტორიტეტს. მოგეხსენებათ, არც ისე დიდი ხნის წინ რამდენიმე საკმაოდ მსხვილმა ინვესტორმა ღიად განაცხადა იმ ეჭვების შესახებ, რომლებიც ალიასკაზე მომხდარი აფეთქებების შემდეგ "ბიპის" საქმიანობის შესახებ გაჩნდა.

ნავთობგიგანტის წარმომადგენელმა WWF UK-ის გადაწყვეტილებას ერთობ მშრალი კომენტარი გაუკეთა: **"სამწუხაროა, მაგრამ ეს მათი საქმეა. თანაც, მათ აქციათა მეტად უმნიშვნელო პაკეტი ჰქონდათ"**.

თუმცა, საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს. როგორც ცნობილი გახდა, "ბიპი ალიასკას" თავკაცმა გასულ თვეში შიდაორგანიზაციულ ანგარიშში კომპანიის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესება გადაუდებელი საქმეა. **"წინაალმდეგ შემთხვევაში, ალიასკაზე ოპერაციები შეიძლება ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს,"** – აღნიშნული იყო ანგარიშში. აქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ შარშან აგვისტოში მომხდარი აფეთქების შემდეგ (რომელსაც ერთი კონტრაქტორი მუშის სიკვდილი და თავად "ბიპის" ერთი თანამშრომლის დაშავება მოჰყვა), კომპანიამ საქმიანობა "უსაფრთხოების ადეკვატური ზომების მიღების გარეშე" განაახლა.

ამ ინციდენტების შემდეგ კომპანიას სერიოზული პრობლემები შეექმნა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მაგრამ ეს პრობლემები მონაგონი იქნება იმასთან, რაც შეიძლება წარმოიქმნას ინვესტორების დაფრთხობის შემდეგ.

თვალსაზრისი

ენერგოტრანზიტი - დაპირებები და სინამდვილე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის (შაჰდენიზი) გაზსადენი ამჟამად ორი უმთავრესი განსახორციელებელი სამშენებლო პროექტია საქართველოში. ძირითადად, როდესაც ახსენებენ მილსადენს, გულისხმობენ ორივეს. თუმცა, პირველი გაცილებით უფრო ცნობილია. 1995 წელს კომპანიების ორმა ჯგუფმა British Petroleum-ის მეთაურობით, დაიწყო პროექტის შემუშავება, რათა საქართველოს გავლით გაეყვანოს გაზი და ნავთობი აზერბაიჯანიდან თურქეთში. მრავალმხრივი მოლაპარაკების შედეგად, 2000 წელს დაიწყო პროექტის განხორციელება. დაინტერესებული მხარეები არიან აზერბაიჯანი, თურქეთი, საქართველო და BP - ნავთობსადენის მმართველი კომპანია 2001 წლიდან. ნავთობსადენისა და გაზსადენის მილები გვერდიგვერდ გამოედინებიან ბაქოს მახლობლად მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან და გაივლიან საქართველოს ტერიტორიას თურქეთის საზღვრამდე. იქ კი გაზსადენი უერთდება თურქეთის გაზის გამავრცელებელ ქსელს, რომელსაც აშენებს თურქეთის მხარე. ნავთობსადენი გაივლის მთელი თურქეთის ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვის ჯეიჰანის პორტამდე, იქიდან კი მოხდება ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთის ბაზარზე. საქართველოსთვის ამ პროექტის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბიუჯეტში შემოსული დამატებითი თანხების გამო, არამედ მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლებისა და ქვეყნის პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც. მაგრამ, რამდენად რეალურია ის დადებითი გავლენა, რომელსაც გვპირდებიან დაინტერესებული მხარეები და რამდენად უსაფრთხოა ნავთობსადენის გატარება საქართველოს ტერიტორიაზე?



დაინტერესებული მხარეები

კასპიის ზღვის მილებით ტრანსპორტირდება ამავე ზღვის ნავთობისა თუ გაზის რესურსები მსოფლიოს მთავარ ბაზარზე. გაზსადენი მილის პროექტი დაიწყო 1998 წელს აზერი-შაჰ დენიზში ბუნებრივი აირის უზარმაზარი მარაგის აღმოჩენით. ნავთობპროექტის მშენებლობის მიზეზები უფრო სადავოა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს პროექტი შეიქმნა უფრო გეოპოლიტიკური მიზნებით. მთავარი იყო ალტერნატიული მარშრუტის შექმნა და კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით, რათა შემცირებულიყო დასავლეთის დამოკიდებულება OPEC-ის ნავთობზე, რომელიც, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონებიდან მოედინება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, პირველ ყოვლისა, შექმნის საიმედო მარშრუტს კასპიის ნავთობისთვის და დაარეგულირებს მსოფლიო ფასებს.

მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს თურქეთის მცდელობას, თავი აარიდოს ტანკერების მოძრაობას ბოსფორის სრუტეში – ყველაზე ვიწრო და ინტენსიურ სანაოსნო ადგილას მსოფლიოში.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო მარშრუტის არჩევა ნავთობსადენი მილისთვის. არჩევანი შეჩერდა საქართველოზე. საერთო მიზნებთან ერთად, განიხილებოდა რეგიონების ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური სტაბილურობის ზრდისა და დასავლეთთან პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების საკითხი. ამიტომაც ყველა ქვეყანას ჰქონდა თავისი მიზეზი, რის გამოც შეიძლებოდა ჩართულიყო ამ პროექტში.

აზერბაიჯანის მიზანია, იპოვოს ენერგორესურსების გაყიდვის ახალი გზა; თურქეთი მასპინძლობს ენერგიების მატარებელ სხვა წყაროებს თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობისათვის; საქართველოს კი აქვს შესაძლებლობა, რომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია რეგიონში, ნახოს ეკონომიკური მოგება (საქართველოს მთავრობა მიიღებს გაზის სატრანზიტო გადასახადების ხუთ პროცენტს, რაც დაახლოებით 62 მილიონი ამერიკული დოლარია და ექნება მეტი გაზის შესყიდვის უფლება) და იყოს პოლიტიკურად დამოუკიდებელი რუსეთისგან.

ამჟამად კასპიის მილსადენის პროექტი მიჩნეულია ყველაზე დიდ პროექტად მთელ მსოფლიოში რამდენიმე მიზეზის გამო: უპირველესად, მისი სიგრძე 1760 კმ-ია (1000 მილი) და წარმოადგენს ყველაზე გრძელ მილსადენს მსოფლიოში (ტრანს-ალიასკას მილსადენი მხოლოდ 1287კმ-ია). მეორე მხრივ, მისი ტევადობა – ერთი მილიონი ბარელი ყოველდღე - შთამბეჭდავად გამოიყურება, თუ მას მთელი OPEC-ის ქვეყნების დღიურ 24 მილიონ ბარელს, ან ვენესუელის – მსოფლიოში მესამე უდიდესი მომმარაგებლის ორ მილიონ ბარელს (დღეში) შევადარებთ. მესამე მხრივ, პროექტი ეღირება 3,3 მილიარდი აშშ დოლარი. აქედან 70 პროცენტი უნდა შედგეს კრედიტების სახით, რომელიც უნდა გამოყონ ისეთმა დიდმა ევროპულმა, იაპონურმა და ამერიკულმა საფინანსო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა: მსოფლიო ბანკი, IFC და EBRD. თანხის მხოლოდ 30 პროცენტი ჩაიდება მონაწილე კომპანიების მიერ.

პროექტში მონაწილეობენ მსოფლიოში ყველაზე დიდი და ცნობილი კომპანიები. მათი გეოგრაფიული მდებარეობა მათივე დაინტერესების მაღალ დონეზე მეტყველებს.

BTC - ნავთობსადენის კომპანია:
British Petroleum (დიდი ბრიტანეთი) - 30.15%
SOCAR (აზერბაიჯანი) - 25%
Unocal (აშშ) - 8.90%
Statoil (ნორვეგია) - 8.71%
TPAO (თურქეთი) - 6.53%
TFE (საფრანგეთი) - 5%
ENI (იტალია) - 5%
Conoco Philips (აშშ) - 2.50%
Itochu (იაპონია) - 3.4%
Inpex (იაპონია) - 2.50%
Delta Hess (საუდის არაბეთი) - 2.36%
Sah Deniz
გაზსადენის კომპანია:
Socar (აზერბაიჯანი) - 10%
LukAgip (იტალია-რუსეთი) - 10%
BP (დიდი ბრიტანეთი) – 25.5%
Statoil (ნორვეგია) – 25.5%
NIKO (კანადა) – 10%
Elf (საფრანგეთი) – 10%
TPAO (თურქეთი) – 9%

მთავარი კონტრაქტორები

კომპანიები, რომლებიც აღნიშნულ პროექტში მთავარი კონტრაქტორების როლს ასრულებენ, მიჩნეულნი არიან ამ დარგის უდიდეს კომპანიებად მთელ მსოფლიოში.

მაგალითად, **John Brown**-ს დაევალა ნავთობსადენის მილის კონსტრუირება სანგაჩალიდან (ბაქოს სამხრეთი) თურქეთის საზღვრამდე.

Spie Capag Petrofac-თან კონტრაქტი ითვალისწინებს ნავთობსადენის გაყვანას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (249კმ). მშენებლობის პროცესის დაწყება დაგეგმილია 2003 წლის აპრილისათვის. დღეისათვის კონსორციუმსა და Petrofak-ს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაზსადენის თაობაზეც.

2002 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი კონტრაქტი **BOTAS**-ს (თურქეთი) ავალებს BTC P/L პროექტით გათვალისწინებულ ყველა იმ სამშენებლო და დიზაინერულ სამუშაოებს, რომლებიც თურქეთის სექტორში ჩატარდება. თურქეთთან შეთანხმებით, სამუშაოები უნდა დაიყოს სამ ეტაპად: საძირკვლის საინჟინრო სამუშაოები (ექვსი თვე), დეტალური საინჟინრო სამუშაოები (12 თვე) და კერძოდ მშენებლობა (32 თვე).

გარემოზე ზემოქმედება

პროექტში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ჩართვამ გაზარდა მოთხოვნილება პროექტის უსაფრთხოებაზე და მკაცრად დააყენა გარემოს დაცვის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ნავთობსადენის გაყვანა წარმოადგენს ყველაზე აქტუალურ საკითხს გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების ფორუმებსა და კონფერენციებზე.

ნავთობსადენის მარშრუტი კვეთს საქართველოს საზღვარს გარდაბანში, ჯანდარასთან ახლოს. საქართველოს ტერიტორიაზე ის გაივლის გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებს. თურქეთის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ მარშრუტი გაგრძელდება თურქეთის ტერიტორიაზე.

იმ დროს, როდესაც აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენის მარშრუტი გართულებების გარეშე იქნა მიღებული, საქართველოს 249 კილომეტრის სიგრძის მარშრუტის მიღებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები შეხვდა.

BP-მ, როგორც პროექტის მომავალმა ოპერატორმა, 2002 წლის სექტემბრის ბოლოს დაასრულა ESIA (გარემოსა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ზემოქმედების შეფასება) პროექტზე მუშაობა. ადგილობრივი გარემოსდაცვითი საზოგადოება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, BTC-ის პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა. გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე თავის წერილში BP-ს პრეზიდენტის, ჯონ ბრაუნის სახელზე, რომელიც დათარიღებულია 2002 წლის 26 ნოემბრით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნავთობსადენის უმნიშვნელო დაზიანებამაც კი შეიძლება ვალალო ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და ტრაგიკული შედეგი გამოიღოს. თუ გაჟონვა მოხდა ბორჯომის მიდამოებში, შეიძლება დიდი ზიანი მიადგეს ბორჯომის ნაკრძალს და სრულიად განადგურდეს მინერალური წყლების საბადოები, რომლებიც სადღეისოდ საქართველოს ექსპორტის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ. **"ამისათვის BP-ის წარმომადგენლები აიძულებენ საქართველოს მთავრობას, დაარღვიოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის შესახებ. აღნიშნულ საფრთხეს იზიარებენ პროექტის ექსპერტებიც და განიხილავენ სხვადასხვა ალტერნატივას ბორჯომის ნაკრძალის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ არანაირი ალტერნატივა არ მიიღება,"** – ნათქვამია წერილში. BP-სა და საქართველოს მთავრობის ამგვარმა პოლიტიკამ საზოგადოებაში უამრავი კითხვა წარმოშვა. ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 73 პროცენტი ნავთობსადენის ბორჯომზე გავლის წინააღმდეგი აღმოჩნდა. საბოლოოდ, BTC დათანხმდა პირობას, რომ ჩაატარებდა დამატებით გამოკვლევებს აღნიშნულ ნაკრძალში გარემოს დაცვის სამინისტროს კონტროლის ქვეშ. დღემდე გაურკვეველია, შეასრულებს თუ არა BTC და BP საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს.

ჩვენი ქვეყნისთვის ენერგოსატრანზიტო პროექტის უდიდესმა მნიშვნელობამ აიძულა საქართველოს მთავრობა, დათანხმებულიყო მის განხორციელებას.

ESIA-ს პროგრამის შესწავლის საფუძველზე გამოქვეყნებული Bankwatch-ის (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების გამოყენებისას დაშვებულ დარღვევებს) ანგარიში კიდევ უფრო დიდ ეჭვს ბადებს საქართველოს მოსახლეობისათვის ამ მილსადენის მშენებლობის მომგებიანობაში. მსოფლიო ბანკის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, ნავთობსადენი გადის ეროვნული პარკის მეზობელ ტერიტორიაზე. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მიერ პროექტით მიღებული სარგებელი გაცილებით მეტია, ვიდრე გარემოსათვის მიყენებული ზარალი. ამის მტკიცებულება პროექტის ხელშეკრულებაში არ არსებობს.

დასაქმება

BP–ს განცხადების თანახმად, პროექტში სამუშაოდ პრივილეგიები მიენიჭებათ ადგილობრივ სპეციალისტებს. საბოლოო შეთანხმების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით, 2300-2500 კაცს მიაღწევს. აქედან სამუშაო ადგილების 80 პროცენტი შეთავაზებული იქნება მხოლოდ 12 თვით.

საბოლოო შეთანხმების თანახმად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოსახლეობა მოგებული დარჩება პროექტის განხორციელებისას გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურებითაც (BP გვპირდება რეგიონში გზების შეკეთებას). მშენებლობის პერიოდში ადგილობრივი საზოგადოების ხელში ნაღდი ფული მოექცევა და გაიზრდება მოთხოვნილება ადგილობრივ საქონელზეც, უმთავრესად კი - ნატურალურ საკვებ პროდუქტებზე.

ამავე დროს ნათელია, რომ ეკონომიკური აქტივობა მხოლოდ თორმეტი თვის განმავლობაში ვერ შეცვლის რეგიონის საერთო მდგომარეობას და ვერც მომავალში ჩაუყრის საფუძველს მის ზრდას. როგორც უკვე ვახსენეთ, სამუშაო ადგილების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია და ნავთობსადენის ოპერირების პერიოდში მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სულ 100-120 სპეციალისტი დასაქმდება. ქვეყნის უმუშევრობის ოფიციალური მონაცემების ფონზე, ეს ციფრები საკმაოდ უმნიშვნელოა.

ამიტომ, თუ საერთაშორისო საზოგადოების ამ პროექტით დაინტერესების მიზეზები გასაგებია, საქართველოსათვის სავარაუდო სარგებლობა ეჭვის ქვეშ დგება.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"
"Transparency International -Georgia"

რუსეთს "მართვად დემოკრატიას" უწოდებენ

მაგრამ იგი არც დემოკრატიაა და, მით უმეტეს, არც მართვადი

პირველი გვერდიდან

რუსეთის ელიტაზე საუბრისას ხშირად ამბობენ, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ელცინისდროინდელი "ოჯახი" და სანკტ-პეტერბურგელი ჩეკისტები. მართალია, ანალიტიკოსისათვის ამგვარი დაყოფა მოსახერხებელია და ხანდახან იგი ზუსტად ასახავს სიმართლეს, მაგრამ ხშირად კოალიციების ფორმირება და რეფორმირება ორივე ჯგუფის წარმომადგენელთა მიერ ხდება.

და მაინც, პუტინის როლის შეფასებისას ხშირად ცდილობენ, იგი დასავლეთის ისტორიულ გამოცდილებას მიუსადაგონ და განსაზღვრონ, არის თუ არა რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენი გამოცდილება ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოდგება. თუმცა, ვითარების ანალიზისას იმის გარკვევა, არის თუ არა რუსეთი დემოკრატია, ან როდესმე იქცევა თუ არა ასეთად, ნაკლებად გვეხმარება. იგი შეიძლება გახდეს დემოკრატია, ან არ გახდეს. ძირითადი კითხვა უნდა იყოს, როგორია ქვეყანაში ძირითადი ტენდენციები და საით არის მიმართული ვექტორები. ამის იქით ანალიზი უკვე თეოლოგიაა.

რა უნდა პუტინს?

REUTERS

- პუტინმა უკვე თავისი პრეზიდენტობის ნახევარი გაიარა. როგორ შეაფასებდით მისი საქმიანობის შედეგებს?

- ეს კითხვა ორი ნაწილისაგან შედგება: რას აკეთებს იგი და რამდენად წარმატებით აკეთებს. ვაშინგტონელი დამკვირვებლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ რუსეთი ამჟამად "მართვადი დემოკრატიაა". მე კი მგონია, რომ რუსეთი დღეს არც დემოკრატიაა და, მით უმეტეს, არც მართვადი.

თქვენს კითხვაზე პასუხი იმით უნდა დავიწყოთ, რა მემკვიდრეობა დატოვა ელცინმა და რა შეცვალა პუტინმა. მე ვფიქრობ, რომ ელცინმა მემკვიდრეს საკმაოდ კარგი მემკვიდრეობა დაუტოვა, ყოველ შემთხვევაში - უკეთესი, ვიდრე ბევრი ფიქრობს. გარდა ამისა, დღევანდელი პრეზიდენტის ღირებულებებსა და მოქმედებებზე გავლენას ახდენს ცარიზმის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაც. ეს ყველაფერი ერთად კი რუსეთის მომავალზე მსჯელობისას პესიმისტურად განგვაწყობს. რუსული მემკვიდრეობა მოიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის პატრიმონიულ დამოკიდებულებას, ძალაუფლების პერსონალიზაციას, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეს. შეიძლება ითქვას, რომ პუტინმა კიდევ უფრო გააღრმავა ეს თვისებები.

უნდა გვახსოვდეს, რომ პუტინი არ უნდა შევადაროთ 1998 წლის სუსტ და ავადმყოფ ელცინს, არამედ - 1993-94 წლების ჯანმრთელ და ენერგიულ პრეზიდენტს.

მაშ, რა შეიცვალა? ამბობენ, რომ რუსეთი დღეს უფრო სტაბილურია. პირადად მე არ მესმის, ეს რას ნიშნავს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დღეს მიღწეულია ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალების უფრო გაწონასწორებული სისტემა, ვიდრე 1999 წელს. ახლა მეტი სიმშვიდეა. პუტინი, რასაკვირველია, უფრო ახალგაზრდა და ჯანმრთელია, ვიდრე მისი წინამორბედი და ამას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ, ძნელია ითქვას, რა ფუნდამენტური ცვლილება მოხდა ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ. მართალია, ძალაუფლების ცენტრები: ბიუროკრატია, დიდი ბიზნესი, გუბერნატორები, უშიშროების სამსახურები და არმია, გადაჯგუფდნენ პრეზიდენტის გარშემო, მაგრამ ძალაუფლება ისევ მათ ხელშია თავმოყრილი. პუტინს არ შეუცვლია ელიტაში თამაშის წესები, რომლებიც კვლავინდებურად დაუწერელ კანონებად რჩება და სამართლებრივ ნორმებთან არაფერი აქვს საერთო. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ გამოიკვეთა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ნიშნები, მეორე მხრივ კი, იგივე სასამართლო არ ეხება მსხვილ ბიზნესმენებს.

რამდენიმე წლის წინ პუტინმა შექმნა ახალი ფედერალური სტრუქტურები, რათა გაეკონტროლებინა გუბერნატორები, რომლებიც, მისი აზრით, ზედმეტად დამოუკიდებელნი იყვნენ. ეს ნაბიჯი მაინცდამაინც ეფექტური ვერ გამოდგა, რადგან ყველა გუბერნატორმა გამონახა დამოუკიდებლობის შენარჩუნების რაიმე გზა. როგორც ელცინის დროს, თითოეულ გუბერნატორს ინდივიდუალური ურთიერთობები აქვს ფედერალურ ცენტრთან.

მაგრამ მოდით, ამ სისტემის არსზე ვისაუბროთ. განსხვავებით ჩვენი პოლიტიკური სისტემისაგან, იგი პატრიმონიზმის ძლიერი დოზით გამოირჩევა. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთში ფული ნიშნავს ძალაუფლებას და ძალაუფლება ნიშნავს ფულს. განსხვავება კერძოსა და საერთოს, დანაშაულსა და კორუფციას შორის, ხშირად წაშლილია. რკინიგზისა და ატომური ენერგეტიკის სამინისტროები ხშირად მოქმედებენ, როგორც კერძო კორპორაციები და არა როგორც სამთავრობო დაწესებულებები. ვაშინგტონში სჯერათ, რომ პუტინმა ოლიგარქებთან დადო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მათ შეეძლოთ ფული ეკეთებინათ, მაგრამ პოლიტიკაში არ უნდა ჩარეულიყვნენ. მაგრამ რუსეთში ბიზნესი და პოლიტიკა განუყოფელია. ამბობენ, რომ უშიშროების სამსახურები ოლიგარქების წინააღმდეგ არიან მიმართული, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ასე, რადგან ეფ-ეს-ბეს თვითონ აქვს უზარმაზარი კომერციული ინტერესები. გარდა ამისა, არსებობს, რასაკვირველია, ოჯახიც, რომელიც ბევრ რესურსზე აცხადებს პრეტენზიას. ასე რომ, რუსეთში არა მხოლოდ ბიზნესია ბიზნესი, რუსული პოლიტიკური სისტემაც ბიზნესია.

ასე რომ, ვითარება არ შეცვლილა არც ელცინის დროიდან და არც ძველი რუსეთიდან მოყოლებული. მოსკოვში ხშირად გაიგონებთ, "გაიხსენეთ "ენრონი", კორუფცია ამერიკაშიც არსებობს". მართალია, მაგრამ არის ორი დიდი განსხვავებაც. "ენრონის" მმართველობა ციხის გზაზე დგას, მაშინ, როდესაც რუსული კომპანიების ხელმძღვანელობას ეს არ ემუქრება. და მეორეც, როგორც ჯერ კიდევ მედისონი წერდა, ჩვენს სისტემაში არის უამრავი ადგილი, სადაც ხალხს შეუძლია, განახორციელოს ზეწოლა თუნდაც ყველაზე გავლენიან ლობიზე. რუსეთში კი დიდ ბიზნესს ხელისუფლებაზე ძალზე იოლად მიუწვდება ხელი.

უნდა ვისაუბროთ რუსეთში საზოგადოებრივი აზრის როლზეც. საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ იგი არჩეული მონარქის ლეგიტიმაციას ახდენს. მაგრამ რუსეთში საზოგადოებრივი აზრი გაცილებით უფრო სუსტია და ნაკლებად ორგანიზებული, ვიდრე დასავლეთში. არ შეიძლება, ერთმანეთს შეადარო ბუშის, ბლერისა და პუტინის რეიტინგები, რადგან რუსეთში საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაზე პირდაპირ და სწრაფ გავლენას ვერ ახდენს, რადგან ჯერ ერთი, არაორგანიზებულია, და მეორეც, საზოგადოებასა და ელიტას შორის უზარმაზარი უფსკრული არსებობს.

მაგრამ მოდით, ისევ პუტინის ძალაუფლების საზღვრებს დავუბრუნდეთ. ამერიკაში ბევრი ფიქრობს, რომ პუტინს ისეთივე დიდი ძალაუფლება აქვს რეალურად, როგორც ფორმალურად, ქაღალდზე. მაგრამ, დღევანდელ რუსეთში, ისევე როგორც ელცინის ან კომუნისტების დროს, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს არაფორმალურ კავშირებს, ვიდრე ფორმალურ ურთიერთობებს. ასე რომ, საკითხავი ის კი არ არის, ფორმალურად რა ძალაუფლება აქვს ადამიანს, არამედ ის, რეალურად რისი გაკეთება შეუძლია. ამ შემთხვევაში კი პუტინის ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ვირტუალურ პუტინზე, ან ვირტუალურ პრეზიდენტზე, რადგან, მისი ძალაუფლების ცენტრები, მაშინაც კი, როცა ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ, აცხადებენ, რომ პრეზიდენტის სურვილის შესაბამისად იქცევიან. თუმცა, როგორც პრეზიდენტისათვის, ისე სისტემისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხის თვალში ძალაუფლების ცენტრები პრეზიდენტის სახელით მოქმედებდნენ, მაშინაც კი, როცა ეს ასე არ არის. ამის პრაქტიკული შედეგი არის მუდმივი ზიგზაგებით სვლა, რადგან ძალაუფლების ცენტრები საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, პრეზიდენტს კი მათ შორის არბიტრის როლის შესრულება უწევს. ასე მაგალითად, პუტინის ეკონომიკური პოლიტიკა შეიცავს შეუთავსებელ წინააღმდეგობებს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მომხრეებსა და ლიბერალ ეკონომისტებს შორის. ეს კი ძალიან ცუდია პრეზიდენტისათვის, რომელიც ყველას არწმუნებს იმაში, რომ ყველაფერს აკონტროლებს. სხვათა შორის, ელცინსაც იგივე გამაწონასწორებლის როლის შესრულება უწევდა.

მეორე შეზღუდვა. რუსეთში ბევრს იმედი ჰქონდა, რომ პუტინი გაანადგურებდა ოლიგარქებს. თუმცა, ყოველდღე სულ უფრო აშკარა ხდება არა მხოლოდ ის, რომ იგი ამას არ იზამს, არამედ ისიც, რომ მას სჭირდება ოლიგარქები, მათი ნაწილი მაინც. ორი თვის წინ გამართული "სლავნეფტის" აუქციონი, როდესაც კომპანია კრემლთან დაახლოებულ ოლიგარქს საბაზროზე გაცილებით დაბალ ფასად მიჰყიდეს, ცხადად მოგაგონებდათ ელცინის დროს. პუტინის ძალაუფლების შეზღუდულობის მეორე მაჩვენებელია რაო ეეს-ის რეფორმირების მუდმივი გადადება. რაოს დაშლაზე საუბარი, უკვე ოთხი წელია, რაც მიმდინარეობს, მაგრამ პუტინმა ამის განხორციელება ვერაფრით ვერ მოახერხა.

და ბოლოს, პუტინი აცხადებდა, რომ სახელმწიფოს გაძლიერება სურდა. რეალურად, ჩემი აზრით, მან შეასუსტა სახელმწიფო, მისი ჩვენეული გაგებით, რადგან ძირი გამოუთხარა მის სამართლებრივ საფუძველს. რაც მან გააძლიერა, იყო იძულების მექანიზმები, რამაც სამთავრობო პოლიტიკა კიდევ უფრო პერსონალიზებული და სუბიექტური გახადა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს კიდევ უფრო ასუსტებს სახელმწიფოს.

საით წავა პუტინი? ერთი მხრივ, მან შეიძლება გააგრძელოს ახლანდელი გზა, იოლად მოიგოს არჩევნები და ვითარების გაუმჯობესებას არ ეცადოს. ან, მეორე მხრივ, მან შეიძლება, სცადოს მოსახლეობის მობილიზაცია და სისტემის შეცვლა, თუმცა ამის შანსი უკვე საკმაოდ მცირეა.

- რა უნდა პუტინს?

- მე არ ვიცი, რა უნდა პუტინს, გარდა იმისა, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს, ვფიქრობ, მას სურს ეკონომიკური რეფორმების გატარება და, ამავე დროს, პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვა. ეს ურთიერთგამომრიცხავი მიზნებია, და ამიტომ, მან ვერც ერთში მიაღწია წარმატებას და ვერც მეორეში. როგორც უკვე ვთქვი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რა სურს პრეზიდენტის გარემოცვას.

- როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთი მომავალი არჩევნების შემდეგ?

- სავარაუდოა, რომ ელიტა კიდევ უფრო მეტად შეეცდება საკუთარი პოზიციების გაძლიერებას და უფრო ნაკლებად – რეფორმების გატარებას. თუმცა, ყველაფერს, რასაც აკეთებენ, ისინი რეფორმას უწოდებენ. პუტინიც, ალბათ, ველარ მოახერხებს, გვერდი აუარონ იმ პრობლემებს, რომლებზეც დღეს თვალს ხუჭავს. თუ ნავთობის ფასი დაეცემა, ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. მის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას სერიოზული ოპოზიცია ჰყავს, რომელიც თავის სიტყვას იტყვის.

პუტინის პერსპექტივების შეფასებისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ელცინის ბედი. როგორც კი პუტინს პოლიტიკურ სისუსტეს შეამჩნევენ, ელიტა მაშინვე დაიწყებს მისთვის ძირის გამოთხრას და მისი მემკვიდრის შერჩევისათვის ბრძოლას. ამის ნიშნები უკვე ჩანს. აქამდე პუტინს ყოველთვის უმართლებდა და, ალბათ, ასეც გაგრძელდება. თავისი წინამორბედის სისუსტე მისთვის დიდი უპირატესობაა. ყოველ შემთხვევაში, ქონების მუდმივი გადანაწილება, რაც რუსეთის ელიტის ძირითადი მახასიათებელია, გაგრძელდება და სულ უფრო გამწვავდება, რადგან გასანაწილებელი ბევრი აღარაფერი დარჩება.

- ბევრი ამტკიცებს, რომ პუტინი აშენებს სახელმწიფოს, რომელიც ბევრი რამით წააგავს ნაცისტურს.

- ვფიქრობ, ეს არასწორი შედარებაა. შეიძლებოდა, დღევანდელი რუსეთი პერონისდროინდელი არგენტინისათვის შეგვედარებინა, თუმცა მაინც არის მნიშვნელოვანი განსხვავებები. ჯერ ერთი, პუტინი არ ახდენს რაიმე მიზნის მისაღწევად მოსახლეობის მობილიზაციას, მეორეც, რუსეთის მთავრობაში რასისტული და შოვინისტური ელემენტები თითქმის არ არის (თუ ჩეჩნეთის ომს არ ჩავთვლით). ესენი ზომიერი ნაციონალისტები არიან. დღევანდელი რუსეთი ბიუროკრატიზებული, ცენტრალიზებული სახელმწიფოა.

ჩრდილოეთ კორეამ თავისი ლიდერის დაბადების დღე იზეიმა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის დაბადების დღე სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა. გუშინ ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურს 61 წელი შეუსრულდა. მართალია, ეს არ არის მრგვალი თარიღი, მაგრამ ამ ფაქტმა საზეიმო განწყობის განელება ოდნავადაც ვერ შეძლო.

საერთო სახალხო დღესასწაული ფხენიანში.

REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

ფხენიანში ოფიციალური საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ცენტრალურ ქუჩებში საერთო სახალხო სეირნობა გაიმართა. პარალელურად, ქვეყნის სამხედროებმა მიიღეს ხელისუფლების ბრძანება, რომ ერთი წამითაც კი არ მოადუნონ სიფხიზლე და ნებისმიერ წუთს მტრის შემოჭრისათვის იყვნენ მზად. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეა შეერთებულ შტატებთან მწვავე კონფრონტაციაში იმყოფება. ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიმშილობს. თუმცა, ამას გუშინ გამართულ ზეიმზე გავლენა არ მოუხდენია. კვირას, 16 თებერვალს მთელი ქვეყნის მოსახლეობა ლიდერის დაბადების დღეს ზეიმობდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა აღლუმები, მოეწყო ყვავილების გამოფენები, ჩატარდა კონცერტები. ღამით კი სახალხო ზეიმი მთელ ქვეყანაში ფეიერვერკებით დასრულდა.

საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ჯერ კიდევ შაბათს დაიწყო, პირდაპირ ეთერში მთელი დღის მანძილზე ქვეყნის ნაციონალური ტელევიზიით გადაიცემოდა.

კიმ ჩენ ირის დაბადების დღე გუშინ ყვავილების აქამდე არნახული გამოფენითაც აღინიშნა. ყვავილების თაიგულების დამზადებაზე, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, მრავალმა ათასმა მილიციონერმა და ჯარისკაცმა დაღვარა ოფლი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ჩინოვნიკებმა მასშტაბური ექსკურსია მოაწყვეს პექტის მთაზე, სადაც, ოფიციალური ვერსიით, კიმ ჩენ ირი დაიბადა. დასავლელი მკვლევარები კი ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი ხელისუფალი რუსეთში, ხაბაროვსკის ოლქში დაიბადა, სადაც მამამისი მსახურობდა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 2000 წლამდე კიმ ჩენ ირის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. ამჟამად კი ის მსოფლიოსათვის ერთ-ერთ ძირითად საფრთხედ არის მიჩნეული.

თავად ჩრდილოეთ კორეის ლიდერს დასავლეთის პოლიტიკოსები, რომელთაც კიმ ჩენ ირი შეხვედრია, უაღრესად განათლებულ პიროვნებად ახასიათებენ, რომელსაც უყვარს გემრიელი კერძები და კარგი ღვინოები.

რამდენიმე თვის წინ იაპონიის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, კიმ ჩენ ირის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის პოსტს მისი შვილი კიმ ჩენ ჩული დაიკავებს, რომელიც ამჟამად მხოლოდ 21 წლისაა.

ბელგია ნატო-ს კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობს

საფრანგეთთან და გერმანიასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, ბელგიის ხელისუფლებამ ნატო-ში შექმნილი კრიზისის განმუხტვის მიზნით კომპრომისული ვარიანტის შესახებ გააკეთა განცხადება. როგორც ცნობილია, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი განხეთქილების პირას იმყოფება, რადგანაც გერმანია, საფრანგეთი და ბელგია არ თანხმდებიან თურქეთის დასაცავად ღონისძიებების განხორციელებაზე.

ბელგიის ხელისუფლების მიერ წამოყენებული კომპრომისული ვარიანტი ზემოაღნიშნული სამი სახელმწიფოს მიერ საკითხზე დადებული ვეტოს მოხსნას ითვალისწინებს, თუკი ალიანსი გარკვევით განაცხადებს, რომ თურქეთისათვის დახმარების გაწევა არ გამოიწვევს ნატო-ს ჩართვას ერაყის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციებში. განცხადება ამის თაობაზე ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გი ვერხოფსტადმა გააკეთა.

მანამდე, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ბელგიას, საფრანგეთსა და გერმანიას ალიანსის დაშლის მცდელობაში დასდო ბრალი. "ნატო მრავალი ერის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენს. თუ თქვენ მის დაშლას ცდილობთ, პასუხისმგებლობაც თქვენვე უნდა იკისროთ," - განაცხადა რობერტსონმა ალიანსის საბჭოს სხდომაზე, რომლის ვიდეოჩანაწერიც ბელგიის ფრანგულენოვანმა არხმა გადასცა.

ჯერჯერობით უცნობია ალიანსის დანარჩენი წევრების რეაქცია ბელგიის კომპრომისულ ინიციატივაზე.

ბინ ლადენი ახალ განცხადებას ავრცელებს

ლონდონში გამომავალ არაბულენოვან გაზეთ "ალ-ხაიათში" გამოქვეყნებულია "ალ-ქაიდას" ლიდერის ოსამა ბინ ლადენის ახალი გამოსვლის ფრაგმენტები. გაზეთის რედაქცია ამტკიცებს, რომ ბინ ლადენის გამოსვლის აუდიოჩანაწერი ინტერნეტში იმ ვებ-გვერდზე აღმოაჩინა, რომელიც ნომერ პირველი ტერორისტის მომხრეების მიერ არის შექმნილი. ისევე როგორც წინა მიმართვაში, ამჯერადაც ბინ ლადენი მუსულმანებს აშშ-ს წინააღმდეგ სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლისაკენ მოუწოდებს. **"ამერიკელების არ უნდა გვეშინოდეს. აშშ არა მარტო ერაყზე, არამედ სხვა არაბულ სახელმწიფოებზეც გეგმავს თავდასხმას,"**- აცხადებს "ალ-ქაიდას" ლიდერი.

გაზეთი "ალ-ხაიათის" ცნობით, ადამიანი, რომელიც ამ განცხადებას აკეთებს, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს იდიოტს უწოდებს და აცხადებს: **"11 სექტემბერმა გვიჩვენა, რომ აშშ-ს დამარცხება შესაძლებელია. ასე რომ, მათი არ უნდა გვეშინოდეს."**

აღსანიშნავია, რომ "ალ-ხაიათი", რომელიც საუდის არაბეთიდან სოლიდური თანხებით ფინანსდება, 50-წუთიანი გამოსვლის მხოლოდ ფრაგმენტს აქვეყნებს. გაზეთის თანმშრომლების თქმით, აუდიოჩანაწერზე მამაკაცის ხმა საკმაოდ მკაფიოდ და სუფთად ისმის.

კვლავ ისმის კითხვა, ეკუთვნის თუ არა ეს აუდიჩანაწერი ოსამა ბინ ლადენს? რედაქციის ხელმძღვანელობის და თანამშრომლების თქმით, ამ ტექსტის ავტორი სწორედაც რომ ნომერ პირველი ტერორისტია და მისი მიმართვა რამდენიმე კვირის წინ არის ჩაწერილი.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას, ყატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ბინ ლადენის პირველი მიმართვის ტექსტი გაავრცელა, რომელიც მუსულმანებს კამიკაძეობისკენ და "ღირსეული" სიკვდილისკენ მოუწოდებდა. რამდენიმე დღის წინ წყარომ აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში დაადასტურა, რომ "ალ-ჯაზირას" ეთერით მართლაც ბინ ლადენის ხმა გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ოსამა ბინ ლადენის ბოლოდროინდელი მიმართვების ფონზე აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია შემოღებული. ორივე ქვეყნის სადაზვერვო უწყებები აცხადებენ, რომ გააჩნიათ უტყუარი მონაცემები, რომელთა თანახმადაც "ალ-ქაიდა" ახალ ტერორისტულ დარტყმებს ამზადებს.

ერაყის თავდაცვის საიდუმლო გეგმა

აშშ-ს სადაზვერვო უწყებებმა ერაყის ადმინისტრაციის საიდუმლო გეგმა მოიპოვეს, რომელიც აშშ-ს სამხედრო დარტყმების მოგერიებას ეხება. ამ დოკუმენტში ასახულია ერაყის სამხედრო სტრატეგია, რომელიც ამერიკელების ქვეყნის სიღრმეში გადაადგილებისათვის დაბრკოლებების შექმნას და ბაღდადის ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლების გამართვას ითვალისწინებს. ამის თაობაზე ინფორმაცია "ნიუ-იორკ ტაიმსის" გუშინდელმა გამოშვებამ გაავრცელა.

ერაყელები ამერიკელებისათვის დაბრკოლებების შექმნას დამბების, ხიდების და ნავთობის საბადოების აფეთქებებით აპირებენ. გარდა ამისა, საიდუმლო გეგმის თანახმად, ერაყის ხელისუფლება აპირებს, ქვეყნის სამხრეთ რაიონებს საკვები პროდუქტების მიწოდება შეუმციროს. ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს შიმშილს და ერაყის სტრატეგების აზრით, სიძნელეებს შეუქმნის ამერიკელ სამხედროებს, რომლებიც იძულებულნი გახდებიან, თავის თავზე აიღონ ომის შედეგად მოშიმშილე მოსახლეობის უზრუნველყოფა.

თავად ქვეყნის დედაქალაქს – ბაღდადს კი ერაყის ელიტარული რესპუბლიკური გვარდიის ორმაგი წრე ექნება შემოვლებული.

გარდა ამისა, აშშ-ს სადაზვერვო უწყებები დარწმუნებულნი არიან, რომ ომის დაწყებისთანავე, ერაყი "სკადის" ტიპის რაკეტებით შეტევას განახორციელებს ისრაელის წინააღმდეგ.



თბილისელი პედაგოგები გაფიცვისთვის ემზადებიან

განათლების პროფკავშირის თავმჯდომარის, მანანა კობახიძის განცხადება, თუ 17 თებერვლიდან თბილისელი პედაგოგებისთვის იანვრის ხელფასის დარიგება არ დაიწყება, გაფიცვებს მივმართავთო, გასული კვირის დასასრულს გავრცელდა. მანანა კობახიძე, რომელსაც, პროფკავშირების აქტივისტებთან ერთად, უკვე ჰქონდა საქმიანი საუბარი მერიის ვიცე-პრემიერთან, მიიჩნევს, რომ თბილისს არაფერი სჭირს საიმისო, მასწავლებლებს ჯამაგირი დაუგვიანოს. შესაბამისად, შექმნილ სიტუაციას იგი სულაც არ მიიჩნევს ძნელად განსამუხტავად.

მაკა ჯაიანი

“დედაქალაქში დასაქმებულებს არც ტრანსფერის ლოდინი სჭირდებათ და არც ბიუჯეტიდან გაგზავნილი თანხების მათი სამსახურების ანგარიშზე ჩარიცხვამდე დროის გაყვანა. ასე რომ, არ შეიძლება, თბილისელ პედაგოგებს ხელფასის პრობლემა ჰქონდეთ. ჩვენ ისეთს არაფერს გავაკეთებთ, რომ ბავშვებს ვავნოთ, მაგრამ პროტესტს აუცილებლად გამოვხატავთ”, - აცხადებს მანანა კობახიძე. დასაწყისისთვის, პროტესტი იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებლები გაკვეთილების შემდეგ მერიის წინ შეიკრიბებიან, შემდეგ კი, შესაძლოა, თბილისი სასწავლო პროცესის ჩაშლის წინაშეც დადგეს.

ყველაფერი ეს, შეიძლება, უკვე ხვალიდან დაიწყოს. განათლების პროფკავშირებში ძალიან ცდილობენ, მათ აქციას პოლიტიკური სარჩული არ დაედოს, მაგრამ მერიის შესაბამის სამსახურში მასწავლებელთა მოსალოდნელ გაფიცვას სწორედ ასე განიხილავენ. **“თუ ვინმეს უნდა, გაფიცვებმა და უბედურებამ მოიცვას ქალაქი, იცოდეს, ამას ვერ მიაღწევს!** - კატეგორიულია მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსი ამირან ჯებისაშვილი, - **ბოლო 7-8 თვის განმავლობაში მასწავლებელთა დავალიანება ჩვენ არ გვქონია, ხელფასის დარიგება კი ქალაქში 20 რიცხვიდან იწყება.”**

ავანსის დროისთვის ხელფასის დარიგების მიზეზებს მერიის საფინანსო განყოფილების უფროსი იმით ხსნის, რომ თვის დასაწყისისთვის ბიუჯეტში შემოსავლების მხოლოდ 20 პროცენტი შემოდის, ძირითადი თანხები კი სწორედ თვის ბოლოს გროვდება. **“სკოლებისა და ბაგა-ბაღების პერსონალის ხელფასებისთვის, კვებისა და სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის ქალაქს ყოველთვიურად 3,5 მილიონი სჭირდება, თვის პირველი რიცხვებისთვის კი მხოლოდ 1,5 მილიონი გვიზის ანგარიშზე. ამ ფულით ხელფასები როგორ, ან ვის დავურიგოთ?”** - კითხულობს ჯებისაშვილი.

სულ სხვაგვარად აფასებენ მდგომარეობას დედაქალაქის საკრებულოში. სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელის, იოსებ შატბერაშვილის აზრით, საქმეს აუწყობელი სისტემა აფუჭებს. **“ყველაფერი ავტოპილოტივით უნდა იყოს აწყობილი. აქ კი, გასულ ზაფხულს, მასწავლებლებს ხელფასი სამი თვის განმავლობაში ვერ მისცეს. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. თუმცა, ძნელია, რამე შეცვალო, როდესაც გყავს უნდობლობაგამოცხადებული მერი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს”**, - ასეთია მისი შეხედულება.

როგორი სანახავი იქნება ხვალიდან დედაქალაქის მერიის მისადგომები, უკვე ამ საღამოსთვის გახდება ცნობილი. რაც უნდა იყოს, უახლოეს დღეებში, მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილების მასობრივი გაცდენის იმედი თბილისელ მოსწავლეებს არ უნდა ჰქონდეთ. თუ დედაქალაქის ბიუჯეტი 20-სა და 17-ს შორის არსებულ “მანძილს” შეამცირებს, დიდად ხელის გამოღება არც ქალაქის მთავრობის დაცვის სამსახურებს დასჭირდებათ. ასე რომ, საქართველოს მთავარ ქალაქში ცოტა ხანს კიდევ იქნება სიმშვიდე...

ინფორმაცია

ვუშველოთ ვარძიას

დღეს 100 წელი შეუსრულდებოდა ნიკოლოზ (კოლია) ნათენაძეს, რომელმაც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, ცხვრის სადგომად ქცეული დაბინძურებული, კლდეში ნაკვეთი ქალაქის - ვარძიის მოვლა-პატრონობა იკისრა. შუა საუკუნეების ამ ერთ-ერთი უნიკალური ძეგლის ახლანდელი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამონასტრო კომპლექსი ძლიერ დაზიანებულია; დაბზარულია კლდის ნაწილი, რომელსაც გამაგრება ესაჭიროება; სარესტავრაციოა ცენტრალური გვირაბი. ვარძია, როგორც ციხე-ქალაქი, იუნესკოს ნუსხაში იმიტომ არ არის შესული, რომ არ სრულდება იუნესკოს ძირითადი მოთხოვნა - ძეგლის მიმართ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ იცვლება. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი უახლოეს მომავალში, სამონასტრო კომპლექსის ადგილზე შესწავლის მიზნით, ვარძიაში ექსპერტებს მიავლენს. შესაძლოა, ძეგლის რესტავრაციისთვის დეპარტამენტმა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართოს. **მედია-ნიუსი**

წერილები ისრაელიდან

საქართველოში ისრაელის ელჩის, რივკა კოჰენის ინიციატივით, თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ებრაელ თანატოლებს დაუმეგობრდნენ. ეს სკოლა ერთადერთია, რომელშიც ივრითს ასწავლიან. ივრითის მასწავლებლის, მარინე თავართქილაძის განცხადებით, ისრაელის ქალაქ ცფათის ჰაარის სკოლის მოსწავლეებისგან ქართველმა თანატოლებმა პირველი სამეგობრო ბარათები მიიღეს. მისი თქმით, წერილები 67-ე საშუალო სკოლის დირექციის მიერ შერჩეულმა იმ 50-მდე მოსწავლემ მიიღო, რომელიც ებრაულ ენაზე წერილების წერასა და კითხვას დამოუკიდებლად შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ელჩი 67-ე სკოლას ებრაული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებით მომარაგებას დაპირდა. იგი ამ სკოლას ებრაელთა ყველა დღესასწაულზე სტუმრობს და მოსწავლეებს ფასიანი საჩუქრებით ახალისებს. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

ახმეტა. გასული კვირის განმავლობაში ახმეტაში ტრიქონელოზის ეპიდაფეთქება დაფიქსირდა. დაავადება ვეტერინარულად შეუმოწმებელი ღორის ხორცის მოხმარებამ გამოიწვია. დაავადებულთა ზუსტი რიცხვი დაუდგენელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გარდაბანი. სოფელ ლემშვენიერაში ჯილეხის ერთი შემთხვევა გამოვლინდა. დაავადდა 23 წლის მამაკაცი, რომელმაც საქონელი გაატყავა. საბედნიეროდ, ინფიცირებული ძროხის ხორცის გაყიდვა ვერ მოესწრო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გარდაბანი. 7 წლის ბავშვი გარდაიცვალა. ახლობლების მტკიცებით, სიკვდილი ძაღლის ნაკბენმა გამოიწვია. ძაღლი, რომელზეც ეჭვობდნენ, ცოცხალია და ცოფი არ გამოვლენია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იანვარ-თებერვალში საქართველოში გრიპის 130 შემთხვევა დაფიქსირდა; გრიპისმიერი გართულებებით გარდაიცვალა 11 წლის ბავშვი და 53 წლის ქალბატონი. მწვავე რესპირატორული დაავადებების საერთო რიცხვმა 500-ს მიაღწია, თუმცა, ეპიდემიოლოგთა აზრით, ეს სტატისტიკა რეალურ სურათს არ ასახავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ლანჩხუთი. დიფტერიაზე 200-ზე მეტი ადამიანი გამოიკვლიეს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, გამოკვლევების ჩატარება ორი კვირის წინათ სოფელ აცანაში დიფტერიით 6 წლის ბავშვის გარდაცვალებამ გამოიწვია. გამოკვლევები აცანასა და მეზობელ სოფელ აკეთში ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

უნამუსოდ იყიდება ძველი თბილისი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

უსახლკარობის ასამდე კანდიდატის უფლებების დაცვა ორგანიზებულად დაიწყო.

თბილისის უნამუსოდ გაყიდვის პროცესი, რომელიც შევარდნაძის მიერ სსრკ-ს დაშლისა და საქართველოში ე.წ. დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დაიწყო, შესაშური წარმატებით მიმდინარეობს და დღითი-დღე იკრებს ტემპს. ამ საქმეში თავისი ლომის წილი შეაქვს ჩვენს რეფორმირებულ სასამართლოსაც, რომელიც ტყაპა-ტყუპით ყრის თბილისელებს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და დედაქალაქის ძველ უბნებს საკუთრებაში უმტკიცებს “ვილაც-ოვებს”, “ვილაც-ოღლებსა” და “ვილაც-იანებს”. ძირძველი ქალაქელების მისამართით სასამართლო განაჩენებში პირდაპირ წერია, გამოსახლებულ იქნეს თანმხლები პირებითურთო, მაგრამ კომპენსაციებზე და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე ნათქვამი არაფერია.

ყველაფერი 5-6 წლის წინათ დაიწყო, როცა კანონით მესაკუთრეებს ფართის ფლობაზე შეზღუდვა მოეხსნათ, რაც პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ბოროტების საფუძველი გახდა. არსებულმა და არარსებულმა, მაგრამ სოკოსავით გაჩენილმა ე.წ. მესაკუთრეებმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს ხალხის გასახლება და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სასამართლოს მხარდაჭერაც მიიღეს. არადა მობინადრეთა აბსოლუტურ უმრავლესობას თავიანთი საცხოვრებელი ფართი მესაკუთრეებისგან ნაღდი ფულით აქვს ნაყიდი (შემონახულია ამის დამადასტურებელი ნასყიდობის ფურცლებიც) და ამდენად ამ ფართის მფლობელიცაა. პრობლემის არის, რომ ყიდვა-გაყიდვა ოფიციალურად გაფორმებული არაა, ვინაიდან კომუნისტების დროს ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

შემდეგ, ცხადია, ყველა თავის საცხოვრებელს უვლიდა და თუ დღეს თბილისის ეს ძველი უბნები ფეხზეა, სწორედ ამ განწირული ხალხის დამსახურებაა. ბევრმა ძველ საცხოვრებელს ახალი ფართი მიუმატა (მრავალ სარემონტო ხარჯებზე აღარაფერს ვამბობთ), მაგრამ სასამართლოს ეს არ გაუთვალისწინებია. ამას არც ის ადამიანები იხსენებენ, რომლებიც თავს მესაკუთრეებად ასაღებენ და უსინდისოდ ტყუიან. სხვათაშორის, ბევრ მათგანს ფრიად საეჭვო წარმომავლობა აქვს და არაფერ კავშირშია ნამდვილ მესაკუთრესთან. სასამართლოს არც ეს ანაღვლებს. საბოლოო ჯამში მოქალაქეებს, რომლებსაც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 200-250 დოლარად აქვთ ნაყიდი, ქუჩებში უპირობოდ ყრიან.

გუშინ უსახლკარობის ასამდე კანდიდატი ვერის ბაღში შეიკრიბა და საკუთარი უფლებების დაცვა ორგანიზებულად დაიწყო. ამისათვის შეიქმნა “ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირი”, რომელიც ცდილობს, გააერთიანოს ყველა ანალოგიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი და შეინარჩუნოს მოქალაქის კუთვნილი უფლება საცხორებელზე, პირადობის დამადასტურებელ საბუთზე და არჩევნებში მონაწილეობაზე.

დიახ, ეს ხალხი არაერთი წლის მანძილზე ქვეყნის მოქალაქის უფლებებს მოკლებულა. მათ არ შეუძლიათ პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება მესაკუთრის თანხმობის გარეშე და ვერც იღებენ. ამდენად, არ ჩევნებებშიც ვერ მონაწილეობენ. ბოლოსდაბოლოს, ამ ხალხმა ისეთი რა დააშავა, რომ საკუთარ სამშობლოში ასე უუფლებონი არიან. სასამართლოს არც ეს კითხვა აწუხებს.

მოვუსმინოთ ამ ხალხს:

“მამაჩემმა 1921 წელს სახლის მეპატრონეს 20 ოქროს თუმნიანი მისცა, საცხოვრებელი იყიდა. მას შემდეგ იმ ბინაში 4 თაობა აღიზარდა. 1996 წელს სახლის მეპატრონე გახდა ვინმე მანუკიანი და შარშან 8 ოქტომბერს სასამართლომ გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო.”

“ლამაზი თვალების გულისთვის ჩვენ თავის ბინაში არავის შეგვიშვებდა. მეპატრონეები ერთი და იგივე ბინებს რამდენჯერმე ჰყიდდნენ...”

“იცით, სად არის ძაღლის თავი დამარხული?! ლაპარაკია თბილისის ძველ, პრესტიჟულ უბნებზე (ვერა, მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი), რომელთა ხელში ჩაგდება ყველას სურს. ბევრი ადამიანის დაკმაყოფილება ძნელია. თითო-თითო მესაკუთრეს კი ადვილად გაისტუმრებენ. ამიტომაც უნდათ ჩვენი თავიდან მოცილება...”

“ისანში ვცხოვრობ. 80 წლის ვარ. ჩვენი სახლის მეპატრონე ავეტისოვა იყო. ახლა გამოჩნდა ვიღაცა, მოხუც ქალს, რომელიც სიბერისგან აზრზე აღარ არის, რაღაც საბუთებზე ხელს აწერინებს და... სახლში “დუბინკებით” მომივარდნენ, 240 წნევა მქონდა და გარეთ მაგდებდნენ...”

“ზეგ მაქვს გამოსახლება. იარაღი ხელში არასდროს მჭერია, მაგრამ იცოდეთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, სისხლი დაიღვრება. ასეთი შემთხვევები იყო ბელინსკის ქუჩაზე, მაყაშვილის ქუჩაზე და კიდევ იქნება...”

“დოკუმენტები მაქვს, რომ ჩვენი გამოსახლებისთვის, ნამდვილი თბილისელი მესაკუთრეები კი არ იბრძვიან, არამედ სხვები, სხვა ადგილებიდან ჩამოსული საეჭვო პიროვნებები...”

ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ნანა ტყეშელაშვილი: **“ჩვენ ვართ 70 ათასი. უპირველესად მოვუწოდებ ჩვენს ხალხს, მოვიდნენ ჩვენთან, განვრიანდნენ კავშირში და იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის. მისამართია გოგებაშვილის მეორე შესახვევი N5, ტელეფონი - 893/20-26-24.”**

ნანა ტყეშელაშვილმა იქვე დაიწყო კავშირის ორგანიზებული საქმიანობა. ხალხის სურვილია, პარლამენტში შეიქმნას შესაბამისი კომისია, რათა კანონი დაიხვეწოს და საკითხი სამართლიანად გადაწყდეს.

ცხადია, სანამ თბილისი იარსებებს, თბილისელებს სახლებიდან ვერავინ გამოყრის, თუნდაც ათი რეფორმირებული სასამართლო დაეცეს თავს, მაგრამ საინტერესოა, რეფორმირებულ მოსამართლეთა აზრი ამ ყველაფერზე.

სახელმწიფო პროგრამები ბავშვებს ქუჩაში აბრუნებს

ირინე სანებლიძე

ბექა გულუაშვილის ფოტო

ამ ბავშვების თავშესაფარია – მანქანის საბარგული.

ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები საქართველოს ბავშვთა ინსტიტუციებში თექვსმეტ-ჩვიდმეტ წლამდე რჩებიან. იმის გამო, რომ ბევრ მათგანს წასასვლელი არსად აქვს, მერეც იქ აგრძელებენ ცხოვრებას. მხოლოდ ცხრა კლასის განათლებითა და საკუთარი ხელმარჯვეობით მათი დასაქმება პრობლემურია - სამუშაო ადგილები ისედაც ჭირს. მათი უმეტესობა ქუჩაში გამოდის. ამჟამად, ქვეყნის მომავალი თაობისთვის ქუჩაში ფულის შოვნა უფრო მარტივია.

დაახლოებით შვიდი წლის წინ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმეების და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისია. კომისიის მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით განათლების სამინისტროსთან დაარსდა არასრულწლოვანთა საქმეების საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც დაევალა “არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამით” გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

“გათვალისწინებულ სამუშაოებში” იმდენი რამ იგულისხმებოდა, რომ მისი შესრულება ერთი დიდი სისტემის შექმნას გულისხმობდა.

რაკი ვერ გაკეთდა, პრეზიდენტის 2000 წლის ბრძანებულებით, კიდევ ახალი პროგრამა ამოქმედდა, რომელიც პირველის გაგრძელებას წარმოადგენს.

ორივე პროგრამა დღემდე ნაწილობრივ ხორციელდება. ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად უფინანსობა რჩება. პრეზიდენტის ბრძანებულებით ბოლო პროგრამისთვის, გია გვენცაძის თქმით, სამი წლის განმავლობაში სამი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, საიდანაც პროგრამამ რეალურად მხოლოდ 7 პროცენტი თუ მიიღო.

ფინანსების გარდა სხვა პრობლემები აქვს სახელმწიფოს, საზოგადოებას, ქუჩაში გამოსულ თითოეულ მოზარდს. “მოზარდი რომ დაასაქმო, განათლება, სპეციალობა, ხელობა უნდა ასწავლო. დღესდღეობით თითქმის ყველა ტექნიკუმი უკვე ფასიანია. ბავშვთა ინსტიტუციების აღზრდილები ყველაზე ხშირად დალაქებად და მძღოლებად შოულობენ სამსახურს. თუმცა ზოგი სამჭედლოში დავასაქმეთ, ოქრომჭედლებს მივამაგრეთ, ზოგიც მტვირთავად მუშაობს”, - გვითხრა გია გვენცაძემ. მაგრამ სტატისტიკა მაინც არც ისე შესაშურია; გია გვენცაძის თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბავშვთა ინსტიტუციების 50-მდე აღზრდილი დასაქმდა.

“ბავშვთა უმრავი კონვენცია საკმარისი არ არის, - თვლის გია გვენცაძე. - პირველ რიგში საჭიროა კანონმდებლობის შექმნა, რაც პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებს კალაპოტში მოაქცევს. ქუჩაში გამოსვლა ნორმა და გამოსავალი არ უნდა იყოს. ახლა კი რა გამოდის - ქუჩიდან შემოყვანილ ბავშვს ისევ ქუჩაში ვუშვებთ?!”

რა ხდება ქუთაისის სკოლებში?

“ჩემს სკოლაში მერხებს და სკამებს ბავშვებს გვაკეთებინებენ. სკოლაში არ არის გათბობა, წყალი, შუქი. ლამპის შუქზე თვალები გამიფუჭდა. სულ ფული და ფული მიმაქვს სკოლაში, არ მაქვს ამდენი საშვალება... მასწავლებლები დასვენებაზე ეზოში არ გვიშვებენ, სკოლა კი არა, ციხესიმაგრეა. ფიზკულტურის გაკვეთილზე ხმაურს გვიშლიან, ეს როგორ შეიძლება”...

ეთერ მამულაშვილი

ამ წერილის ავტორია თორმეტი წლის ქუთაისელი გიორგი გაბრიაძე. ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მეექვსეკლასელი გიორგი განათლების სამინისტროსადმი მიძღვნილ ერთგვერდიან წერილში, სხვა დისკომფორტთან ერთად, სასკოლო სახელმძღვანელოების უვარგისობასაც უჩივის. გიორგის მსგავსად, რამდენიმე მასწავლებლის და, საერთოდ, სკოლაში არსებული სიტუაციის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ მისი თანასკოლელებიც. მაგალითად, იმავე გიმნაზიის მეხუთეკლასელი გიორგი ჩიკვაიძე ვერ გარკვეულა, თუ რატომ უტყაპუნებენ უმიზეზოდ თავში მას და მის კლასელებს მასწავლებლები. ან რა აყვირებს ქართულის მასწავლებელს. ერთ-ერთი მეშვიდეკლასელის თქმით, გიმნაზიის თითქმის ყველა მასწავლებელი ნიშნებს, ძირითადად, ფულზე და ნაცნობ-მეგობრების ხათრით წერს. ზოგიერთი გიმნაზისტი მასწავლებლების მხრიდან სოციალურ დისკრიმინაციას შეუწუხებია. წერილებიდან ისიც ირკვევა, რომ ზოგიერთ პედაგოგს, თურმე, ხელებიც კარგად “ექავება”. როგორც ჩანს, მოსწავლეთა გაწკეპვლა და გაროზგვა ოცდამეერთე საუკუნის ქუთაისშიც არ კარგავს აქტუალობას.

“მე მინდა, სკოლაში მასწავლებლები არ გვირტყამდნენ და ჩემი სკოლა იყოს ისეთი, რომ შიგ შესულმა ბავშვმა რამე ავადმყოფობა არ აიკიდოს. იყოს გათბობა, სინათლე და მასწავლებლებმა მდიდარი და ღარიბი მოსწავლეები არ გაარჩიონ... მე ბევრი რამე მინდა, მაგრამ ვინ ამისრულებს?” - ეს წერილი, რომელსაც კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს, ხელმოუწერელია. ეტყობა, ამ გიმნაზიაში ზოგიერთ პედაგოგს სიტყვისა და აზრის თავისუფლება მაინცდამაინც არ უნდა ეჭაშნიკებოდეს.

ამ მხრივ ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზია ქუთაისში “ეგზოტიკური” და თითით საჩვენებელი ნამდვილად არ არის. სკოლისა და პედაგოგების მისამართით დაახლოებით იგივე ბრალდებები მოვისმინეთ ქუთაისის 35-ე, მე-4, 23-ე, 25-ე, 38-ე სკოლების, ოცხელის სახელობისა და წმიდა ნინოს გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლებისგან.

ქუთაისის სკოლების, მათი დირექტორებისა და მასწავლებელთა მიმართ იმ ბრალეულობის ჩამონათვალი, რომელიც მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირმა “სოლიდარობამ” წარმოგვიდგინა, უფრო ვრცელია.

მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალთან ერთად, გასული წლის სექტემბრიდან ქუთაისში ახორციელებს პროექტს “განათლება კორუფციის გარეშე”. პროექტის მიზანია სასწავლო დაწესებულებებში არსებული კორუფციული ფაქტების გამოვლენა, მშობლების, საზოგადოებისა და სათანადო ორგანოების ინფორმირება ქალაქის განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

“სოლიდარობის” ადვოკატის, მაია ლიპარტელიანის თქმით, პროექტის განხორციელების პირველივე ეტაპზე მათ ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ზოგიერთი სკოლის დირექტორების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდათ. “სკოლის ხელმძღვანელობისგან ჩვენ მოვითხოვდით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობასთან ერთად, მათ სახელობით სიებს, გვსურდა, გაგვეგო სკოლებში კლას-კომპლექტების რაოდენობა. ასეთი მოთხოვნა გაპირობებული იყო იმით, რომ სასწავლო დაწესებულებათა პრაქტიკაში ხშირია მოსწავლეთა სახელობითი სიის გაყალბების ფაქტები. მაგალითად, ბავშვი ირიცხება, ვთქვათ, პირველ კლასში, ამავდროულად, იგივე ბავშვი შეიძლება ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის სიაშიც დარჩეს”, - გვითხრა ადვოკატმა ლიპარტელიანმა.

“სოლიდარობის” პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე ამტკიცებს, რომ დირექტორთა უმრავლესობა სკოლებში მასწავლებლებს ნიშნავს პირადი ნაცნობობის, მეგობრობისა და რამდენიმე ასეული ამერიკული დოლარის “ხათრით”.

მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ, გასული წლის მიწურულს, სასწავლო დაწესებულებების მმართველობითი და ადმინისტრაციული ორგანოების საფინანსო საქმიანობის მონიტორინგის შედეგად სერიოზული დარღვევები გამოავლინეს ქუთაისის სკოლების, ლიცეუმებისა და გიმნაზიების დაფინანსებაში. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრის ლევან გოგელაშვილის თქმით, ქუთაისში არსებობენ ე.წ. პრივილეგირებული სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ყოველწლიურად უფრო მეტ დაფინანსებას იღებენ, ვიდრე სხვა დანარჩენები. “ასეთი სკოლის ხელმძღვანელები ან საკრებულოს დეპუტატები არიან, ან განათლებისა და საფინანსო განყოფილებასთან აქვთ მჭიდრო კავშირი”, - ამბობს გოგელაშვილი.

გოგელაშვილმა წარმოგვიდგინა მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ქალაქის ხელმძღვანელობისთვის უფრო მეტად არის დაფასებული, ვიდრე 28-ე საშუალო სკოლა. ამ უკანასკნელმა შარშან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მთელი წლის განმავლობაში, 45117 ლარი მიიღო, მაშინ როცა კლასიკურ გიმნაზიას ბედმა გაულიმა და მის ანგარიშზე 2002 წელს 147905 ლარი ჩაირიცხა. 28-ე სკოლის მსგავსი ბედი ეწია ქუთაისის მეათე სკოლას, სამაგიეროდ, ოცხელის სახელობის გიმნაზიას გასულ წელს 157425 ლარი უწყალობეს.

ახალგაზრდა ეკონომისტი ქუთაისში დამკვიდრებულ ახალ ტრადიციაზეც საუბრობს. კერძოდ: მერიის შესაბამისი სამსახურიდან სკოლისთვის საჭირო თანხის დროულად გატანის დროს, სულ ცოტა, 50 პროცენტს, ქრთამის სახით, დირექტორი საფინანსო განყოფილებაში ტოვებს.

“გასული წლის დეკემბერში ჩვენი ძალისხმევით ქუთაისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სკოლებში გათბობისათვის გამოეყო 200.000 - თვეში 50.000 ლარი. ეს თანხა უნდა განაწილებულიყო თანაბრად, საკლასო ოთახებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ წლეულს, თებერვალში გამოყოფილი 50.000 ლარიდან, 12.000. წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიამ მიიღო, დანარჩენი 38.000 კი ქუთაისის დანარჩენ სკოლებზე გადანაწილდა მეტ-ნაკლები პროპორციულობით”, - “24 საათთან” საუბრის დროს აღნიშნა მანანა ღურჭუმელიძემ.

მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთად, მოკვლეული მასალები უკლებლივ გაუგზავნა ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შესაბამის უწყებას, საქართველოს კონტროლის პალატას და განათლების სამინისტროს. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სათანადო რეაგირების ნაცვლად, ხსენებულმა უწყებებმა მათთვის ჩვეული დუმილის პოზიცია ირჩიეს.

უახლოეს დღეებში მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი “სოლიდარობა” და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, მასმედიასთან ერთად, სპეციალური შეხვედრის ჩატარებას გეგმავენ განათლების სამინისტროში. მათ იმედი აქვთ, რომ ასეთი ფორმით მაინც მიიღებენ პასუხს პირველწყაროსგან მათთვის საინტერესო კითხვებზე.

ამერიკა სიკვდილით დასჯაზე უარს არ ამბობს

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ამერიკელები პროტესტს გამოთქვამენ ქვეყნის შტატების უმრავლესობაში სიკვდილით დასჯის პრაქტიკის არსებობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებთან, მათი მოქალაქეების სიკვდილით დასჯის გამო, ამერიკის ხელისუფლებას ურთიერთობა ეძაბება, შეერთებული შტატების მთავრობა მაინც არ ამბობს უარს დამნაშავეთა მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომად სიცოცხლის მოსპობის გამოყენებაზე.

სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა მიტინგი.

რამდენიმე ხნის წინ მექსიკის მთავრობამ ჰააგის საერთაშორისო სამართლიანობის სასამართლოს თხოვნით მიმართა, აუკრძალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ათეულობით სიკვდილმისჯილი მექსიკელის განაჩენის სისრულეში მოყვანა. მოთხოვნას თან ახლავს 48-გვერდიანი დოკუმენტი, რომლითაც სასამართლოს მოუწოდებენ, ამერიკას აუკრძალოს მექსიკელთა სიკვდილით დასჯა და მათი ხელმეორედ გასამართლება აიძულოს.

სხვათა შორის, შარშან მექსიკის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტი იმ მიზეზით გადადო, რომ თეთრმა სახლმა უარი თქვა ერთ-ერთი მექსიკელის სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე.

ასეთი წინააღმდეგობა აშშ-ს უახლეს ისტორიაში პირველი არ გახლავთ. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 2001 წლის ივნისში გერმანიასა და ამერიკას შორის. მაშინ საუბარი ეხებოდა გერმანიის მოქალაქეებს, ძმებ ლა გრანდებს. მაშინ ჰააგის სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს სამართალდამცველებმა, ვენის კონვენციის საწინააღმდეგოდ, ძმებს უფლება არ მისცეს, მიემართათ გერმანიის კონსულისთვის. ამიტომაც, ამერიკელებს მოუწოდა, სისრულეში არ მოეყვანათ უოლტერ ლა გრანდის სიკვდილით დასჯის განაჩენი (ამ დროისთვის მისი ძმა უკვე დასჯილი იყო). უოლტერი მაინც გამოასალმეს სიცოცხლეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჰააგის სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის არავითარი მექანიზმი არ გააჩნია - ეს მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამერიკა კი, თუ საქმე სიკვდილით დასჯის გაუქმებას ეხება, ასეთ კეთილ ნებას არ იჩენს ხოლმე. მეტიც, მიუხედავად ევროპელების მხრიდან მძაფრი კრიტიკისა, ცოტას თუ აქვს იმედი, რომ ამერიკის შტატების უმეტესობა (50-დან 38-ში), სადაც დამნაშავეებს ჯერ კიდევ სჯიან სიკვდილით, უახლოეს მომავალში უარს იტყვიან ამ პრაქტიკის გამოყენებაზე. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტი ბუშიცა და საგარეო უწყების ხელმძღვანელი კოლინ პაუელი სიკვდილით დასჯის თავგამოდებული მომხრეები არიან. ამასთან, ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ამერიკის მოსახლეობის 67 პროცენტიც მხარს უჭერს განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას. ეს მონაცემი, თურმე, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ათი წლის წინანდელი, მაგრამ მაინც უმრავლესობას გულისხმობს.

დღეს ერთადერთი, რაც აშშ-ში სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოდ კეთდება, ის გახლავთ, რომ უზენაესმა სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯის უფლება მოსამართლეს ჩამოართვა და ნაფიც მსაჯულთა პრეროგატივად აქცია. ამის გამო, დღის წესრიგში დადგება 150 სიკვდილმისჯილის საქმეების ხელახლა გადახედვა. სწორედ ამდენი პატიმარი ელოდება სასჯელის უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანას იმ ხუთ შტატში, სადაც ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ განსასჯელის ბრალეულობას განსაზღვრავდნენ, სიკვდილის მისჯის განაჩენი კი მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოჰქონდა. უზენაესმა სასამართლომვე ანტიკონსტიტუციურად მიიჩნია და აკრძალა გონებრივად ჩამორჩენილთა სიკვდილით დასჯა (სულით ავადმყოფთა სიკვდილით დასჯა, უკვე კარგა ხანია, აკრძალულია). არადა, 1976 წლიდან, ანუ ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის აღდგენის შემდეგ, დასჯილი 755 ადამიანიდან 44 გონებრივად ჩამორჩენილი იყო. საერთაშორისო ორგანიზაცია "ამნისტი ინტერნეიშენალის" მონაცემებით, 1995 წლიდან გონებრივად ჩამორჩენილებს სიკვდილით აღარსად სჯიდნენ, გარდა ამერიკისა, იაპონიისა და ყირგიზეთისა.

მთლიანობაში კი ამჟამად ამერიკის სიკვდილმისჯილთა საკნებში 3700 პატიმარი ელის განაჩენის სისრულეში მოყვანას. მათ უმეტესობას სასიკვდილო ინექციის საშუალებით დასჯიან - იმ 38 შტატიდან, სადაც სიკვდილით დასჯას მიმართავენ, 34-ში ამას სასიკვდილო კოქტეილის საშუალებით აკეთებენ. ელექტროსკამი კი მხოლოდ ოთხ შტატში შემორჩა.

სასიკვდილო ინექცია სიკვდილით დასჯის ყველაზე თანამედროვე მეთოდად ითვლება. ეს იდეა პირველად 19 საუკუნეში იქნა შეთავაზებული, თუმცა, მაშინ ამერიკის ხელისუფლებამ უპირატესობა ელექტროსკამს მიანიჭა. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ - 1976 წელს სასიკვდილო კოქტეილის გამოყენებაში პირველობა ოკლაჰომას შტატმა იტვირთა. მას შემდეგ ამ მეთოდს ამერიკაში ფართოდ გამოიყენებენ. მაგალითად, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს 85 სიკვდილით დასჯილიდან 80 სწორედ ინექციით გამოასალმეს სიცოცხლეს.

ეს კოქტეილი რამდენიმე სახეობის შხამისგან შედგება. მისი შეყვანის პროცედურა მკაცრად არის დადგენილი და ისევე გამოიყურება, როგორც ეს არაერთ ფილმში გვინახავს.

სიკვდილით დასჯამდე ნახევარი საათით ადრე სიკვდილმისჯილს ჩხრეკენ, ბამბის ქსოვილის ტანსაცმელს აცმევენ, სპეციალურ სავარძელზე აწვენენ და ქამრებით აბამენ. ამ პროცესს სპეციალურად გამოყოფილი ოთახიდან გარკვეულ დრომდე თვალს ადევნებენ ხელისუფლებისა და მასმედიის წარმომადგენლები და განწირულის ახლობლები.

ქამრებით დაბმის შემდეგ დამნაშავის ვენებში ორი მილი შეჰყავთ. მილები გადის ოთახში, სადაც ჯალათი იმყოფება. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ინექციის შესაყვანად სპეციალური აპარატურა დიდი ხანია გამოგონილია, შტატების უმეტესობაში უპირატესობას მაინც ჯალათს ანიჭებენ, რომელსაც ვერავინ ხედავს.

მილების საშუალებით სიკვდილმისჯილის სისხლში ჯერ sodium thiopental-ი შეყავთ. ამ ნივთიერებას ქირურგები ანესთეზიისთვის იყენებენ, ოღონდ - მცირე დოზით. სიკვდილმისჯილისთვის შეყვანილი დოზა კი მას ღრმად აძინებს, რის შემდეგაც ვენაში pancuronium bromide-ი შეჰყავთ, რაც 1-3 წუთის შემდეგ ფილტვებისა და დიაფრაგმის სრულ პარალიზებას ახდენს. შემდეგი შხამი - potassium chloride - გულის გაჩერებას იწვევს.

სიკვდილმისჯილის მოკვდინების პროცედურა ოც წუთამდე გრძელდება, რის შემდეგაც მის სხეულს ტომარაში ათავსებენ და ექსპერტიზაზე მიაქვთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემენ გვამს ახლობლებს, ან მის დაკრძალვას სახელმწიფო თავის თავზე იღებს.

ამერიკაში სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, რომ უმეტეს შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას იმ დამნაშავეებს უსჯიან, რომლებსაც ფინანსური მდგომარეობა კარგი ადვოკატების აყვანის საშუალებას არ აძლევთ, ან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არიან.

ტერორისტების მსხვერპლის ქვრივი ხელისუფლებას უჩივის

შარშან ამერიკაში ციმბირული წყლულისგან გარდაცვლილი მამაკაცის ქვრივი ხელისუფლებას სასამართლოში უჩივის და 50 მილიონ დოლარს ითხოვს.

ფლორიდის შტატში მცხოვრები რობერტ სტივენსი 2001 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. ის American Media Inc-ის ფოტო-განყოფილების რედაქტორი გახლდათ. სწორედ ეს კომპანია გახდა "მოწამლული წერილების" პირველი მსხვერპლი.

რობერტ სტივენსის სიკვდილის მიზეზი ციმბირული წყლული გახდა, რომლის ჩხირებიც საფოსტო კონვერტში იყო მოთავსებული. კონვერტებში ფოსტით დაგზავნილი ჩხირების მეშვეობით 2001 წლის შემოდგომაზე შეერთებულ შტატებში 23 ადამიანი დაავადდა ციმბირული წყლულით, მათგან ხუთის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სტივენსის ქვრივის ადვოკატები ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ მან ვერ შეძლო უსაფრთხოების ზომების დაცვა მერილენდის შტატის სამხედრო ბაზაზე, სადაც ინფექციური დაავადებების კვლევის ინსტიტუტია განლაგებული. თუმცა, ჯერ კიდევ არ მოხერხდა იმის დადასტურება, რომ ციმბირული წყლულის ჩხირები სწორედ იქიდან მოიპარეს.

თვითმკვლელობები გუანტანამოს ბაზაზე

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაზე გუანტანამოში, სადაც დატყვევებულ თალიბებსა და "ალ-ქაიდას" ბოევიკებს ამყოფებენ, კიდევ ერთი თვითმკვლელობის მცდელობა დაფიქსირდა. სამხედრო ბაზაზე, სადაც ტერორიზმში ეჭვმიტანილები პირველად, დაახლოებით, ერთი წლის წინ მოათავსეს. ეს უკვე მე-16 ასეთი შემთხვევაა. ბოლო ოთხი კვირის მანძილზე კი უკვე ექვსი სუიციდის მცდელობა დაფიქსირდა, ერთ-ერთი პატიმარი კი, ეროვნებით ავღანელი, ახლაც ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე გამოთქვეს შეშფოთება ამ ინციდენტების გამო და დეტალური გამოძიების ჩატარება მოითხოვეს. თავის მხრივ, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მარტში გუანტანამოში გაიხსნება 36 პაციენტზე გათვლილი სპეციალური ჰოსპიტალი, სადაც პატიმრებს ფსიქიატრიულ დახმარებას აღმოუჩენენ. მთლიანობაში გუანტანამოს ბაზაზე რამდენიმე ასეული ტყვე იმყოფება.

პაკისტანში 60 წლის მანიაკი დააპატიმრეს

პაკისტანის პროვინცია პენჯაბში პოლიციამ 60 წლის მანიაკი დააკავა. მან ორი წლის მანძილზე რვა ხანშესული ქალი გამოასალმა სიცოცხლეს. დაპატიმრებული აბდულ რაზაკი ქვისმთლელია, ოთხი შვილის მამაა და აქამდე სამაგალითო მუსულმანად ითვლებოდა. მანიაკი ამ ორი წლის მანძილზე ერთი და იმავე სქემით მოქმედებდა – მსხვერპლს ბაზრიდან ველოსიპედით სახლში მიყვანას სთავაზობდა, უკაცრიელ ადგილზე გაჰყავდა, აუპატიურებდა და კლავდა. მისი უკანასკნელი მსხვერპლი შემთხვევით გადარჩა და სწორედ მან ამოიცნო მოძალადე, რომელმაც საბოლოოდ ყველა ჩადენილი დანაშაული აღიარა. პოლიცია ეჭვობს, რომ რაზაკს პენჯაბის სხვადასხვა ქალაქებშიც აქვს ჩადენილი დანაშაული და ამ თვალსაზრისით გამოძიებას ატარებს.

ამერიკელმა მოზარდმა დედა მოკლა

ჰალუცინატორი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა 17 წლის ორეგონელმა დევიდ სევენმა დანის რამდენიმე დარტყმით მოკლა დედა. ექიმების თქმით, ქალი მიღებული ჭრილობებიდან დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო გარდაიცვალა. მკვლელი მოზარდი პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც 52 წლის დედის გვამი მათ საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინა. წინასწარი მონაცემებით, დევიდ სევენს გაასამართლებენ, როგორც სრულწლოვანს და ამიტომ მას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ამჟამად კი იგი პორტლენდის არასრულწლოვანთა ციხეში იმყოფება და სამართალდამცველები მის თავდებით გათავისუფლების ნებართვას არ იძლევიან. მოკლული ქალის მეგობარი ჯეფრო ბადსი ამბობს, რომ ბოლო ხანებში დედა-შვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამასთან, როგორც ირკვევა, დევიდ სევენი ადრეც არაერთხელ დასხმია თავს დედას, მაგრამ მაშინ ნათესავების დახმარებით მათი შერიგება და ყველაფრის მიჩქმალვა მოხერხებულა.

მხარის პროკურორი ამბობს, რომ საზარელი დანაშაულის ჩამდენი მოზარდი ძალიან მალე წარსდგება დიდი სასამართლო ჟიურის წინაშე, თუმცა, ის თავს იკავებს პროცესის დეტალების გახმაურებისგან.

დაიკარგა პიკასოს თეფში

მადრიდში მიმდინარე გამოფენა-გაყიდვაზე, რომელშიც ნახატების 279 გალერეა და აუქციონი მონაწილეობს, ინციდენტი მოხდა - დამნაშავეებმა მოახერხეს პაბლო პიკასოს 11,5 მილიონ ევროდ შეფასებული კერამიკული თეფშის მოპარვა. სახელგანთქმულმა მხატვარმა ეს თეფში 1952 წელს გააკეთა, მისი დიამეტრი 27 სმ-ია და თავად პიკასომ მას "სამი სახე" უწოდა. პოლიციის ცნობით, ქურდობა გამალებული მუშაობისას მოხდა, როცა სტენდთან, რომელზეც გამოფენილი იყო პიკასოს ნამუშევარი, 20-მდე ადამიანი მაინც იყო შეკრებილი. თავდაპირველად თეფშის გაქრობა ვერავინ შენიშნა. საქმე კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ გამოფენაზე, ყველა საერთაშორისო ნორმების დარღვევით, არ იყო დამონტაჟებული ფარული კამერები. არადა, გამოფენის დირექტორს არაერთხელ უთქვამს, რომ უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია.

მოკლედ

თბილისი. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვილობის გაუმჯობესებასთან ერთად, პოლიციის თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდას, მათთვის ტრანსპორტზე, ტელეფონსა და კომუნალურ მომსახურებაზე დაწესებული შეღავათების აღდგენას ითხოვს და აცხადებს, რომ პოლიციის სათანადოდ დაფინანსების გარეშე ქვეყნის რეგიონებში კრიმინოგენული ვითარება ვერ გამოსწორდება. ნარჩემაშვილი უკმაყოფილოა, რომ ბოლო ხანებში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და სფეროებში გატარებული რეფორმების შედეგად, გარკვეული კატეგორიის მოხელეებს მნიშვნელოვნად გაეზარდათ ხელფასები, მაშინ როდესაც პოლიციის თანამშრომელთა ხელფასები 80 – 100 ლარის დონეზე დარჩა.

მისი თქმით, კასპი-გორი-ხაშურის საავტომობილო ტრასაზე განხორციელებული პატრულირებისას, ორი თვის განმავლობაში, პრაქტიკულად, არ მომხდარა არც ერთი ყაჩაღური თავდასხმა, მაგრამ როგორც კი საპატრულო მანქანებს საწვავის მარაგი ამოეწურა, ტრასის ამ მონაკვეთზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თბილისში კრიმინოგენული ვითარების გაუარესების ერთ-ერთ მიზეზად დედაქალაქში დევნილებთან ერთად, ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მოქალაქეების რაოდენობის კატასტროფულ სმრავლეს მიიჩნევს. მისი თქმით, დედაქალაქში არათბილისელი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. შარშან თბილისში ჩამოსული 762 კრიმინალის მიერ ჩადენილია 900-მდე დანაშაული, მათ შორის 133 ჯგუფური.

როგორც კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში ჩამოსულმა 2.202-მა დამნაშავემ 3.000-მდე დანაშაული ჩაიდინა. აქედან ყოველი მეოთხე განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობაა, ხოლო ყოველი მესამე ფაქტი -ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა. 2002 წელს არათბილისელთა მიმართ აღიძრა 149 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 33 - ნარკოტიკული ნივთიერებებით რეალიზაციის ფაქტზე. შს მინისტრი არასაიმედოს უწოდებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელს. მისი თქმით, ქვეყანაში გამწვავდა არასრულწლოვანთა უზედამხედველობის, სოციალური დაცვის და მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების პრობლემა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი ელენე თევდორაძე 4 მარტს პარიზში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მორიგ სხდომაზე გაემგზავრება და კომიტეტის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტის შესახებ პირველ შთაბეჭდილებებს მოისმენს. სხდომის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი ოფიციალურადაა შეტანილი. თევდორაძის ვარაუდით, მონიტორინგის კომიტეტი საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევაზე და რელიგიური უმცირესობების პრობლემებზეც იმსჯელებს. "მართალია, კომიტეტის დელეგაციამ საქართველოში ვიზიტისას, ყურადღება საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხზე გაამახვილა, მაგრამ ევროპაში არანაკლებ აინტერესებთ ადამიანის უფლებების დაცვისა და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემებიც", - აცხადებს ელენე თევდორაძე. **ინტერ-პრესი**

ჰააგის ტრიბუნალმა, შესაძლოა, აფხაზეთის საქმე განსახილველად არ მიიღოს

პირველი გვერდიდან

უფრო ზუსტად, მომჩივანი ქართველების მიერ ჰააგაში წაღებული მასალა იქნება ანოტაცია აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულობების შესახებ. ქართულ კომისიას, რომელსაც გია გვაზავა ხელმძღვანელობს და რომლის შემადგენლობაშიც აფხაზეთის სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლები არიან, ჰააგის ტრიბუნალისთვის გასაგზავნი მტკიცებულებები, მართალია, ჯერ არ შეუგროვებიათ, მაგრამ იციან - რა უნდა გააგზავნონ.

"ქართული კომისია მუშაობს აფხაზეთში (გალის რაიონში) ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ამსახველი მასალების შეგროვებაზე. ეს არის 200-ტომიანი საქმე, რომლის მთლიანად წაღებასაც, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ. გაკეთდება საქმის ძირითადი ნაწილის ანოტაცია. წავიღებთ ასევე "შავ წიგნს", სადაც დეტალურადაა აღწერილი აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, მოთხრობილია - ვინ, სად და რა ვითარებაში მოკლეს. მასალა უამრავია, რომელიც უნდა შეგროვდეს და შემდეგ ითარგმნოს. თუმცა, ჯერ მთელი რიგი ტექნიკური საკითხებია გასარკვევი, დასადგენია, რა ფორმით მოხდება ჰააგის ტრიბუნალსა და ჩვენს შორის ურთიერთობა და სხვა ტექნიკური საკითხები," – აცხადებს პაატა დავითაია.

იდეის ინიციატორი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთის საქმის საერთაშორისო სასამართლოზე გაგზავნის საკითხს მისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მიიჩნევს, თუმცა, ამ თემაზე საუბარს ერიდება, რადგან: **"ვერიდები ამ საკითხზე საუბარს, რადგან ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოჩნდა, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილნი და აცხადებენ, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილ მასალებს ჰააგის ტრიბუნალი განსახილველად არ მიიღებს. ვაგზავნით გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებული 200-ტომიანი საქმის შესახებ გაკეთებულ დასკვნას, მთელ 200 ტომს ხომ არ გავაგზავნით. გაიგზავნება ჟიული შარტავასა და მისი 46 თანამშრომლის დახვრეტის შესახებ მოპოვებული სერიოზული მტკიცებულებები. ასევე, ბროშურა, სადაც აფხაზეთში მომხდარი ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მასალებია თავმოყრილი. ჩვენ ვმუშაობთ და ამ დროს ზოგიერთი ქართველი ხელს გვიშლის,"** – ამბობს თამაზ ნადარეიშვილი.

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ჰააგაში გასაგზავნი მასალების შემგროვებელი კომისიის წევრები ირწმუნებიან, რომ აფხაზეთის გენოციდის დამადასტურებელი მასალები არსებობს და ის უახლოეს დღეებში საერთაშორისო ტრიბუნალს გაეგზავნება.

სხვათა შორის, აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დამადასტურებელი სოლიდური მტკიცებულებები ქართველ სამართალდამცველებს მართლაც გააჩნიათ. გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილი ის 200-ტომიანი საქმე, რომელიც აფხაზეთის ომის მსვლელობისას და მის შემდეგ, 1998 წელს გალის რაიონში მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდის თაობაზე შეიქმნა. ოღონდაც, სამწუხაროდ, პროკურატურის მიერ გამოძიებულ 200-ტომიან საქმეს საერთაშორისო სასამართლო განსახილველად ვერ მიიღებს.

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნას 1999 წელს ხელი 84 ქვეყანამ მოაწერა, ხოლო 2002 წლის 1 ივლისს სასამართლო ამოქმედდა. ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი ამიერიდან მუდმივმოქმედი იქნება და რომელიმე კონკრეტული საქმის განსახილველად დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა, როგორც ეს მოხდა ნიურნბერგის, იუგოსლავიისა და რუანდის საქმეების განხილვისას, საჭირო აღარ გახდება. საერთაშორისო სასამართლოს შექმნის თაობაზე 84 ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტში წერია, რომ საერთაშორისო სასამართლო განიხილავს მხოლოდ მისი ამოქმედების შემდეგ შექმნილ საქმეებს. ანუ, 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ მომხდარ დანაშაულს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ტრიბუნალი ქართველთა მტკიცებულებას - 200-ტომიან საქმეს, რომელთანაც გენოციდის საქმეცაა მიერთებული და რომლის შესახებაც კომისიის წევრები საუბრობენ, იმ მარტივი მიზეზის გამო არ მიიღებენ განსახილველად, რომ აფხაზეთის ომში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო დანაშაული ტრიბუნალის შექმნამდე 9 წლით ადრე მოხდა, შესაბამისად, სასამართლოს ამოქმედებამდე წლებით ადრე დაიწერა არაერთხელ ხსენებული 200-ტომიანი საქმეც.

თუმცა, ასე არ ფიქრობს თამაზ ნადარეიშვილი. **"თქვენ მართალი ხართ, 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ არსებული მასალები, შესაძლოა, მართლაც მყარი მტკიცებულებები არ იყოს, მაგრამ მასზეა მიბმული აფხაზეთის ომის დროს განხორციელებული გენოციდი, ანუ, ის 200-ტომიანი საქმე. საერთაშორისო სასამართლოს ავტომატურად მოუწევს ამ საქმის მიღება და განხილვა. თუ უარს გვეტყვიან, ჩვენ მეორე მიმართულებითაც ვმუშაობთ, გაერო-ს მივმართავთ წინადადებით, აფხაზეთის საქმის განსახილველად შეიქმნას სპეციალური სასამართლო,"** – ამბობს თამაზ ნადარეიშვილი.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, აფხაზეთის საქმის საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნის გამო ედუარდ შევარდნაძის თხოვნით თბილისში ჩამოვიდა ისრაელში საქართველოს დესპანი, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, სწორედ იგი ხელმძღვანელობდა აფხაზეთის საქმის გამოძიებას. საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით, ანზორ ბალუაშვილი კიდევ ერთხელ ჩაერთო ამ საქმეში, ამჯერად ჰააგაში გასაგზავნი მტკიცებულებების შეგროვების ამბავში. არსებული ინფორმაციით, რეკომენდაცია, რომელიც ანზორ ბალუაშვილმა დატოვა, ასეთი იყო – საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნის საქმეს პერსპექტივა არ აქვს.

აფხაზეთის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია კი აცხადებს, რომ საერთაშორისო სასამართლოს 1992-93 და 1998 წლის საქმეებს გაუგზავნიან. **"თუმცა, ჯერ მტკიცებულებების შეგროვებაზე არ არის საქმე მისული, ჯერ პროცედურა იწყება. საერთოდ კი, ტრიბუნალს გაეგზავნება აფხაზეთის ომის დროს და შემდეგ მომხდარი ქართველთა გენოციდის საქმე. საუბარია 1992 წელს აფხაზი სეპარატისტების მიერ გეგმაზე – მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდზე, რომელიც დღემდე გრძელდება,"** – აცხადებს ანზორ ლაცუზბაია.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დავალებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მანდატის ცვლილებასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭომ მოამზადა სპეციალური დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს მხარე ჟენევაში, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების სპეციალურ სხდომაზე წარადგენს. 19-20 თებერვალს გაერო-ში გამართულ შეხვედრაზე ქართული დელეგაცია კიდევ ერთ საკითხს წამოჭრის, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მეთაურის თამაზ ნადარეიშვილის მორიგ წინადადებას აფხაზეთში განხორციელებული ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების განსახილველად სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის შექმნის შესახებ.

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, გასულ კვირას ატეხილი სკანდალი - რომ საერთაშორისო სასამართლო აფხაზეთის საქმეს განიხილავს - ჯერჯერობით, მხოლოდ იდეის დონეზეა და, სამწუხაროდ, იმის პერსპექტივაც არსებობს, რომ რამდენიმე დღეში ჰააგის სასამართლოში თხოვნით ჩასული ქართული დელეგაცია უკან უარით გამოაბრუნონ.

"მე ტფილისი მიყვარს..."

მამუკა ხერხეულიძე

ამ წერილს ამსტერდამიდან ვწერ ჩემს მეგობარს, რომელსაც თბილისის ბედი ისევე აწუხებს, როგორც უამრავ თბილისელსა და ქართველს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქალაქის ნგრევისა და განადგურების მოწინააღმდეგე, მინდა მჯეროდეს, რომ მართლაც ბევრია. ამიტომ ეს წერილი ნებისმიერ ქართველსაც ეკუთვნის, ვინც დარწმუნებულია, რომ ჩვენი, საზოგადოებრივი აზრის, თითოეული ჩვენგანის ენერგია და ძალისხმევა განსაზღვრავს თბილისისა და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მომავალს. საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის და ჩვენი მოკრძალებული აზრით, ახლა სოხუმის დაბრუნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე, თუნდაც უმახინჯესი მშენებლობის შეჩერება და მის წინააღმდეგ, ჯერჯერობით, უშედეგო ბრძოლა. მაგრამ რადგან ჩემი მეგობარი იმ პოზიციას იზიარებს, რომ მთავარი მაინც თბილისის დაბრუნებაა, ჩვენც გავკადნიერდით და ჩვენი განსხვავებული იდეა და აზრი სწორედ მისი მისამართით გამოვგზავნეთ.

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ხუროთმოძღვრება ერის სახეა - მისი მენტალიტეტის, ესთეტიკის, ცხოვრების წესის და, გნებავთ, ფილოსოფიის გამოხატულება. იგი განუყოფელია ქვეყნის ლანდშაფტისაგან, კლიმატისაგან და ადამიანთა ინდივიდუალური განცდებისგანაც კი.

"შეიძლება, უცხოელებისთვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდესავით მიკრული სახლები, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით არც ჰიგიენური იყოს და არც მხატვრულად გამწყაზრული, მაგრამ ჩემთვის, არამცთუ მარტო ჩემთვის, არამედ ყველა მათთვის, ვისი სულის ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში - ტფილისის ყოველი კენჭი, ტფილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი. მე ტფილისი მიყვარს..." ("ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა". ი. გრიშაშვილი). ამ სტრიქონებს იოსებ გრიშაშვილი 1926 წელს წერდა კომუნისტური რეჟიმის განთიადზე, და იგი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მრავალჭირგადანახადი თბილისი ამ ყველაზე ბარბაროსულ შემოტევას ვერ გაუძლებდა. დღეს კი 2003 წელია, თბილისის "ქილერი" რეჟიმის დაისია.

რამდენიმე წლის წინ ინგლისელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრებმა - მაკმანამანმა და შირერმა, თბილისში სტუმრობისას, ინტერვიუში (რომელიც ქართულ გაზეთებშიც დაიბეჭდა) აღნიშნეს - ასეთი უსახური, ბნელი და ბინძური ქალაქი არსად გვინახავსო (გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთელები მუდმივად მოგზაურობენ და უამრავი ქალაქი აქვთ ნანახი). მახსოვს, როგორ აღვშფოთდით ამასთან დაკავშირებით და მათი დედები სხვადასხვა ბრუნვაში მოვიხსენიეთ (ბექჰემს კი იმდენად არ მოეწონა ჩვენი დედაქალაქი, რომ შეშინებული, სასტუმროს ნომრიდან არც გამოსულა. მთელი დღე ტელევიზორთან გაატარა და სწორედ თბილისში, აქაურ ტელეეკრანზე პირველად იხილა თავისი მომავალი მეუღლე ვიქტორია ადამსი). ასეთივე აზრი გამოთქვეს "მანჰეტენ ტრანსფერის" მუსიკოსებმაც. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი ხალხი ურბანული ესთეტიკის მეტრები არ არიან, მაგრამ რიგით ტურისტებსაც ვერ ვუწოდებთ. მათ მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქი ნანახი აქვთ. თანაც ბევრჯერ.

რამდენიმე ათეული წელია, თბილისელები მხოლოდ თვალს ადევნებენ ერთ დროს უსაყვარლესი და ულამაზესი ქალაქის არქიტექტურულ აგონიას, თითქმის მთელი მე-20 საუკუნე ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი შეუპოვრობითა და სიჯიუტით ინერგებოდა ყოველგვარ არქიტექტურულ სახიერებას მოკლებული, პირქუში და დამთრგუნველი, ინდუსტრიის რელსებზე შემდგარი მშენებლობები. ამ კაპიტალურმა პროცესმა თავის სივრცეში მოაქცია უძველესი კულტურისა და გამორჩეული სილამაზით აღბეჭდილი ქალაქები, რომელთა განუმეორებელი ისტორიით სულჩადგმულ ხუროთმოძღვრებას ე.წ. "ახალმა არქიტექტურამ" შეურაცხმყოფელი ფონი შეუქმნა.

ახლა ადვილად მისახვედრია, რომ მასობრივი მშენებლობის ინდუსტრიის (რომელმაც პირწმინდად ჩაკლა ესთეტიკური საწყისი, როგორც "ზედმეტობა") იდეოლოგებს საშინელი განზრახვა ამოძრავებდათ: ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ფაქტობრივად, ერთი პარტიის ტირანია მძვინვარებდა, სადაც ერთი ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი მკვიდრდებოდა, ყველაფერი ინდივიდუალურობით გამორჩეული, ეროვნული სულისკვეთებით აღბეჭდილი უნდა მომსპარიყო. სსრკ-ს თვალუწვდენელ სივრცეში ერთნაირი "არქიტექტურული უნიფორმა" ჩააცვეს და ერთმანეთს ტყუპისცალებივით დაამსგავსეს, წარმოიდგინეთ, საკუთარი ისტორიული ქალაქებიც კი (გაიხსენეთ რიაზანოვის ფილმი "გაამოთ", სადაც მთავარ გმირს მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩები და შენობები ველარ გაურჩევია). გასცდით თბილისის ისტორიულ ნაწილს, რომელ მხარესაც გნებავთ და თქვენ ნახავთ კომუნისტური "ხუროთმოძღვრების" ერთნაირ, "პატიმართა" საცხოვრებელ უსახურ შენობებსა და "ბარაკებს"; როგორც გიგი სულაკაური იტყოდა, "ბრძანებასავით პირქუში სახლი სწყევლიდა თავის არქიტექტორებს".

რა ქმნიდა თბილისის განუმეორებელ სილამაზეს? რიტორიკული კითხვაა, მაგრამ ყოველ გონიერ ქართველს შეუძლია განმარტოს, რომ ეს იყო მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ღერძი (მტკვრის ხეობის გასწვრივ), ლანდშაფტისა და გარემოს განუმეორებელი ხაზგასმა, არქიტექტურის ზუსტი მასშტაბი, ზოგჯერ უტილიტარიზმზე მაღლა დაყენებული ესთეტიკური განცდა. ახლა კიდევ უფრო რიტორიკული კითხვა, რომელმაც არ შეიძლება გულის სიღრმემდე არ შეგვძრას - ნუთუ ეს ყველაფერი უნდა მოისპოს, განადგურდეს და თბილისი, ჩვენი საყვარელი ქალაქი (საყვარელი აპრიორულად ვამბობ) დავიწყების ბინდში დაინთქას, როგორც სიმბოლო ჩვენი დღევანდელი უბედურებისა? ამ რიტორიკულ კითხვაზე საკმაოდ პრობლემური და საშინელი პასუხი გვაქვს - დიახ, ალბათ ეს ასე მოხდება.

მახსენდება ერთი მხატვრული პერსონაჟის წამოძახილი "ეს უკვე მოხდა". რა ხდება დღეს ჩვენს ირგვლივ და თვალწინ. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ თბილისს "მშენებელი" ბარბაროსები შემოესივნენ. ისინი დაუნდობლად და უსინდისოდ ანადგურებენ იმასაც კი, რაც სასწაულებრივად შემოგვრჩა დღეს. მიდის ტოტალური შეტევა მშვენიერებაზე, სილამაზეზე, ქართულ მენტალიტეტზე. ქალაქის ესთეტიკურად განადგურებას კი, როგორც წესი, ეკოლოგიური და ზნეობრივი კატაკლიზმები მოჰყვება ხოლმე.

გულდასაწყვეტია დღევანდელ (ადრე უცხოელებისთვის ზღაპრული მომხიბლაობის ლეგენდარული ქალაქის, თბილისის დანახვაზე დიუმას აღტაცებული შეძახილიდან დღემდე რამდენიმე გამანადგურებელმა ეპოქამ განვლო. ისტორიული ნაწილი მთელი მახინჯი ქალაქის 5 პროცენტს თუ შეადგენს და იმასაც ჩვენს თვალწინ ანგრევენ, ან თვითონვე იშლება მიუხედავად თანამედროვე (საკუთარი ინტელექტუალობით მოხიბლული) თეორეტიკოსთა ფილოსოფიურ-ნოსტალგიური ტრაქტატებისა. თბილისზე და მის ფატალურ მომავალზე ფიქრიც კი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მიწის ერთი გოჯიც კი არ დარჩათ გაუყიდავი ჩვენი ქალაქის მამებს, თვით მტკვრის კალაპოტიც კი გაყიდულია და თუ წარმოვიდგენთ, რას მოიმოქმედებენ ამ მიწების მფლობელები, მივხვდებით, თუ რა გველის წინ ჩვენ და ჩვენს ქალაქს. მაინც, საბოლოოდ ვერ "ვიმეტებ" თბილისს, ვერის უბანს (რომელიც ნელ-ნელა ხაბაროვსკს ემსგავსება), სადაც დავიბადე და გავიზარდე. ვიცი, რომ ჩვენს ხუროთმოძღვრებს, ყველას თავისებურად აქვს წარმოდგენილი თბილისის მომავალი იერსახე, მისი გადარჩენა (თუ ჩვენ საქართველო ვერ გადავარჩინეთ და ვერ დავიბრუნეთ, ვერც თბილისს ვუშველით). მეც ვაძლევ ჩემს თავს ოცნების უფლებას: ავაშენოთ ახალი დედაქალაქი და ძველი თბილისი ძეგლთა დაცვას, სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემთხვევაში კი – იუნესკოს მივანდოთ. მე ტფილისი მიყვარს... მაგრამ...

ახლა ამსტერდამის ცენტრში, "დამის" მოედანზე, კაფე მაჯესტიკში ვზივარ და დედოფლის ულამაზეს სასახლეს ვუცქერ. ეს არის მე-17 საუკუნის კლასიციზმისა და ბაროკოს სტილური ნაზავი, გრანდიოზული მონუმენტური სასახლე, რომელიც ამ სახელმწიფოს სიმდიდრის, თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს. ასეა მთელს მსოფლიოშიც, მეფეთა სასახლეები სინონიმებია ქვეყნის ისტორიისა და მახსენდება დარეჯანის სასახლე თბილისში, ოთახნახევრიანი (ხრუშჩოვკა). ისტორიულმა ბედუკულმართობამ, მუდმივმა შემოსევებმა, ბოლო საუკუნეებში სახელმწიფოებრიობის არქონამ, ქართველ მეფეთა ქრისტიანულმა მორალმა (მე ეს უკანასკნელი მგონია მთავარი) ასეთი გრანდიოზული სასახლე თბილისში არ შემოგვინახა. ამ თვალსაზრისით თელავი , ნადარბაზევი, ვარძია ან თუნდაც გეგუთის შემორჩენილი კედელი მეტ შთაბეჭდილებას ახდენს და ქართული (ხაზს ვუსვამ) მსოფლიო ხუროთმოძღვრების სიამაყეს წარმოადგენს. აღარ ჩამოვთვლი სხვა არქიტექტურულ შედევრებს, რომლებიც პირისაგან მიწისა აღიგავა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

თბილისში ჩამოსული სტუმრისთვის პირველ შთაბეჭდილებას ქუჩაში მოძრაობის წესები და მანქანები მოახდენენ. ადრე ისტორიული ხანის უცხოელისათვის გაურკვეველი მოდელისა და წარმოშობის რკინის მახინჯი ბებერი ცხოველები (რუსული "ჟიგულები" გიენებს გვანან), რომლებიც რაღაც გაურკვეველი ჯუნგლების წესებით მოძრაობენ. მთელი ქალაქი ბაზრობად არის ქცეული, ქუჩებში ნაგავში ჩადგმული დახლები, ბინძურ მუქ ტანსაცმელში გაურკვეველი ეთნოსის ხალხი, ბოლო ხმაზე აწეული თანამედროვე ქართული ესტრადის ჰანგები, უგემოვნებო ტირილნარევი "ბაიათები", ქალებს ჩადრები აკლიათ, თორემ ეს ავღანეთის რომელიღაც პროვინციის სცენებია. მე ტფილისი მიყვარს... მაგრამ...

ისევ ამსტერდამი. "რემბრანდტ პლაინიც" ქალაქის ცენტრია დიდი ლამაზი პარკით, რემბრანდტის ქანდაკებით, გარშემო კი ჯადოსნური ქალაქის დეკორაციასავით (ბავშვობისას ზღაპრებში ჯადოქრები და ფერიები რომ ცხოვრობდნენ) ფერადი ფრონტონებიანი სახლები. პირველი სართულების ფანჯრები უფარდო და გამჭვირვალეა (ეს ტრადიცია ომის დროიდან მოდის. გერმანელებმა ოკუპაციისას აუკრძალეს ჰოლანდიელებს ფარდების ჩამოფარება), ულამაზესი ინტერიერები, გაჩახჩახებულ ოთახებში წყნარი, ბედნიერი ადამიანები. ქუჩები დაწკრიალებული, ახალთახალი მანქანები, რესტორნები და კაფეები ყოველ ფეხის ნაბიჯზე უაღრესად გემოვნებიანი ინტერიერებით და ძალიან კარგი, დახვეწილი მუსიკით. ხალხი ქუჩებში ხალისიანი სახეებით, კარგად ჩაცმული დადის. თუ ვინმესთან თვალებით კონტაქტი მოგიწია, აუცილებლად გაგიღიმებენ, მოგესალმებიან, კითხვაზე ამომწურავ პასუხს მოგცემენ და სიკეთეს გისურვებენ.

ეკონომიკურად უაღრესად განვითარებული ჰოლანდიის ბიუჯეტი დაახლოებით 48 მილიარდს შეადგენს. ამ ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტები ტურიზმი და სოფლის მეურნეობაა. ამსტერდამში, საშუალოდ, ყოველდღიურად მილიონი ტურისტი ჩამოდის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ისინი ლამის მთელს ევროპას ამარაგებენ. ალბათ, ეს ორი ძირითადი დარგი უნდა გახდეს საქართველოსთვის პრიორიტეტი, მით უმეტეს, რომ უცხოელი ექსპერტებიც ასე ფიქრობენ (აბა ჩვენ უმაღლეს ტექნოლოგიებსა და ტელეკომუნიკაციებს კარგა ხანი ვერ ვეღირსებით. ჩვენ მენტალურად "ლოპიანას დარდებში" ვართ ჩარჩენილი. დღეისათვის ჩვენ "ლუტიდები" ვართ (სექტაა, რომელიც ყოველგვარ ტექნიკურ პროგრესსა და ცივილიზაციას ბოროტებად თვლის და უარყოფს).

ამსტერდამის გარეუბანი კი თანამედროვე ხუროთმოძღვრების ერთი საუკეთესო მაგალითია. არც ერთი სახლი ერთმანეთს არ ჰგავს. ორიგინალური ლამაზი შენობები, სპორტული მოედნები, სკვერები. აქ იგრძნობა, რომ ეს მხოლოდ ინდივიდისთვის შექმნილი თავისუფალი, ესთეტიკური სამყაროა. ამ გარემოში გაზრდილი ახალგაზრდა, ნაკლები შანსია, კრიმინალი, აგრესორი ან მონა გაიზარდოს. ისევ ჩვენი თბილისის ახალი უბნები მახსენდება ("ფუი ეშმაკს"). აქ დაბადებული და გაზრდილი ადამიანი ფსიქოლოგიურად და მენტალურად დამახინჯებულია. ეს მეცნიერულად დადასტურებული თეორიაა.

მოდი, შევწყვიტოთ ამ ორი, ტრადიციულად და ისტორიულად რადიკალურად განსხვავებული, ქალაქის შედარება. დავიწყოთ ახალ დედაქალაქზე ფიქრი, რაც კარგია ამ ქალაქებში, ის გადმოვიღოთ (არა მარტო ამსტერდამიდან და საერთოდ ევროპიდან (მათ უძველესი კულტურა და გამოცდილება აქვთ), ავიღოთ მაგალითად ნიუ-იორკი. ის სულ რაღაც ორასი წლის წინ არის აშენებული. სხვათა შორის, ჰოლანდიელი პიტერ სტიუვეზანტის თაოსნობით). რაც არ მოგვწონს იმ სამყაროში, ის უარვყოთ. ეს ჩვენი ნება, არჩევანი და პასუხისმგებლობა იქნება.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, პირველ რიგში სადმე ახლოს, ქართლში უნდა ავაშენოთ საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი (მაგ., "ამერიკან უნივერსიტი", რომელსაც ფილიალები მთელს მსოფლიოში აქვს და თუ ჩვენ ნამდვილად მოვინდომებთ, ეს ინსტიტუტი თვითონვე დაგვეხმარება), გარშემო თავისი თანამედროვე "კემპუსებით" (სტუდენტური საცხოვრებლებით) და მთელი ინფრასტრუქტურით. ამ იდეის ხორცშემსხმელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ ფურცელს ჩაწერს. ეს იქნება უნივერსიტეტის ქალაქი და მერე ვნახოთ, იქნებ დედაქალაქადაც გადაიქცეს. თორემ, როგორც ქვევით აღვნიშნეთ, ამ თავკომბალა, დამახინჯებული და დანგრეული თბილისის აღდგენას ჩვენ ჩვენი ძალებით, ალბათ, ველარ შევძლებთ.

"მაგრამ... მე ტფილისი მიყვარს...

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა".

ამსტერდამი-თბილისი

მომავალ "ბერლინალეზე"

წყნარი ცხოვრება, რომელსაც ბერლინი 6 თებერვალს გამოემშვიდობა, ქალაქს თანდათან დღეიდან თუ დაუბრუნდება. გუშინ კი, კინო-ფესტივალის დასკვნით დღეს, ბერლინი კვლავაც დუღდა. მსგავსი ფრაზები: "იცი, კეტრინ ზეტა-ჯონსს მოვკარი თვალი" ან "ნიკოლ კიდმანმა ჩამიარა გვერდით" – ისევ ისმოდა. მართალია, "შატლები" ისეთი ინტენსივობით აღარ დააქროლებდნენ თეატრებს შორის კინო-მოყვარულ მგზავრებს, მაგრამ ეს დაძაბულობას სულაც არ ხსნიდა. შაბათს გამოცხადებული შედეგების შემდეგ "ბერლინალეს" მაყურებელი კიდევ ერთხელ ტკბებოდა გამარჯვებული ფილმებით; ფესტივალის ადმინისტრაციამ ხომ რიგითი მაყურებლისთვის კინო-დარბაზში შესასვლელი ბილეთები დაბალ ფასებში გაყიდა და საზოგადოებას იმ ნამუშევრების შეფასების საშუალება მისცა, რომელთაც ფესტივალზე ამინდი შექმნეს.



კადრი "ოქროს დათვის" მფლობელი ფილმიდან "ამ სამყაროში"; ლტოლვილი ბიჭი მოგზაურობას იწყებს

სანამ ჭამალი 18 წლის გახდება

გუშინ, ბერლინში გამარჯვებულთა და "ახლოდან" ნანახი, "ცოცხალი" ვარსკვლავების გარდა, კიდევ ერთ საკითხს განიხილავდნენ. ეს ევროპაში ასე მწვავედ აღქმული მიგრაციის პრობლემა გახლავთ. შეიძლება ითქვას, რომ პროგნოზი, რომელიც ლტოლვილებისა და ტრეფიკინგის შესახებ ფესტივალის დაწყებამდე გაკეთდა, ასი პროცენტით გამართლდა. გამარჯვებული ფილმი "ამ სამყაროში" სწორედ ამ თემებს ეძღვნებოდა. ის საუკეთესოდ ასახავდა ფესტივალის დევიზსაც – "ვისწავლოთ შემწყარებლობა". ბრიტანელი რეჟისორის მაიკლ უინტერბოტომის ნამუშევარი ხომ ორი ავღანელი ლტოლვილის ხიფათით აღსავსე მოგზაურობას ეხება. დევნილები პაკისტანური თავშესაფრიდან დასავლეთში გადადიან და გზად, ახალ ცხოვრებას ეძებენ. იძულებითი მოგზაურობა ლონდონისკენ – ანუ, გზა მშვიდობისა და იმედისკენ, გრძელი და რისკიანია. ბოლოს, 15 წლის ჯამალს უფლებას მისცემენ ლონდონში მანამ დარჩეს, სანამ 18 წლის არ გახდება... უინტერბოტომის კამერა ლტოლვილ ავღანელებს ყველგან თან დაჰყვება და მათი შემხედვარე, გული უჩუყდება იმ მაყურებელსაც კი, რომელიც ევროპიდან ემიგრანტების გაძევებას მოითხოვს. ფილმს ემოციურობასა და შთამბეჭდაობას მატებს ისიც, რომ რეჟისორი სათქმელს ხშირად დოკუმენტური კადრების გამოყენებით ამბობს. ანუ, ეს გახლავთ მხატვრული ფილმი მრავალი დოკუმენტური ეპიზოდით. მეტიც, მთავარი როლის ორივე შემსრულებელი არაპროფესიონალი მსახიობი და რეალურ ცხოვრებაშიც ლტოლვილია. ისინი რეჟისორმა თვითონ შეარჩია პეშავარის ბანაკში მცხოვრები მილიონამდე ლტოლვილიდან.

"ოქროს დათვი" უინტერბოტომმა სწორედ თავის გმირებს უძღვნა: "ვუძღვნი მათ, როგორც წარმომადგენლებს იმ მილიონი დევნილისა, რომლებიც მე პეშვარში ვნახე და ასევე ვუძღვნი, ზოგადად, ყველა იმ ადამიანის გამოც, რომლებიც არჩევანის წინაშე დგანან – შეეგუონ გაჭირვებას, თუ გაიქცნენ და ახალი ცხოვრების პოვნა სადმე სხვაგან სცადონ".

უინტერბოტომის სახელს კინოსამყაროში კარგად იცნობენ. მისი 1997 წლის ფილმმაც "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სარაევოში", დიდი გამოხმაურება დაიმსახურა. "ოქროს დათვის" მფლობელი ნამუშევარი კი უინტერბოტომს არალეგალური იმიგრანტების შესახებ დაწერილმა საგაზეთო პუბლიკაციებმა შეაქმნევინა. რეჟისორი მეტისმეტად შეძრა 58 ჩინელი დევნილის ტრაგედიამ, რომლებიც ბრიტანულ პორტ დოვერში, სატვირთო მანქანაში გაიგუდნენ...

კიდევ რა იმიგრანტების გარდა?

კიდევ რა და დრო, რომელიც სტივენ დალდრისა და მისი გადამღები ჯგუფისთვის განსაკუთრებული წარმატებებით მირბის. "საათები" – ბრიტანელი რეჟისორის, მერილ სტრიპის, ჯულიენ მურისა და ხელოვნურად ცხვირდაგრძელებული ნიკოლ კიდმანის ტანდემი, მართლაც ,ძალზე წარმატებული გამოდგა. დალდრის მანდილოსნებმა არა მხოლოდ ევროპაში ისახელეს თავი – ფილმი "ოსკარის" ცხრა ნომინაციაზეც გახლავთ წარდგენილი. "ბერლინალეს" ჟიურის კი ისე გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, ამ სამი ქალბატონიდან უკეთესის ამორჩევა, რომ ბოლოს "ვერცხლის დათვი" კიდმანს, მურსა და სტრიპს თანაბრად გაუნაწილა. "საათებში" კიდმანი ვირჯინია ვულფის როლს ასრულებს.

საუკეთესო მამაკაცი მსახიობი სემ როკველი გახდა. ის რეჟისორ ჯორჯ კლუნის სადებიუტო ფილმში "ხიფათიანი ტვინის აღსარება" გასართობი შოუების მაგნატის ჩაკ ბერისის როლს ასრულებს.

ჟიურის გრან-პრის მფლობელი გახდა სპაიკ ჯონზის "ადაპტაცია" მერილ სტრიპის, ნიკოლას კეიჯის და კიდევ ერთი ნიკოლას კეიჯის მონაწილეობით (ფილმში კეიჯი ორ როლს ასრულებს. ის ტყუპ ძმებ კაუფმანებს ასახიერებს და როგორც ამტკიცებს, ერთდროულად ორ როლზე მუშაობა ყველაზე დამღლელი პროცესია)...

არალეგალური იმიგრანტების გარდა, "ბერლინალეზე" მთავარი თემა იყო თვითმკვლელობა და დეპრესიაც. "საათები" და "დევიდ გეილის ცხოვრება" სიკვდილით დასჯაზე მოგვითხრობდნენ, სპაიკ ლის "25-ე საათი" ტერაქტების შედეგად დეპრესირებულ ნიუ იორკს აღწერდა. კონკურს გარე წარმოდგენილი ფილმები კი "შიდსს" ეძღვნებოდა...

"ბერლინალეს" თემატიკიდან ანტი-საომარი კამპანიაც შეიძლება გამოვყოთ. მართალია, ფესტივალში მონაწილე 300 ფილმიდან არც ერთი არ ეხებოდა ერაყის კრიზისს, მაგრამ სამაგიეროდ ომის წინააღმდეგ პოზიციების დასაფიქსირებლად რეჟისორები იყენებდნენ თავისუფალ ტრიბუნას. დასტინ ჰოფმანი დიდ ხანს ადარებდა შექმნილ სიტუაციას ვიეტნამს, კრიტიკას ბუშის გადაწყვეტილების მიმართ, არც ოლივერ სტოუნი იშურებდა.

გერმანული ვარიაცია აქტუალურ თემაზე

ახლა ადგილობრივ კინო-პროდუქციასაც გადავხედოთ. წელს "ბერლინალეზე" გერმანიას სამი ფილმი წარმოადგენდა. როგორც ამბობენ, ეს ფესტივალის დირექტორის დიტერ კოსლიკის დამსახურება იყო. მისი წყალობით, შარშან "ბერლინალეზე" ოთხი გერმანული ფილმი აჩვენეს, გერმანელები წელსაც ომახიანები და იმედიანები ჩანდნენ – ხუმრობა ხომ არაა, ფესტივალზე წარდგენილი სამი ფილმი. თუმცა, ამ ნამუშევრებიდან მხოლოდ ვოლფგანგ ბეკერის ფილმმა "მშვიდობით, ლენინ" ისახელა თავი. მან, როგორც საუკეთესო ევროპულმა სურათმა, "ლურჯი ანგელოზის პრიზი" და 25 ათასი ევრო მოიპოვა. დანარჩენები ჯილდოს გარეშე დარჩნენ. თუმცა, მაინც უდავოდ საინტერესო ფილმი გამოდგა ოსკარ როელერის "ბებერი მაიმუნი შიში".

ეს გახლავთ ღრმა, მაგრამ სექსუალურად დაუკმაყოფილებელი სიყვარულის ისტორია. ყველაფრის თავი და თავი კი შიშია, რომელიც ყოველ მოქმედ პირს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი... რეჟისორი, ერთობ ,აქტუალურ თემას იხილავს, მაგრამ, კრიტიკოსთა თქმით, ჩანს, მხოლოდ საკუთარ აზრს ვერ ენდობა და ფილმს ნაირ-ნაირი ამბებით ავსებს. საერთოდ, პარასკევს ნაჩვენებმა კონკურსის მონაწილე მესამე გერმანულმა ფილმმა, ერთობ, არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია.

რეჟისორ რობერტის (ანდრე ჰენიკე) და პედიატრ მარიას (მარია ბოიმერი) სიყვარული შეიძლება მშვენიერი ყოფილიყო, რომ არა მარად თანმდევი შიში, რომ ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი მაინც მალე დამთავრდება. ამის გამო წყვილს ექვსი თვის განმავლობაში სექსი აღარ ჰქონია, და თუმცა ერთმანეთს ვერც ტოვებენ, ათასგვარი უბედურება ემართებათ: დეპრესია, ეჭვები, უიმედობის განცდა... სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რობერტი მეძავებს აკითხავს. როცა მარია ამას შეიტყობს და მეტ-ნაკლებად შემთხვევით რობერტის მიერ ჩასხული ბავშვი საშოში უკვდება, ის ვენებს იჭრის და ყვირის: "მე გენდობოდი, ახლა ეს ჩავლილი ამბავია." ბოლო წამს ქალი თვითმკვლელობას გადაიფიქრებს, და ფილმის ფინალში რაღაც იმედის მსგავსიც ჩნდება: "მაშინ ვერ მივხვდი, როგორი ნაზი იყო," ამბობს რობერტი.

44 წლის რეჟისორი მხოლოდ ერთი სიუჟეტური ხაზით არ კმაყოფილდება: რობერტის მამას (ვადიმ გლოვნა) კიბო ჭამს; საავადმყოფოში პატარა ბავშვსაც კიბო აქვს – მას მარიამ უნდა უთხრას, რომ მალე მოკვდება; ბავშვის დედას შიდსი ჭირს. ყველა ეს მხიარული ამბავი ცალ-ცალკე ვითარდება, ყველა გმირს მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს - შიში.

კრიტიკოსთა აზრით, ამ საათნახევრიანი ფილმის ძირითადი ნაკლი არაბუნებრივი დიალოგებია. თუმცა, მსახიობების, განსაკუთრებით კი, მარია ბოიმერის გამო, ფილმის ნახვა მაინც ღირს. ის არამარტო გარეგნულად ჰგავს რომი შნაიდერს, არამედ, მის მსგავსად, სამსახიობო ხელოვნებისა და ხალასი ნიჭის წყალობით, უსიტყვოდაც ახერხებს ყველაფრის გამოთქმას.

ასე რომ, კრიტიკოსთა დასკვნა ასეთი იყო: მართალია, "ოქროს დათვი" ვერც ერთმა მოიპოვა, მაგრამ "ბერლინალეს" საკონკურსო პროგრამაში ნაჩვენები სამივე გერმანული ფილმი – ვოლფგანგ ბეკერის ტრაგიკომედია "მშვიდობით, ლენინ!" ("ლურჯი ანგელოზის პრიზი" "დათვი" მაინც არაა), ჰანს-ქრისტიან შმიტის "სინათლეები" და როელერის ეს სურათი, ერთობ, მნიშვნელოვანი ნამუშევრებია. თუმცა, სამწუხაროდ, 2000 წლის გამარჯვებულ ფილმამდე – "ხელშეუხებლები", სამივეს ძალიან ბევრი აკლია.

დიტერ კოსლიკსაც გასჭირვებია

როგორც ცნობილია, ფესტივალის ფარგლებში მრავალი ღონისძიება იგეგმება: სემინარები, განხილვები... შაბათ ღამეს ბერლინის ტემპოდრომში 4000-მდე ჰომოსექსუალისტი და ლესბიანელი შეიკრიბა – აქ 1987 წელს პირველად გაცემული და დღემდე ერთადერთი ჰომოსექსუალურ-ლესბიური კინოპრიზის მინიჭების საზეიმო ცერემონიალი შედგა. სტუმრებს შორის იყვნენ მსახიობი კატია რიმანი, კინოპროდიუსერი როზა ფონ პრაუნჰაიმი, მარლა გლენი ორკესტრთან ერთად და ყოფილი "მწვანეთა" თავმჯდომარე კლაუდია როსი, თვალისმომჭრელი ყვავილებით მოჩითულ შავ კაბაში. "დათვზე" წარდგენილი 40 ფილმიდან გამარჯვებულის წოდების მომპოვებლის ვინაობა ბევრისთვის მოულოდნელობა იყო: ძირითადად, წარმატებას "იოში და ჯაგერს" უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გამარჯვებული ახალგაზრდა მექსიკელის, ჯულიან ჰერნანდესის პირველი მხატვრული ფილმი გახდა, რომელსაც არნახულად გრძელი სათაური აქვს: "ზეცას ათასობით მშვიდობის ღრუბელი ფარავს, სიყვარულო, შენ ყოველთვის სიყვარული იქნები". ფილმი ყმაწვილი მექსიკელი ჰომოსექსუალისტის ამბავს მოგვითხრობს, რომელიც თავის დაკარგულ საყვარელზე ოცნებობს.

დოკუმენტური ფილმისთვის "დათვი" მიიღო რეჟისორმა იოხენ ჰიკმა. "მხოლოდ ჰეტეროს არავის ვიცნობ" შვაბური დიასპორის სოფლებში მამათმავლებისა და ლესბიანელების ყოფაზე მოგვითხრობს. "ფილმი სამხრეთ გერმანიაში გადავიღე, მაგრამ აქედან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაც შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც ასეთივე "მაზალო" განწყობა აქვთ," - ჰყვებოდა ჰიკი და შეკრებილნიც მის სიტყვებს ოვაციებით ეთანხმებოდნენ. გაირკვა, რომ გერმანიაში ჰომოსექსუალურ თემებზე ფილმის გადაღებად დღემდე ჭირს ფულის შოვნა.

როგორც დარბაზში შეკრებილთა უმრავლესობამ განაცხადა, მთავარი ჯილდო კი არა, ერთობაა. ერთ-ერთი დამსწრის თქმით, "ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამქვეყნად ერთადერთი ჰომოსექსუალისტი ვარ. აქ კი მრავალი ათასი ადამიანი ერთად ვართ შეკრებილი, "ბერლინალეზე" დაჯილდოებას ვზეიმობთ – დაუჯერებელი შეგრძნებაა."

ამ ზეიმს "ბერლინალეს" ხელმძღვანელი დიტერ კოსლიკიც ესწრებოდა, რომელმაც საზოგადოებას დიდი ბოდიში მოუხადა: "ჰომოსექსუალიტი ჯერაც არა ვარ, თან ჩემი საყვარელი ქალი მახლავს... უკაცრავად, ძალიან ვწუხვარ..."

P.S. საბოლოო ჯამში, "ბერლინალე" ბედნიერად დასრულდა. ლტოვილებმაც მოიოხეს გული, პაციფისტებმაც და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებიც დატკბნენ ერთად ყოფნით. კმაყოფილი დარჩა ფესტივალის ხელმძღვანელობაც. წინასწარი მონაცემებით, 300 ფილმის 1400-მდე ჩვენებიდან სულ გაყიდული უნდა იყოს 420 ათასი ბილეთი.

კადრი საუკეთესო რეჟისორის პატრის შეროს ფილმიდან "მისი ძმა"

საუკეთესო მამაკაცი მსახიობი სემ როკველი დრუ ბერიმორთან ერთად

კადრი ფილმიდან "სახიფსთო ტვინის აღსარება"

ფილმიდან "მადამ ბრუეტი" ("ვერცხლის დათვი" საუკეთესო მუსიკისთვის)

ალფრედ ბაუერის პრიზის მფლობელი სურათი – "გმირი"

რეჟისორი ვოლფგანგ ბეკერი "მშვიდობით, ლენინ!"-ის გადაღებებზე

კარმენზე შეყვარებული

ქართველი მეცო-სოპრანოს წარმატებული გამოსვლა ფრაიბურგში

ჭანსულ კახიძე. ეკა პავლიაშვილი და რობერტ სტურუა

სცენა სპექტაკლიდან

ვერა ნეფარიძე

8, 12 და 15 თებერვალი ფრაიბურგის სახელმწიფო თეატრის მორიგი საპრემიერო დღეები იყო. ეკა პავლიაშვილისთვის კი კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლის ღირსშესანიშნავი თარიღები. "ქართველმა მეცო-სოპრანომ მისთვის საყვარელი კარმენის პარტია ამჯერადაც განუმეორებლად შეასრულა", - აფასებს გერმანული პრესა.

"მართლაც დასაფიქრებელი ამბავია... ეს ხმა "ლასკალას" მომღერლების მასშტაბებისაა", - ასეთი შეფასება ქართველი მაესტროსგან ეკა პავლიაშვილმა მას შემდეგ მიიღო, როდესაც ჯანსულ კახიძემ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი სოლისტის ხმას მოუსმინა საკუთარ კაბინეტში. მაშინ ეკა პავლიაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო.

ამჟამად ეკა პავლიაშვილი ფრაიბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახლადამომავალი ვარსკვლავია. თეატრის ხელმძღვანელობას უკანასკნელ პრემიერამდე (ბიზეს "კარმენი") მომღერლის რეკლამირებისთვის შესაძლებლობები არ დაუზოგავს. სპექტაკლის სარეკლამო უზარმაზარ პლაკატებზე ქართველი მომღერლის სახე იყო გამოსახული.

შარშან ეკამ პაატა ბურჭულაძისგან მიიღო მიწვევა ვერდის "დონ კარლოსში" შეესრულებინა ებოლის პარტია. რეპეტიციები ივლისში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო პროექტი ერთი წლით გადაიდო. სპექტაკლის პრემიერა წელს სლოვენიაში გაიმართება. "ბურჭულაძე რამდენიმეჯერ ესაუბრა ტელეფონით ეკას და დაარწმუნა, რომ აუცილებლად მიეღო სპექტაკლში მონაწილეობა. თუ აღარაფერმა შეუშალათ ხელი, ეს სპექტაკლი იმხელა ტრამპლინი იქნება ახალგაზრდა მომღერლისთვის...", - ამბობს ეკას მამა, ამირან პავლიაშვილი. ამჟამად ეკას საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს. ფრაიბურგის თეატრის გარდა, მომღერალმა წელს რამდენიმე სერიოზული მიწვევა მიიღო შვეიცარიის, ამერიკისა და ბრემენის თეატრალურ სცენებზე.

ეკა პავლიაშვილი თბილისიდან ორი წლის წინათ წავიდა მიუნხენში. მალევე მონაწილეობა მიიღო მაინის ფრანკფურტში გამართულ სინჯებში. იქ, მაშინვე გადაწყვიტეს დაენიშნათ მისთვის აზუჩენას პარტია ვერდის "ტრუბადურში". სამი-ოთხი სპექტაკლის შემდეგ მომღერალი გააგზავნეს ფრაიბურგში, სადაც სახელმწიფო თეატრმა ჩასვა შტატში. მას შემდეგ ეკა პავლიაშვილი ფრაიბურგის თეატრის წამყვანი მომღერალია (აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ერთი შემთხვევითობა, რომელმაც, ალბათ, გარკვეულწილად, განსაზღვრა ეკას წარმატებული მოღვაწეობა გერმანიაში. ქართველი მომღერლის ხმა 80 წლის ყოფილ მეცო-სოპრანოს იმდენად მოსწონებია, რომ ინიციატივა გამოუჩენია ეკასთვის უფასოდ ჩაეტარებინა გაკვეთილები).

თავის დროზე ეკა პავლიაშვილმა ფორტეპიანოს განხრით დაამთავრა მუსიკალური შვიდწლედი, მაგრამ, როგორც ჩანს, გენებმა მაინც თავისი გაიტანეს (მამა წლების განმავლობაში სახელმწიფო კაპელის სოლისტი იყო). პირველ მნიშვნელოვან წარმატებას თბილისში, 1995 წელს მიაღწია, როდესაც შემოდგომაზე ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის მონაწილეობა მიიღო პირველ რესპუბლიკურ კონკურსში; ამ კონკურსზე იგი ფინალში გავიდა და მიიღო რამდენიმე პრიზი. ჯილდოებს შორის განსაკუთრებული იყო პრიზი არტისტულობისთვის, რომელიც გერმანული საკონცერტო ფირმა "დელ არტესგან", მალერის ციკლის ("სიმღერები მკვდარი ბავშვებისთვის") საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა. ამავე კონკურსზე მან სოფიის მუსიკალური აკადემიის პროფესორის, ჩავდარ ხაჯიევისგან მიწვევა მიიღო საერთაშორისო კონკურსზე "სოფია 96", სადაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ წავიდა.

შარშან ერთ-ერთმა გერმანულმა სტუდიამ გამოსცა კომპაქტ-დისკი Nachwuchsvorsingen, რომელშიც თერთმეტი საოპერო მომღერლის არიებია შესული. დისკში ეკა პავლიაშვილის შესრულებული სიმღერაცაა შესული (არია სენ-სანსის Samson et Dalila-დან). ეკას გარდა, ჩანაწერში კიდევ ერთი ქართველი მეცო-სოპრანოს, ხათუნა მიქაბერიძის არიაა შესული.

უპრეცედენტო შემთხვევა „ოლივიეს" ისტორიაში

თამარ სუხიშვილი

კეიტ უინსლეტი და სემ მენდესი

REUTERS

ლორენს ოლივიეს ცნობილი თეატრალური კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალი 14 თებერვალს, ვალენტინობის დღესასწაულს დაემთხვა. ეს დღე განსაკუთრებით ბედნიერი აღმოჩნდა მენდეს-უინსლეტის წყვილისათვის. 37 წლის რეჟისორმა სემ მენდესმა "ოლივიეს" სამ ნომინაციაში გაიმარჯვა. ეს პირველი შემთხვევაა "ოლივიეს" არსებობის ისტორიაში. მენდესის სახელი კინომოყვარულებისათვის მთელ მსოფლიოში კარგად არის ცნობილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რეჟისორმა ოსკარი მოიპოვა ფილმისათვის "ამერიკული სილამაზე" (ოსკარის ნომინაციაზე ასევე იყო წარდგენილი მისი ფილმი "გზა სიკვდილისაკენ").

იმ დროს, როდესაც ლონდონში თეატრალური "ოლივიეს" გამარჯვებულთა სახელებს აცხადებდნენ, სამგზის ნომინანტი სემ მენდესი ამერიკის შეერთებულ შტატებში გასტროლებზე იმყოფებოდა. ის ბრუკლინის მუსიკალური აკადემიის დარბაზში იჯდა და დაძაბული შეჰყურებდა სცენას, სადაც მისი თეატრის – დონმარ უეარჰაუსის მსახიობები "ძია ვანიას" თამაშობდნენ. ლონდონის ამ პატარა თეატრის დასმა ამერიკაში ჩეხოვის პიესასთან ერთად "მეთორმეტე ღამეც" წარმოადგინა (უნდა ითქვას ისიც, რომ სემ მენდესი ამერიკაში ახალ ფილმზეც მუშაობს). მენდესი ათი წელია დონმარის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორია და ამ ხნის განმავლობაში თეატრმა დიდ წარმატებებს მიაღწია. წარმოდგენები აქ მუდმივად ანშლაგით მიმდინარეობს, ბილეთები ყოველთვის დიდი ხნით ადრე იყიდება ხოლმე. დონმარის დარბაზში ცარიელ ადგილს ვერასოდეს იპოვით. მენდესის ვარსკვლავური კარიერის დასაწყისიც დონმარის თეატრთანაა დაკავშირებული... ამიერიდან მენდესს თავის თეატრთან მრავალწლიანი მუშაობისა და არაერთი სპექტაკლის გარდა, სერიოზულ ბრიტანულ თეატრალურ კონკურსში გამარჯვებაც აკავშირებს.

"ოლივიეზე" გაცემული 25 პრემიიდან მენდესი სამი პრემიის ლაურეატია.

საუკეთესო რეჟისორი (ბოლო თეატრალურ სეზონზე დადგმული სპექტაკლებისათვის – "მეთორმეტე ღამე" და "ძია ვანია"), **საუკეთესო განახლებული დადგმა** ("მეთორმეტე ღამე" და "ძია ვანია") და **სპეციალური პრიზი** (დონმარის თეატრში 10-წლიანი მოღვაწეობისათვის).

მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი საიმონ რასელ ბილი გახდა, რომელიც ძია ვანიას თამაშობს მენდესის სპექტაკლში. საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტული კლერ ჰიგინსმა მოიპოვა. სამაგიეროდ, გვინეტ პელტროუ დარჩა განაწყენებული, ის ხომ სერიოზულ იმედებს ამყარებდა ამ ნომინაციაზე, სხვათა შორის, კრიტიკოსთა დიდი ნაწილიც მის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. თუმცა, ყველაზე დრამატულ დამარცხებულებად კრიტიკოსებმა ლონდონის ორი გრანდიოზული მიუზიკლი დაასახელეს: 8,5 მილიონი ფუნტი სტერლინგის ღირებულების Chitty Chitty Bang Bang (რეჟისორი ადრიან ნოუბლი) და ენდრიუ ლოიდ ვებერის გახმაურებული "ბომბეის ოცნებები". საუკეთესო ახალ მიუზიკლად "ჩვენი სახლი" დასახელდა.

ლორენს ოლივიეს პრესტიჟულ კონკურსში გამარჯვებულებზე არანაკლებ გახარებული ჩანდა მსახიობი კეიტ უინსლეტი, რომელიც ბრუკლინის თეატრის პარტერში, მესამე რიგში იჯდა და სიხარულის ცრემლებს იწმენდდა. უინსლეტი ამ დღეს განსაკუთრებით მომხიბლავი იყო და ამის მიზეზიც ჰქონდა. მენდესმა ხომ თავისი დიდი გამარჯვება სწორედ უინსლეტის დამსახურებად მიიჩნია.

როცა სემ მენდესი სცენაზე ავიდა, მან ჯერ ღიმილით გადაუხადა მადლობა მთელს დასს, მერე სერიოზული სახე მიიღო – იცოდეთ, სპეციალური პრიზი მხოლოდ მე მეკუთვნისო, შემდეგ კი დარბაზს მიუბრუნდა და მზერა კეიტ უინსლეტზე შეაჩერა: "მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს პარტნიორს, კეიტ უინსლეტს. ორივე სპექტაკლი სიყვარულზეა და ეს გამარჯვება ჩვენი სიყვარულის დამსახურებაა."

ჩეხოვის "ძია ვანია" კი მენდეს-უინსლეტის სიყვარულის წყალობით ბრიტანეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წარმოდგენად იქცა. სხვათა შორის, ამ პიესას მალე ქართველი მაყურებელიც იხილავს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა მენდესის რეჟისურით.

კითხვარი

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების აქტივობას

ელდარ შენგელაია

რეჟისორი

ბესო ბალავაძის ფოტო

1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?

2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.

3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?

1. კულტურა ჩვენთან გაიგივებულია ხელოვნებასთან, ეს დიდი შეცდომაა და ამის გამო ბევრი რამ არასწორად ვითარდება. ჩემთვის, პირადად, კულტურა ძალიან ფართო ცნებაა. კულტურა ხელოვნებაცაა, მეცნიერებაც, განათლებაც და ა.შ. თუმცა ჩვენი ხელისუფლება ჯიუტად მაინც ამ გზას ადგას, მათთვის კულტურა ხელოვნებაა. მე კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და საგანგებოდ შევისწავლე ეს საკითხი: ჩვენი სახელოვნებო დაწესებულებები, კონსერვატორია, თეატრისა და კინოს ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია, ორ დაქვემდებარებაშია, ექვემდებარება როგორც კულტურის სამინისტროს, ასევე განათლების სამინისტროს. რად უნდათ ორი სახელწოდება... ხომ არ იქნებოდა სწორი, რომ შეგვეერთებინა ისინი და შესაბამისად, იქნებოდა, ასე ვთქვათ გაორმაგებული შედეგი. მეცნიერება, ხელოვნება და სწავლა-განათლება ერთდროულად უნდა თანხმდებოდეს ყველა სფეროში. კუტურის სფეროში საერთო მიდგომა უნდა არსებობდეს. გავიხსენოთ ისტორია, მაგალითად ლეონარდო და ვინჩი, მასზე ხომ, მარტო როგორც მხატვარზე, ვერ ვილაპარაკებთ. მაგალითად, შვედეთში, ყველაფერი ერათადაა თავმოყრილი და ამას ჰქვია კულტურის სამინისტრო. თუმცა, იქ მეცნიერებაც შედის, განათლებაც, სახელოვნებო დარგებიც. ოთარ იოსელიანი, ჩემი აზრით, იმიტომ არის კარგი რეჟისორი, რომ იგი მათემატიკურზე სწავლობდა, ანუ მათემატიკა ძალიან კარგად იცის და მისი სურათი ყოველთვის გაანგარიშებულია, მისი ზუსტი აზროვნება სწორედ აქედან მოდის. ყველა დეტალი, ამ დეტალების ურთიერთობა, სტრუქტურიზაცია და ა.შ. ერთი სიტყვით, როცა ზოგადი ცოდნა გაქვს, ამ ყველაფერს ქვეცნობიერად იყენებ. მაგალითად, აშშ-სა და სხვა ცივილურ ქვეყნებში, ყველა სამეცნიერო ფაკულტეტზე ასწავლიან ხელოვნებას. იმიტომ, რომ ხელოვნება არატიპიურობის, ფანტაზიის, განსაკუთრებული ხედვის არეალია. მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუკი ამ ყველაფერს ჩვენ სხვანაირად გავიაზრებთ და ურთიერთობებს სხვანაირად ავაგებთ. დაყოფა ჩემთვის მიუღებელია. ადამიანი თავიდანვე უნდა იყოს კულტურულ ურთიერთობაში და ამისათვის, კიდევ ვიმეორებ, პირველ რიგში, სწორად უნდა იყოს განსაზღვრული კულტურის დეფინიცია. ეს არის სახელოვნებო სამინისტრო და არა კულტურის სამინისტრო. აქ ყველაფერს პრეზიდენტი და პარლამენტი წყვეტს, აქაც არის უკულტურო ვითარება და ამიტომაც არის ჩვენი პოლიტიკა უკულტურო პოლიტიკა. მსოფლიო ისტორია ყოველთვის გვეუბნება, რომ იქ იბადება დიდი პოლიტიკა, სადაც აღმოცენდებოდა ნამდვილი, დიდი კულტურა. გავიხსენოთ საქართველოს ოქროს ხანა. ამ პერიოდში კულტურის გამოვლინება იყო ის, რომ შექმნა კულტურის კერები, იყალთოსა თუ გელათის აკადემია, სადაც მათემატიკაც ისწავლებოდა და ხატვაც. ამის გამოცდილება საქართველოს აქვს. ძალიან ფართო შეხედულების ადამიანები არსებობდნენ იმ ხანაში. რატომ ვართ ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში? იმიტომ, რომ საქართველოში კულტურული ადამიანის პრობლემაა, სანთლითაა საძებარი. როდესაც ჩრდილოეთსა და სამხრეთ კორეას შორის ომი დამთავრდა, ამერიკამ სამხრეთ კორეას ოცი მილიარდი დოლარი გამოუყო აღდგენისათვის. კორეელებმა ამ ფულით ახალგაზრდები გააგზავნეს სასწავლებლად მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში. შემდეგ ეს ახალგაზრდობა დაბრუნდა სამშობლოში და შექმნა ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა. ფული კი არ მოუტანეს მათ ქვეყანას, არამედ ცოდნა, კულტურა. ჩვენს ხალხს, სხვათაშორის, ასეთი ცხოვრების წესი აქვს, ოჯახი დაიკლებს ყველაფერს, ოღონდაც შვილს სათანადო განათლება მისცეს, ზედმეტიც კი ვიცით ხანდახან. თავისთავად, ეს, ჩემი აზრით, დადებითი თვისებაა, მაგრამ იმ განათლებას გამოყენება უნდა. განათლების მისაღებად საზღვარგარეთ წასული ჩვენი ახალგაზრდობა, ძირითადად, იქვე რჩება, რადგან მათი აქ დამსაქმებელი არავინაა. ჩვენი ისტორიული უმაღლესი სასწავლებლების დამარსებლები, ყველა ევროპაში იყო გაზრდილი. არავითარი ჯეიჰანის მილი არ გვიშველის, თუ ჩვენი ხალხი კულტურულად არ ამაღლდა. ყველაზე დიდი საშინელება კარჩაკეტილობაა. ჩვენ ისედაც კარჩაკეტილად ვცხოვრობთ (კულტურულ კარჩაკეტილობას ვგულისხმობ). ჩვენს ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დღესდღეობით რაღაცის შექმნა შეუძლიათ, მაგრამ მათ კულტურა არ გააჩნიათ, არ აინტერესებთ კულტურა. ქართველმა ბიზნესმენმა დააარსა თავისი სახელობის სტიპენდია, ნაცვლად იმისა, რომელიმე დიდი მსახიობის, ან დიდი მხატვრის ფონდი დაეარსებინა. მეტი უკულტურობა მე არ ვიცი. თუ ჩვენს სახელმწიფოში შეიცვლება კულტურის მიმართ დამოკიდებულება, ირგვლივ ბევრი რამე შეიცვლება. რასაკვირველია, ქვეყანაში, პირველ ყოვლისა, ყოფითი პრობლემები უნდა მოგვარდეს, მაგრამ მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი კულტურაც უნდა იყოს და ეს ყველაფერი ძალზე ფართოდ უნდა იყოს გააზრებული. ეს არ გულისხმობს ერთი სპექტაკლის დადგმას, ერთი რეჟისორის დახმარებას (პრეზიდენტის ფონდიდან), ცალკეული ადამიანების მხარდაჭერას, არამედ, ზოგადად, კულტურის მხარდაჭერას. კულტურის შრე უნდა იყოს დიდი. პოპხელოვნება არის დღევენდელი და ხვალინდელი დღის ხელოვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს იგი რატომღაც კულტურად მოიაზრება. ეს არის მხოლოდ გართობის ერთ-ერთი საშუალება, პირადად ჩემთვის ის არაფერს არ წარმოადგენს, არ მაძლევს არაფერს. კიდევ ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, კერძოდ კი იმას, რომ პრეზიდენტი, მინისტრები, დეპუტატები და ა.შ. რიგითი მაყურებლები, მსმენელები და მკითხველები არიან და მათგან კულტურის სფეროში რაიმეს მითითება არ უნდა მოდიოდეს. ანუ კულტურის აქტივობა, არა სახელმწიფოზე, არამედ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფომ უბრალოდ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების აქტივობას.

2. ამ მხრივ უძრაობა ნამდვილად არ არის. ახლახან ნინო ანანიაშვილი ჩამოვიდა ჩვენთან და ეს, რასაკვირველია, კულტურული მოვლენა იყო. დიდი უბედურება დაატყდა საქართველოს, როდესაც ჯანო კახიძე გარდაიცვალა. დიდი კულტურული მოვლენაა ელისო ვირსალაძე. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი ღირსეული მოღვაწე უცხოეთში ცხოვრობს და ბუნებრივია მათ ვერ მოთხოვ, რომ აუცილებლად საქართველოში დარჩნენ. ბევრ მათგანს წლობით ვერ ვხედავთ ხოლმე.

თუ გავიხსენებთ 70-80-იან წლებს, მივხვდებით, რომ ეს პერიოდი კულტურის ოქროს ხანა იყო. ახლა ჩვენი კულტურა კრიზისშია. "კავკასიური ცარცის წრის" დონის სპექტაკლი თუ დადგმულა? რობერტ სტურუა ძალიან საინტერესო პროექტებს ახორციელებს, მაგრამ იმდროინდელ დადგმებს მაინც ვერ შეედრება. ვერც ახალგაზრდა რეჟისორებმა გამოიჩინეს თავი. ქართული კინო საერთოდ ჩაიძირა. არადა, ქართულ კინოსკოლაზე ჯერ კიდევ ლაპარაკობენ. ქართული კინო, ეს არის ქართული იდეოლოგია - რაც მოგვწონს, რაც არ მოგვწონს და ა.შ. ახლა ქართული კინო აღარ არსებობს, ხელისუფლებამ დაასამარა ქართული კინო და იდეოლოგიაც ნელ-ნელა ქრება.

3. სულ მალე პარლამენტის სესია დამთავრდება და მთელი ყურადღება არჩევნებზე გადავა. გამიჩნდა საშუალება, რომ კინოში დავბრუნდე, ამიტომ, ამჟამად, ვკითხულობ მთელს ახალ ქართულ ლიტერატურას. ჩვენ ვცხოვრობთ ახალ ეპოქაში, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სულ სხვა ეპოქაში მაქვს გატარებული. ამდენად, მე ასე მგონია, რომ ახალგაზრდა მწერლები, ამას უფრო კარგად გრძნობენ, ვიდრე მე. იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ რამეს მივაგნებ და ფილმს გადავიღებ. რაც შეეხება მუსიკას, მე ყოველთვის დავდიოდი ჯაზის კონცერტებზე. ბოლო პერიოდში ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ვატო კახიძის მიერ მოწყობილი კლასიკური მუსიკის ფესტივალი იყო. ძალიან მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა. ბოლოს გამოფენაზე ვნახე დიმა ერისთავის ნამუშევრები. იქმნება ბევრი საინტერესო რამ, მაგრამ დიმა მაინც გამორჩეული მხატვარია. ჩემი დროის ტექნიკას შესანიშნავად ფლობს და ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო ეს ყველაფერი. ვნახე სხვადასხვა სპექტაკლი, ცუდი არ იყო, მაგრამ რომელიმეს გამორჩევა მიძნელდება. იგივეს ვიტყვი ფილმზეც. ბაბლუანის "უძინართა მზის" შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ კინემატოგრაფში ნამდვილად ვერ გამოვარჩევდი.

კალენდარი

17 თებერვალი

50-იან წლებში რაფ ვალონე იტალიური კინოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. არადა, თავად მას მსახიობობა სულ არ უნდოდა, ფეხბურთელობაზე ოცნებობდა – სურდა ამით გაეთქვა სახელი.

14 წლის ასაკში ვალონე ტროპეადან ტურინში გადავიდა საცხოვრებლად, იქაური უნივერსიტეტი დაამთავრდა და იურისპრუდენციისა და ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ დიპლომი აიღო. ტურინის ყოველდღიურ გაზეთში ჟურნალისტად მუშაობის დროს – სპორტული მიმოხილვების ავტორობის გარდა, რაფ ვალონე მუსიკალური და კინოკრიტიკოსიც იყო, - მან რეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი გაიცნო. ამ უკანასკნელმა ის 1949 წელს ნეორეალისტურ ფილმში, "მწარე ბრინჯში" გადაიღო.

სულ მალე ვალონე იტალიელების საყვარელი მსახიობი გახდა. მას ესპანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაშიც იღებდნენ – სწორედ ასეთი საერთაშორისო პროექტის განხორციელების შედეგად გადაიღო რეჟისორმა ჰორსტ ჰეხლერმა მელოდრამა "სიყვარული" (1956), რომელშიც რაფ ვალონე მარია შელის პარტნიორია.

საფრანგეთსა და იტალიაში რაფ ვალონემ რეჟისორობაც სცადა და ეს საქმე შემდგომ ჰოლივუდშიც განაგრძო. იქ შეიქმნა მისი ყველაზე ცნობილი ფილმები: არტურ მილერის მიხედვით გადაღებული "ხედი ხიდიდან" (1961), ისტორიული დრამა El Cid, რომელშიც მთავარ როლებს ჩარლტონ ჰესტონი და სოფი ლორენი თამაშობენ, და სხვ.

2002 წელს, უკვე ხანდაზმული, რაფ ვალონე რომში გარდაიცვალა.

იტალიელი მსახიობი, **რაფ ვალონე,** დაიბადა ტროპეაში, იტალიაში, 1916 წლის 17 თებერვალს.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, როგელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, როგელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ბაიერნის" ტრიუმფი და „ბაიერის" აგონია

ამ ორ გუნდს თითქმის ერთნაირი სახელი ჰქვია. მათ შორის ფონეტიკურ განსხვავებას მხოლოდ ერთი ასო იძლევა, ბუნდესლიგური სხვაობა კი ერთბაშად 27 ქულაა -

"ბაიერნი" ჩემპიონატის ლიდერია, "ბაიერი" კი აუტსაიდერი. "ბაიერნმა" შაბათს 5:0 მოიგო, "ბაიერი" კი საკუთარ მოედანზე როსტოკის "ჰანზასთან" დამარცხდა. მიუნხენელებმა მორიგი ტრიუმფი იზეიმეს, ლევერკუზენელებმა კი - მორიგი კატასტროფული მარცხი იგემეს...

შეხვედრის წინ როსტოკელები ირონიულად ამბობდნენ, ამ მატჩს მოვიგებთ და ტოპმიოლერს უმუშევარს დავტოვებთო. დანაქადნები აასრულეს კიდეც. "ბაიერი" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, იქცევა თუ არა კალუს ტოპმიოლერისთვის ლევერკუზენის "ბაიარენა" "By by არენად"... კლუბის მენეჯერი რაინერ კალმუნდი, უკვე დიდი ხანია, აპირებს გუნდისთვის ახალი მწვრთნელი მოძებნოს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერავინ შეარჩია. ამასობაში კი "ვიცეკუზენი" ნელ-ნელა საფუძვლიანად იქცა "ნევერკუზენად" და, ვინ იცის, თუ კალმუნდი დროზე არ მოიმოქმედებს რამეს, იქნებ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი სულაც ბუნდესლიგის მიღმა დარჩეს...

„მოღალატე" ეფენბერგი

შაბათს ერთმანეთს შეხვდნენ შტეფან ეფენბერგის ახლანდელი და, სავარაუდოდ, მომავალი კლუბები – "ვოლფსბურგი" და "ჰამბურგი". მატჩი ჰამბურგელთა გამარჯვებით დასრულდა. მეორე დღეს ვოლფსბურგში ყველა გაღიზიანებული იყო და მარცხს შტეფან ეფენბერგს აბრალებდა. ალბათ, იმიტომ, რომ "ეფე" უკვე აღარ მალავს, რომ მომავალი სეზონიდან "ჰამბურგში" უნდა გადასვლა.

ჰამბურგი ფეხბურთელის მშობლიური ქალაქია. ამას გარდა, მისი სატრფო კლაუდია შტრუნციც აქ ცხოვრობს და გასაგებია, რომ "ეფეს" ჩირდილოეთ გერმანიის ეს მეტროპოლი ძალიან იზიდავს.

როგორც გაირკვა, ეფენბერგი, დიდი ხანია, მოლაპარაკებას აწარმოებს "ჰამბურგის" ხელმძღვანელობასთან. 3 თებერვალს კლაუდია შტრუნცის ბინაში შედგა შეხვედრა "ჰამბურგის" სპორტულ დირექტორ დიტმარ ბაიერსდორფერს, კლუბის ახალ შეფ ბერნდ ჰოფმანსა და შტეფან ეფენბერგს შორის. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ, როგორც ჩანს, "ეფე" "ვოლფსბურგში" მხოლოდ ზაფხულამდე დარჩება.

„ბარსელონას" სამი წუთი

ხანგრძლივი წარუმტებლობის შემდეგ კატალონიურმა "ბარსელონამ", როგორც იქნა, მოახერხა და დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. კატალონიური დერბი "ესპანიოლსა" და "ბარსას" შორის თავიდან საკმაოდ დაძაბული და ნერვული იყო, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს რადომირ ანტიჩის გუნდის უპირატესობა აშკარა გახდა. მე-40 წუთზე ჯერ კოკუმ დალაშქრა "ესპანიოლის" კარი, შემდეგ კი სამ წუთში ხავიმ მეორე გოლი გაუტანა თანაქალაქელებს. ეს სამი წუთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. "ესპანიოლმა" მატჩის ბედი ვერ შემოაბრუნა და "ბარსას" ფანებმა ამოისუნთქეს.

ამ წარმატების შემდეგ "ბარელონას" თავისუფლად შეუძლია, ცოტა ხნით მაინც დაივიწყოს პრიმერა დივიზიონი და მთელი ყურადღება გადაიტანოს ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც კატალონიური კლუბი კარგად ასპარეზობს. "ბარსა" ერთადერთია ლიგაში მოთამაშე გრანდებს შორის, რომელმაც აქამდე ყველა მატჩი მოიგო. სამშაბათს ანტიჩის გუნდი მილანის "ინტერს" ხვდება და კატალონიელები, ბუნებრივია, შეეცდებიან შეინარჩუნონ დაუმარცხებელი კლუბის სახელი.

პატრიკ ვიეირა: „რონალდო? არა, გმადლობთ!"

ბოლო დროს ინგლისურ სპორტულ პრესაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მადრიდის "რეალის" სუპერვარსკვლავი, "ფენომენად" წოდებული ბრაზილიელი რონალდო მადრიდში თავს ცუდად გრძნობს და სხვაგან წასვლა უნდა. რონალდო შეურაცხყო "სამეფო კლუბის" მთავარი მწვრთნელის, ვინსენტე დელ ბოსკეს სიტყვებმა, რონი ეგოისტი უწოდა. მინდა, გითხრათ, რომ "არსენალში" ყველას ერთმანეთი უყვარს და ერთმანეთზე ზრუნავს. რონალდო თუ მართლა ეგოისტია, მაშინ ის ვერც ჩვენს გუნდს შეეწყობა", - განაცხადა ვიეირამ.

პატრიკ ვიეირას, არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდა.

"რონალდო? რა საჭიროა მისი გადასვლა "არსენალში"? ჩვენ გვყავს ტიერი ანრი, რომელიც არაჩვეულებრივად თამაშობს და ახლა რონალდოზე უკეთეს ფორმაშიცაა. გავიგე, რომ დელ ბოსკემ ბრაზილიელს ეგოისტი უწოდა. მინდა, გითხრათ, რომ "არსენალში" ყველას ერთმანეთი უყვარს და ერთმანეთზე ზრუნავს. რონალდო თუ მართლა ეგოისტია, მაშინ ის ვერც ჩვენს გუნდს შეეწყობა", - განაცხადა ვიეირამ.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 34 წლის წინათ...

1969 წლის 29 მარტი. ბერლინი. ამხანაგური მატჩი გდრ-იტალია (2:2). იტალიის ნაკრების ლეგენდარული მეკარე დინო ძოფი.

ფეხბურთი

„დინამო" „ჰაიდუკი" მისსავე მოედანზე დაამარცხა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ხორვატიაში, ცნობილ "მაკარსკას" საწვრთნელ ბაზაზე, შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" კიდევ ერთი ტესტ-მატჩი ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ევროპულ საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილი სპლიტის "ჰაიდუკი", რომელიც ხორვატიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. ამ გუნდის ძალაზე სრული წარმოდგენა რომ შეგექმნათ, იმასაც გეტყვით, რომ ორი დღის წინ სპლიტში დასრულდა ოთხთა საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც, "ჰაიდუკის" გარდა, მონაწილეობა მიიღეს ხორვატიის, პოლონეთისა და მაკედონიის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა. ამ ტურნირზე "ჰაიდუკი" ხორვატიის ეროვნულ გუნდთან მინიმალური ანგარიშით - 1:2 დამარცხდა, ხოლო მაკედონიის ნაკრებთან მატჩი ფრედ - 1:1 ითამაშა და მესამე ადგილი დაიკავა.

ამ შეხვედრის ჩასატარებლად "დინამომ" "მაკარსკას" ბაზიდან სპლიტამდე არსებული 60 კილომეტრი ავტობუსით გაიარა. თამაში "ჰაიდუკის" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. შუშაკმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანა: ზოიძე (გვარამაძე, 58`), ვაშაკიძე (ხიზანეიშვილი, 67`), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოს და როჩა, გოგობერიშვილი (კანდელაკი, 69`), სახვაძე, ანჩაბაძე (კვირკველია, 58`), დარასელია (სამხარაძე, 68`), ახალაია (ბობოხიძე, 54`), ალექსიძე (მიქაძე, 69`).

როგორც "დინამოს" პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, ამ შეხვედრისთვის შუშაკმა 3-4-3 ტაქტიკური სქემა შეარჩია. "მასპინძლებმა საუკეთესო ფეხბურთელები დაგვიპირისპირეს. მე დავესწარი სპლიტის ოთხთა ტურნირს და, შემიძლია ვთქვა, რომ "ჰაიდუკმა" "დინამოსთან" ისეთივე შემადგენლობით ითამაშა, როგორითაც იმ ტურნირზე გამოვიდა. ცოტათი ციოდა, თუმცა, არ უწვიმია და პირველად ვითამაშეთ მშრალ მინდორზე. ამის გამო დინამოელებს ტექნიკური არსენალის სრულად გამოვლენის საშუალება მიეცათ.

რატი ალექსიძე

თამაში "დინამოს" უპირატესობით დაიწყო. მე-14 წუთზე მეტოქის კართან პირველი საგოლე მომენტი შევქმენით: უკან დაგორებული ბურთი "ჰაიდუკის" მეკარემ უხეიროდ მოიგერია. ბურთს დაეუფლა ახალაია და მეკარის საჯარიმო მოედანზე მარტოდმარტო მყოფ ალექსიძეს დაუგორა. სამწუხაროდ, სრულიად უწყინარ სიტუაციაში ალექსიძემ ბურთს ფეხი ააცილა და ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. მე-20 წუთზე, სახვაძის ჩაწოდების შემდეგ, თავად ახალაიას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია.

არც მასპინძლები მსხდარან გულხელდაკრეფილნი. 22-ე წუთზე სპლიტელთა თავდამსხმელმა, კრპანიმ, ყოფილი პერუჯელი ფეხბურთელისა და ხორვატიის ნაკრების წევრის, რაპაიჩის გადაცემის შემდეგ ბურთი, ხელსაყრელი მდგომარეობიდან, კარს ზემოდან გადააცილა. ორ წუთში, დინამოელთა საპასუხო შეტევის დროს, კარლოსმა ახალაია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მას მცველებიც უშლიდნენ ხელს და ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს. პირველ ტაიმში საგულისხმო მეტი არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევრის დასაწყისში უკვე მასპინძლებმა გაუშვეს ხელიდან აშკარა საგოლე მომენტი. ერთი შეტევის დროს მათ ბურთი ორჯერ გაარტყეს კარის ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა ძელს.

მატჩის ერთადერთი გოლი კი 68-ე წუთზე გავიდა. შეტევის მარცხენა ფლანგზე გაჭრილმა სახვაძემ ბურთი საჯარიმოსკენ დაარტყა. მეტოქე მცველებით გარშემორტყმულმა ალექსიძემ ბურთი მკერდით მიიღო და კარში დაარტყა. დარჩენილ დროში აღარც ერთ, აღარც მეორე კართან სერიოზული საფრთხე აღარ შექმნილა", - გვამცნო ლევან სალუქვაძემ.

"დინამო" ხორვატიაში კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 18 თებერვალს ხორვატიის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდს შეხვდება, 19-ში კი მეორე მატჩია, თუმცა, მეტოქე ჯერ არ არის შერჩეული.

დინამოელები 21 თებერვალს დაბრუნდებიან საქართველოში.

ბერნდ შტანგე: „ჩემი ბიჭები უპატრონოდ დავტოვე"

ერაყის ნაკრების გერმანელი მწვრთნელი აიძულეს, სამუშაო მიეტოვებინა

აკა ტონია

ერაყის ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა, ბერნდ შტანგემ, თავისი სამუშაო ადგილი მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. შტანგეს ეს გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობის მოთხოვნამ განაპირობა. მწვრთნელს სთხოვეს, რომ 24 საათში დაეტოვებინა ერაყის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიის მთავრობა შტანგეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იხსნიდა.

ცხადია, მწვრთნელმა სიცოცხლის რისკს უსაფრთხოება არჩია და ხუთშაბათს გერმანიაში დაბრუნდა. საინტერესოა, რომ გერმანიის მთავრობამ მსგავსი მოთხოვნები წაუყენა ერაყში მყოფ თავის ყველა მოქალაქეს.

ბერნდ შტანგე 54 წლისაა. თავის დროზე ის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ნაკრებს წვრთნიდა, გასული წლის ნოემბერში კი ერაყის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ ქვეყნის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ერაყში მოღვაწეობის მანძილზე მან მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. დებიუტი კატარის ნაკრების წინააღმდეგ ჰქონდა, რომელიც მისმა გუნდმა 1:2 დათმო, ხოლო მეორე მატჩი, ბაჰრეინის წინააღმდეგ, ერაყის ნაკრებმა ფრედ – 2:2 დაასრულა. ეროვნული ნაკრები გუნდის გარდა, შტანგე ერაყის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელიც არის. მისი კონტრაქტი 4-წლიანია, თუმცა, მასში არის პუნქტი, რომელიც მწვრთნელს ხელშეკრულების დარღვევის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. სწორედ ეს პუნქტი გამოიყენა შტანგემ და ერაყიც მიატოვა.

გუშინწინ ბერნდ შტანგე გერმანიის ტელეკომპანია ZDF-ის სპორტული სტუდიის სტუმარი გახლდათ. დარბაზში მყოფი მაყურებლები მას ოვაციით შეხვდნენ, ხოლო თავად მწვრთნელის გამოსვლა საკმაოდ გულის ამაჩუყებელი იყო. შტანგემ ისაუბრა იმ სიძნელეებზე, რომლებიც მას ქვეყნის დატოვებისას შეხვდა. ავიარეისები გადატვირთული იყო. მას ჯერ იორდანიაში მოუწია გადასვლა, იორდანიიდან კი გერმანიაში გადაფრინდა. "ეს საშინელებაა. მე იძულებული გავხდი, ჩემი ბიჭები მიმეტოვებინა, მათ კი, ფეხბურთის თამაშის გარდა, არაფერი აინტერესებთ. ახლა ისინი უპატრონოდ დარჩნენ. ის, რომ ამერიკა ჰუსეინს ერჩის, მათი ბრალი არ არის. ისინი ძალიან შორს არიან პოლიტიკისგან. არადა, ომის დაწყების შემთხვევაში, მათ ჯარში გაიწვევენ და ჯარისკაცებად აქცევენ. ჩემი ფეხბურთელების საშუალო ასაკი 18-დან 23-წლამდე მერყეობს. ერაყში ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა. მე ვიქნებოდი მწვრთნელი, რომელსაც გუნდი არ ჰყავს, რადგან გუნდი ომში მიდის..." – განაცხადა შტანგემ.

ბერნდ შტანგე

გადაცემის წამყვანმა მწვრთნელს ჰკითხა, ხომ არ ნანობს, ერაყში რომ წავიდა სამუშაოდ, რაზეც შტანგემ განაცხადა: "ეს არასოდეს მინანია. ერაყში, მართლაც, დიდი ხალისით წავედი. იქ შესანიშნავი ბიჭები მყავს. ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე ოცნებობენ და, მერწმუნეთ, ამის არც ისე პატარა შანსი აქვთ".

შტანგე აცხადებს, რომ ის ჯერ კიდევ არის ერაყის ნაკრების მწვრთნელი და სურს, რაც შეიძლება, მალე მიეცეს თავის სამუშაო ადგილზე დაბრუნების საშუალება. "მე ახლაც ერაყის ნაკრების მწვრთნელი ვარ. ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ მალე დავბრუნდე ერაყში და ჩემს ბიჭებთან მუშაობა გავაგრძელო. აპრილში ჩვენ ოფიციალური მატჩი გვაქვს ვიეტნამის ნაკრების წინააღმდეგ. ამ შეხვედრას მოუთმენლად ველოდით. საშინელება იქნება, თუ ეს მატჩი არ შედგება. იმედი მაქვს, დავბრუნდები და ვიეტნამთანაც ვითამაშებთ. მაგრამ ერაყში დასაბრუნებლად გერმანიის მთავრობის ნიშანი მჭირდება. თუ ნებას არ დამრთავენ, ერაყში წასვლა გამორიცხული იქნება", - განაცხადა ბერნდ შტანგემ.

მწვრთნელის სიტყვებმა სტუდიაში მყოფი მაყურებელი შეძრა. მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში, მათ შორის, გერმანიაში, ომის წინააღმდეგ მიმართული აქციები იმართება, შტანგეს ამ გამოსვლამ თავისი პოლიტიკური როლიც ითამაშა.

იმედია, ბერნდ შტანგე, მართლაც, შეძლებს ერაყში დაბრუნებას და თავის ბიჭებს ოცნების ასრულებაში დაეხმარება...

ათნი თოთხმეტის წინააღმდეგ

შაბათს სერია A-ში ორი საინტერესო მატჩი გაიმართა. ფაბიო კაპელოს "რომამ" საკუთარ მოედანზე ვერ მოუგო "ბრეშას", ჩემპიონატის ლიდერი მილანის "ინტერი" კი სტუმრად დამარცხდა "კიევოსთან". ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბული და დამაინტრიგებელი გამოდგა. საერთოდ, "კიევოს" ხშირად ჩაგრავენ ხოლმე არბიტრები, მაგრამ ამჯერად დაჩაგრული "ინტერი" აღმოჩნდა. მთავარმა მსაჯმა, რაკალბუტომ, ვერონელების სასარგებლოდ დანიშნა ორი პენალტი, რომელიც კორინიმ უპრობლემოდ აქცია გოლებად.

მილანელებმა, რა თქმა უნდა, ორივე პენალტი გააპროტესტეს. განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოყვა პირველ თერთმეტმეტრიანს, რომელიც, მართლაც, უცნაურ ვითარებაში დაინიშნა - გვერდითმა მსაჯმა პულიზიმ მიიჩნია, რომ ფაბიო კანავარომ ბურთი მხრით გააჩერა. რეფერიც დაეთანხმა ლაისმენის გადაწყვეტილებას და მილანელები პენალტით დასაჯა. მეორე თერთმეტმეტრიანის დანიშვნამ "ინტერის" თურქი ფეხბურთელი ოკანი ისე გაამწარა, რომ მან მსაჯს, პროტესტის ნიშნად, მხარიც კი გაჰკრა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა "ინტერმა" მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო - კრისტიან ვიერიმ სერია A-ში თავისი მეასე გოლი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მატჩის გადასარჩენად. ამიტომ არც ვიერის უზეიმია განსაკუთრებული სიხარულით თავისი საიუბილეო გოლი...

მილანელები ვერონიდან ერთ ქულას მაინც წამოიღებდნენ, არბიტრი რომ ასე ცუდად არ ყოფილიყო მათ მიმართ განწყობილი. რაკალბუტომ ყურადღება არ მიაქცია "კიევოს" საჯარიმოში წაქცეულ ბატისტუტას და მესამე პენალტის დანიშვნისგან თავი შეიკავა. მატჩის დამაგვირგვინებელი აკორდი კი 85-ე წუთზე გოლების ავტორის, კორინის გაძევება იყო ორმაგი გაფრთხილების გამო.

მატჩის შემდეგ "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი აღშფოთებას ვერ მალავდა. მან თავისი გუნდი შეაქო კარგი თამაშისთვის და წაგება მთლიანად მსაჯებს გადააბრალა. "რეფერიც ვერონელთა მხარეზე იყო და ლაისმენიც. ჩვენ ათნი ვთამაშობდით თოთხმეტის წინააღმდეგ. როგორ უნდა მოგვეგო?" - გაბრაზებით იკითხა "ინტერის" პატრონმა.

რაგბი

ქართველები პორტუგალიელებმა დასცეს

რუსებმა კი ესპანელებზე იყარეს ჯავრი

ჰაატა თოთაძე

წარუმატებლად დაიწყეს ასპარეზობა ევროპის ერთა თასზე ქართველმა ბორჯღალოსნებმა. პირველ მატჩში ქართველები სტუმრად დამარცხდნენ პორტუგალიის ნაკრებთან 30:34.

"თამაში, შეიძლება ითქვას, თანაბარი იყო. მართალია, მცირე უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ გუნდის თამაშში ძალიან ბევრი ტექნიკური წუნი იყო, რის გამოც ეს უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ. მატჩი აუცილებლად უნდა მოგვეგო. მსაჯებზე საუბარი უხერხულია, მაგრამ არბიტრმა ლელო არ ჩაგვითვალა, მატჩის მიწურულს კი ირაკლი გიორგაძე გააძევა და შეხვედრა კაცნაკლულებმა დავასრულეთ. პორტუგალიელებმაც ამით ისარგებლეს. ლელო და გარდასახვა ბოლო წუთზე გაგვიტანეს", - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა პორტუგალიაში მყოფმა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ.

რა შეიძლება ითქვას ამ მარცხზე. არაერთხელ გაიგონებდით, ბოლო დროს ჩვენი გუნდის თამაშში ბევრი ტექნიკური წუნი შეიმჩნევაო, მაგრამ, ჩანს, მის გამოსასწორებლად კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო. მარცხი საწყენია, მაგრამ ევროპის ერთა თასის მოგების შანსი კიდევ არსებობს.

რაც შეეხება ტურის მეორე მატჩს, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ესპანელები დაამარცხა მეტოქის მოედანზე. ცოტა ხნის წინ ესპანელებისგან განაწყენებულმა სლავებმა მეტოქეზე ჯავრი იყარეს და დაამარცხეს - 52:19.

დომინგესს მხარში იტალიელები ამოუდგნენ

ჰაატა თოთაძე

სენსაციურად დაიწყო ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება. პირველივე მატჩში იტალიამ უელსი დაამარცხა. ევროპის საუკეთესო გუნდის წოდება კი მძიმე ბრძოლაში ფრანგების დამარცხებით ინგლისმა დაიბრუნა.

დიეგო დომინგესი

იტალია – უელსი 30:22

იმ ხნის განმავლობაში, რაც იტალიელები ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილეობენ, მეორე მატჩი მოიგეს. პირველად, სამი წლის წინათ, მათ შოტლანდია დაამარცხეს. მაშინაც და ახლაც იტალიელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახლდათ ნახევარმცველი დიეგო დომინგესი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ, თუ ორი წლის წინ მან, ფაქტობრივად, მარტო დაამარცხა მეტოქე, წლეულს არგენტინული წარმოშობის იტალიელს თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და უელსელები სამჯერ დაალელეს.

მიზეზს თვითონ გაარკვევენ. ფაქტია, რომ უელსელები ამ მატჩში თავის თავს არ ჰგავდნენ. ასეთი დაბეჩავებული ეროვნული ნაკრები რომის სტადიონზე შეკრებილ უელსელ გულშემატკივრებს, ალბათ, არასდროს ენახათ. ეს, განსაკუთრებით, მეორე ტაიმზე ითქმის, თორემ შესვენებამდე სტუმრები, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას უწევდნენ იტალიელებს. ამას, ძირითადად, უკანახაზელთა, შედარებით, კარგი თამაშის წყალობით ახერხებდნენ. რაც შეეხებათ მორკინალებს, იტალიელებმა ყველაფერში დაჩაგრეს მეტოქე – სამივე ლელო მათ ანგარიშზეა.

ინგლისი – საფრანგეთი 25:17

თავიდანვე ვიტყვით: დამარცხების მიუხედავად, საფრანგეთმა უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მაშ, რამ გამოიწვია ფრანგთა მარცხი? ეს, უპირველესად, "მამლების" დამრტყმელის ჟერალდ მერსერონის დამსახურებაა. არაერთხელ ითქვა: მერსერონი წლეულს ძველებურად ზუსტად ვეღარ ურტყამს და ნაკრებში თავისუფალი ნახევარმცველის პოზიციაზე კრისტოფ ლამეზონის დაყენების საკითხიც კი დადგა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ "ტიტუს" მერსერონი ამჯობინა და... "ასეთი რამ ჟერალდს არასდროს დამართვია. ისეთი პოზიციებიდან აცილებდა, საიდანაც დამწყები დამრტყმელიც კი გაიტანდა. ნუთუ გუნდის მწვრთნელებმა არ იცოდნენ, რომ მერსერონი ფორმაში არ იყო?", - გაკვირვებული კითხულობდნენ ფრანგი გულშემატკივრები მატჩის შემდეგ. რა იცოდნენ ნაკრების ხელმძღვანელებმა და რა – არა, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ მერსერონმა საფრანგეთის ნაკრების დამრტყმელისთვის ერთობ ცუდად ითამაშა და, შესაძლოა, ამის გამო ნაკრებსაც დაემშვიდობოს.

ფრანგისგან განსხვავებით, ჩინებულად ითამაშა ინგლისელთა მეათე ნომერმა ჯონი უილკინსონმა. მასპინძელთა მიერ მოპოვებული 25 ქულიდან 20 მის ანგარიშზეა. მატჩის ბედიც მან გადაწყვიტა, თორემ, თამაშით ფრანგები სჯობდნენ მეტოქეს. სამი ლელოც გაუტანეს მეტოქეს, მაშინ, როცა ინგლისელებმა ამის გაკეთება მხოლოდ ერთხელ შეძლეს. თუმცა, მთავარია არა ეს, არამედ მატჩის ბოლოს ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგი. "თვიქნემის" ტაბლო კი იმ დღეს ინგლისელთა გამარჯვებას და ევროპაში პირველობას იუწყებოდა.

გუშინ ტურნირის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა შოტლანდიაში. ედინბურგის "მარიფილდზე" შოტლანდიამ ირლანდიას უმასპინძლა. მიუხედავად შინაური კედლებისა, მათ შორის დაპირისპირებაში გამარჯვებული ირლანდიელები გამოვიდნენ. სტუმრებმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგეს შოტლანდიას, ეს ანგარიშიდანაც ჩანს – 6:36

სამთო-სათხილამურო სპორტი

და "ოქრო", ძმა "ოქრო", უკან კიდევ - ხორვატია

გიგა გურასაშვილი

სენტ მორიცში დისლოცირებული მსოფლიოს სათხილამურო არმია ორი კვირის თავზე დემობილიზებულ იქნა. შვეიცარიის ალპებში დასრულებულ სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბატონ-პატრონები ავსტრიელები გახდნენ. ბოლოს და ბოლოს, წინა ასპარეზობები, რომლებიც ქალ-ვაჟ სლალომისტებს დაეთმოთ, ისე დასრულდა, ჩემპიონთა შორის კვლავაც ვერც ერთი მასპინძელი ვერ მოხვდა. ჩემპიონობა, აქაც და იქაც, და-ძმა კოსტელიჩებმა მოიპოვეს.

ივიცა და იანიცა კოსტელიჩები

REUTERS

შაბათი დღე ქალ სლალომისტებს დაეთმო. მათ შორის ყველაზე უკეთ ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა იასპარეზა. არადა, სენტ მორიცში სამი წლის წინ მიღებული ტრავმა, რომელმაც ისევ აქ შეახსენა თავი, ხორვატი მოთხილამურის შემდგომ დისციპლინებში გამოსვლას საეჭვოს ხდიდა. მიუხედავად ამისა, კოსტელიჩმა კომბინაციაში პირველ გამარჯვებას სლალომში მეორეც მიაყოლა და, ამერიკელ ბოდე მილერთან ერთად, ჩემპიონატის ორგზის ტრიუმფატორიც გახდა. კოსტელიჩს ძალიან უნდოდა, 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ სენტ ანტონიის ფერდობები მისთვის გადაულახავ წინაღობად იქცა. ორი წლის წინანდელი წარუმატებლობით განაწყენებულ თანამემამულეთა შემხედვარე, თავადაც გულაყრილი, მოქალაქეობის შეცვლაზეც კი ფიქრობდა. ამჯერად კოსტელიჩს თანამემამულეებისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია - ადრინდელი დანაკლისი ორგზის ჩემპიონობით აინაზღაურა. არადა, პირველი გამარჯვება ისე აღნიშნა, თითქოს მისთვის მსოფლიო ჩემპიონობა მორიგი, ჩვეულებრივი წარმატება ყოფილიყოს. ეტყობა, მეორე "ოქრომ" კოსტელიჩს აზრი შეაცვლევინა.

"ადრე ვთქვი, რომ მსოფლიო ჩემპიონობა ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. ახლა კი, როდესაც ჩემს მედლებს ვუყურებ, საკუთარი თავით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ძალიან, ძალიან მიყვარს მედლები", - აცხადებს 22 წლის კოსტელიჩი.

იანიცასი არ იყოს, ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპიც ერთადერთია, ვინც სენტ მორიცში ქალთა შორის მეორე მედალი მოიპოვა, ოღონდ ეგაა, ხორვატის მედლებთან შედარებით - ნაკლებად მბზინავი. ნიკოლ ჰოსპმა კომბინაციაში დაკავებულ მეორე ადგილს სლალომში მოპოვებული ბრინჯაოც დაურთო. მათ შორის ადგილიც ავსტრიელს უკავია. მარლის შილდი ვერცხლის მედალოსანია. ამრიგად, ბოლოს წინა დღეს სლალომში შემატებული ორი ავსტრიული მედლით ამ უკანასკნელთა მონაგარი შვიდიდან ცხრამდე გაიზარდა. ერთადერთი, ვისაც ავსტრიელების დაწევის შანსი ჰქონდა, ამერიკელები არიან. ევროპელებთან გასათანაბრებლად ოკეანისგაღმელებს ჩემპიონატის დასკვნით დღეს სამივე საპრიზო ადგილის დაკავება ესჭიროებოდათ. მაგრამ, ფაქტია, ამერიკელები მედლის გარეშე დარჩნენ. მართალია, ხარისხობრივი მაჩვენებლით ეს უკანასკნელნი ავსტრიელებს ვერ გაუსწორდებოდნენ, მაგრამ, მთლიანობაში, მოპოვებული მედლების რაოდენობა მათთან გატოლების საშუალებას იძლეოდა. გუშინ ვაჟთა შორის სლალომიც ევროპელთა კარნახით წარიმართა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს სტარტზე გასულ 123 მონაწილისგან პირველი დაშვების შემდეგ კორვილიის ტრასას მხოლოდ 86 მოთხილამურე შემორჩა. პაექრობაც მათ შორის გაიმართა, მაგრამ მეორე დაშვებისას მათი რაოდენობა კიდევ შემცირდა. თუმცა, ასპარეზობის დასრულების შემდეგ ეს უკანასკნელნი აღარავის ახსოვდა. ფერდობებზე შეფენილი ათასობით გულშემატკივარი უნიკალური ფაქტის მოწმე გახდა. პირველად, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, გამარჯვებულთა შორის და-ძმანი არიან. იანიცა კოსტელიჩს, იმავე დისციპლინაში, ძმამ - ივიცამაც აუბა მხარი. მან კორვილიის ტრასა წუთსა და 40,66 წამში დაფარა. პირველი მილოცვაც იანიცასგან მიიღო.

სამხიარულო მასპინძლებსაც ჰქონდათ. სილვან ცურბრიგენს ვერცხლის მედალი ერგო. ჯორჯო როკას წყალობით, ჩემპიონატის მეორე მედალი (ბრინჯაო) მოიპოვეს იტალიელებმაც.

მართლა ეშვება ანას?

ნინო პირველი

სპორტის რომელ მოყვარულსაც უნდა ჰკითხოთ, რუსი ანა კურნიკოვა უფრო სექსბომბაა, ვიდრე კარგი ჩოგბურთელი. არავის ახსოვს, ანას თუნდაც ერთხელ მაინც მიექციოს ყურადღება თავისი შთამბეჭდავი თამაშით. ის გარეგნობით სპეკულირებს, რეკლამებში დიდ ჰონორარს იღებს, საზოგადოებას თავისი ამურული თავგადასავლებით აინტრიგებს, კორტებზე კი მნიშვნელოვანს ვერაფერს აკეთებს. მნიშვნელობა არა აქვს, რა დონის ტურნირია - კურნიკოვა ვერსად ახერხებს წარმატების მოპოვებას. ერთადერთხელ - შანხაის ტურნირის ფინალში გავიდა და იქაც დამარცხდა. მრავალწლიანი საჩოგბურთო კარიერა და არც ერთი მოგებული ტიტული! ასეთი ცუდი მაჩვენებელი არც ერთ ცნობილ ჩოგბურთელს არა აქვს. ანა ამ მხრივაც გამორჩეული ფიგურაა...

ასეთი წარუმატებლობის მიუხედავად, საზოგადოებას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ინტერესი ანა კურნიკოვას მიმართ. შარშან, დეკემბერში, ყველას ძალიან აინტერესებდა, დაშორდებოდა თუ არა რუსი ჩოგბურთელი თავის ბოიფრენდს, ენრიკე იგლესიასს, რომელსაც ერთგულებაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და, ანასთან ურთიერთობის პარალელურად, არც სხვა ლამაზმანების მოხიბვლაზე ამბობდა უარს... როცა ანა და ენრიკე ლონდონში იყვნენ, ინგლისური თუ გერმანული ბულვარული პრესა, ლამის, ყოველდღე აშუქებდა ჩოგბურთელისა და პოპვარსკვლავის ლონდონური ცხოვრების დეტალებს. არც იმ ფოტოების გამოქვეყნება დავიწყებიათ, რომლებზეც საკმაოდ შეზარხოშებული ანა ლონდონის ერთ-ერთ ბარში იყო აღბეჭდილი... ანა ღვინით სავსე ჭიქით ხელში... ამაზე ცუდი რა უნდა გააკეთოს პროფესიონალმა ჩოგბურთელმა?

საბედნიეროდ, ანას სულიერი კრიზისი დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლო დროს ოქროსფერნაწნავიან ანას, როგორც ჩანს, მობეზრდა სექსსიმბოლოს იმიჯი და სპორტულ ასპარეზზე დაბრუნება გადაწყვიტა. მწვრთნელი, რომელიც მას დიდების მიღწევაში უნდა დაეხმაროს, გახლავთ სამოცდაათი წლის გურუ ნიკ ბოლეტიერი, რომელსაც, თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, არაერთი დიდი ჩოგბურთელი გაუწვრთნია. ოთხმოცდაათიან წლებში ის ბორის ბეკერს ავარჯიშებდა, მისი ყოფილი მონაფე ანდრე აგასი 32 წლის ასაკშიც სერიოზულ წარმატებებს აღწევს და უპრობლემოდ იგებს ტურნირებს. ახლა კი მხცოვანი სპეციალისტი ანა კურნიკოვასა და გერმანელი ტომი ჰაასის პრობლემებითაა დაკავებული.

ბოლეტიერის ეჭვიც არ ეპარება, რომ "სექსი ანა" დიდ ჩოგბურთში აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას. "ჩემთვის ძალიან საინტერესოა ანასთან მუშაობა. მე მას აუცილებლად დავაბრუნებ ჩოგბურთში. სულ მალე ის საუკეთესო ათეულში შევა, მისი ადგილი მხოლოდ იქ არის. ვგრძნობ, რომ ანას დიდი პოტენციალი აქვს და არაერთი წარმატების მოპოვება შეუძლია. მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო ანას დასახმარებლად. გარწმუნებთ, ანას დაბრუნების შემდეგ ჩოგბურთი კიდევ უფრო ლამაზი გახდება", - დაბეჯითებით აცხადებს ბოლეტიერი.

შავსათვალიან ბოლეტიერის არც ტომი ჰაასის შესაძლებლობებში ეპარება ეჭვი და გერმანელ ფანებს ძველი ჰაასის დაბრუნებას ჰპირდება. ტომი ჰაასს, ალბათ, არც დასჭირდებოდა ბოლეტიერის დახმარება, მხრის ტრავმა რომ არ მიეღო. გამოჯანმრთელების შემდეგ ჩოგბურთელმა ვერა და ვერ მოახერხა ძველი ფორმის აღდგენა. ბოლეტიერისთვის შეუძლებელი არაფერია. ის ჰაასის მონაცემებშიც დარწმუნებულია და ამბობს, რომ ტომი სულ სხვა სახით წარდგება გულშემატკივრების წინაშე. "ის მალე პირველი ნომერი გახდება", - ვითომცდა, არაფერიაო, ისე არხეინად აცხადებს მწვრთნელი.

მოკლედ, ბოლეტიერი დაპირებებს იძლევა და ჰაასისა და კურნიკოვას გულშემატკივრებს იმედით კვებავს - თქვენი კერპები სულ მალე ვარსკვლავებად იქცევიანო. მაგრამ საკითხავია, რამდენად შეძლებს ის ამ დანაპირების ასრულებას. ანა კურნიკოვა წარმატებული ჩოგბურთელი არასოდეს ყოფილა და ერთ დღეს, მართლაც, რომ მოხდეს სასწაული და მან, ვთქვათ, "როლან გაროსი" ან "უიმბლდონი" მოიგოს, იქნებ ვერც კი გაუძლოს გამარჯვების წამლეკავ სიხარულს და, ბოლეტიერის შემდეგ, უკვე ფსიქოლოგის დახმარებაც დასჭირდეს...

კალენდარი

17 თებერვალი

მაიკლ ჭორდანი

1940 – დაიბადა ვილი ჰოლდორფი. გერმანელი მძლეოსანი. 1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონი. 60-იანი წლების გერმანიის საუკეთესო სპორტსმენი.

1963 – დაიბადა მაიკლ ჯორდანი. ამერიკელი კალათბურთელი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. NBA-ის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი.

1972 – დაიბადა ფილიპ კანდელორო. ფრანგი სპორტსმენი. ფიგურულ სრიალში ორგზის ოლიმპიური პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი.

მძლეოსნობა

აი, გარბენი! გრინი უკან მოიტოვეს

მსოფლიო რეკორდსმენი, სახელოვანი მორის გრინი აცხადებდა, რომ წლეულს ბადალი არ ეყოლებოდა, მაგრამ ფაიეტვილეს (არკანზასის შტატი) ტურნირმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტურნირზე ამერიკელმა ტერენს ტრამელმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონმა (110 მეტრზე ბარიერებით სირბილში) 60 მეტრზე სპრინტერულ გარბენში 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი მორის გრინი დაამარცხა.

ტრამელმა პირველ 15 მეტრზე გრინს უპირატესობა კი დაუთმო, მაგრამ ფინიშის სწორზე საოცარი სპურტით ჩამოიტოვა მეტოქე. ტრამელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა - 6,46 და 6 მეათედით გააუმჯობესა თავისივე მიღწევა. გრინი მესამე იყო - 6,50. მან ჯონ კეპლი გაუშვა წინ - 6,48. გრინი, რომელმაც შარშან მონტე-კარლოს გრან-პრი მოიგო, ტრამელისგან ასეთ გიჟურ სპურტს არ მოელოდა. მით უფრო, რომ შარშანდელ სეზონში სტოკჰოლმისა და მონტე-კარლოს გრან-პრის ეტაპებზე, თავის საფირმო დისტანციაზე (110 მეტრი ბარიერებით) მეხუთე-მეექვსე ადგილებს ვერ გასცდა.

24 წლის ტრამელმა არკანზასში ორმაგ წარმატებას მიაღწია და სპრინტერულ ოქროს იმავე, 60-მეტრიან დისტანციაზე ბარიერებით გარბენში, მეორე ოქროც დაუმატა. ამჯერად მისი შედეგია 7,42, რაც სამი მეათედით აღემატება სპრინტერის წინა მიღწევას. მაყურებელი გაახალისა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გეილ დივერსმაც, რომელმაც 60 მეტრზე ბარიერებით მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა - 7,85 და სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა. ჭოკით ხტომაში კი იმარჯვა სიდნეის ოლიმპიურმა და 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონმა სტეისი დრაჟილამ, თუმცა, მისი შედეგი - 4მ. 55სმ. 20 სანტიმეტრით ჩამორჩება იმ შედეგს, რომელიც სპორტსმენმა წელიწადნახევრის წინ ედმონტონში გამართულ მსოფლიო პირველობაზე აჩვენა.

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

მიღება მხოლოდ კრძო პირების განცხადებები

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, სამსახური, მომსახურება, სამეფო, მეორადობა

უფასო განცხადების ქვითარი მოიტანეთ საოფისეო სამსახურში სამუშაო დღეებში, 48 საათის განმავლობაში ტელეფონზე დარეკვის შემთხვევაში განცხადების არ გამოქვეყნება

საქართველოს ფილარმონიის განცხადებები ქვითრების გარეშე არ გამოქვეყნდება

17.02.03 N-46

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

აცხადებს 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერ ვაჟთა და გოგონათა მიღებას საბავშვო-საყმაწვილო საესტრადო ანსამბლ-სტუდია "ნიკეში".

ანსამბლი-სტუდია "ნიკე" იქნება ნორჩი ტალანტების მეგზური შოუ-ბიზნესის სამყაროში. "ნიკე" მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და მსოფლიოს წამყვანი საპროდიუსერო კომპანიების ეგიდით გამართულ კონცერტებში, ფესტივალებში და სატელევიზიო პროექტებში.

ანსამბლ-სტუდია "ნიკეს" აღსაზრდელები მიიღებენ სტუდიის კურსდამთავრებულის სერთიფიკატს, რომელიც გაუხსნის მათ გზას შოუ-ბიზნესის ელიტაში.

სტუდიას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი **ზურაბ ჩინჩალაძე**.

მიღება წარმოებს 2003 წლის 10 თებერვლიდან, შემდეგ მისამართზე:

დავით აღმაშენებლის პრ. N136, II სართული, ოთახი N34.

საკონტაქტო ტელეფონი: 95-18-50

განცხადებების მიღება სამუშაო დღეებში 12-დან 18 საათამდე.

აფიშა

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„

"ბაგრატიონი", რეჟ. კოტე მახარაძე

დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა

ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

ეროვნული გალერეა

ნანა მჭედლიშვილის ნამუშევრების პერსონლური გამოფენა

გიორგი უსტიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

შარდენი

ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

ორიენტი

"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჭიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

კინოთეატრები

„ამირანი„

"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი

დას: 15:00 სთ; ფასი 5,6 ლარი

"პლუტონში"

დას: 17:00 სთ; ფასი 6,7 ლარი

"აბა დამიჭირე"

დას: 19:00; 22:00; ფასი 8,9 ლარი

„რუსთაველი„

"შპიონი ბავშვები 2"

დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ექსტრემელები"

დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

„ელისო„

"შპიონი ბავშვები 2"

დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ექსტრემელები"

დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

თეთრი-წყარს რაიონში სოფ. ჯორჯიაშვილში იყიდება 3-სართულიანი სახლი. 30-54-44 მზია.

იყიდება მშენებარე ბინა ვაკეში. 23 58 07

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000.

ტელ: 38-32-50

მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

კომერც. ფართი

სასწრაფოდ იყიდება დიღმის მასივის ცენტრში საოფისე ფართი, 160 კვ.მ. სავაჭრო, სარიტუალო ან ნებისმიერი ბიზნესისთვის. 52 80 19

სასწრაფოდ! ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება ბინა ბათუმის ცენტრში ავეჯით, ტელეფონით, ფასი 100$. ცნობებისათვის დარეკეთ 38-21-14

სწავლება

აიკიდოს შესწავლის მსურველები დაგვიკავშირდით 899 963354, 899 980189.

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმეს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

ინგლისური სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

სხვადასხვა

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელის და ფეხის ასადგმელი ქამრები ბრტყელტერფიანებისთვის, სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

პირველად თბილისში ახალი ტიპის საკვირაო სკოლა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას და მრავალმხრივ შემეცნებას მსუბუქი გასართობი ფორმებით, ფსიქოლოგიური სამსახურით. ვერის პარკთან. 98 72 54, 8(77) 43 21 02, 8(99) 56 35 31

გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი“

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევრთ ადგილები და მენიუ.

სანდრო ეულის ქ. 1.

8(93) 21 76 12

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

2003 წლის 4 მარტს, 12 საათზე ჩატარდება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი N12, V სართული.

TV პროგრამა 17 თებერვალი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „სოლტონის ზღვა“ მთ. რ-ში: ველ კილმერი, სანდრა უესტი
02.00 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „გელფეგორი“
10.10 მხ. ფილმი „არლეტი“
11.45 დოკ. სერიალი „ყველანი ორგიტაზე“
12.00, 15.00, 20.00 „მოამგე“
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი „მსოფლიოს გაზრები“
14.30 „საქართველო და გარესამყარო“
15.15 დოკ. ფილმი „ჰონგ კონგი 5 წლის შემდეგ“
16.15 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის შეხვედრა: თბილისის სტუ-ჯეოსელი - გათუმის „ბასკო“. შესვენებისას „რამპა“.
17.45 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ“
18.30 გასტი-ბუზუ
18.50 „მრავალჟამიერ“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 მუს. პაუზა
22.05 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი“
23.00 დღის გოლოს
00.00 მხ. ფილმი „კონდორის სამი დღე“

პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დუეტები“ მთ. როლ-ში გვინეტ პელტროუ, მარია ბელო.
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „რომანტიკოსად დაბადებული“ მთ. როლში კრეიგ ფერგიუსონი
01.45 ფილმი ღამურა „მეწამული ძალი“ მთ. როლ-ში ასია არჯენტო, ჯინ შეპარდი
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ მე-4 სერია

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ბიჭები გრუნდებიან“
10.20 მხ.ფ. „შეყვარებული თომა“
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ეძებედიცია“
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „საუკუნოდ ჩემი“
22.40 „ბურთი და მოედანი“
22.00 დიალოგი
22.30 მხ.ფ. „გზაჯვარედინები“
00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „ტყუპები“
15.00 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მტერი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „სასიყვარულო ისტორია“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ირმებზე მონადირე“
23.00 დოკ. ფილმი

მეცხრე არხი

09.35 მხ. ფილმი „თანამგზავრები“
11.15, 14.00, 17.25, 18.25, 21.55, 23.45 მუსიკა
11.30 ქართ. მხ. ფილმი „ანეშია“
13.35 მულტფილმი „ტომი და ჯერი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი“
15.15 დოკ. სერიალი „მწერების იმპერია“
15.45 მხ. ფილმი „თვითმკვლელობის მეფეები“
18.00 მხ. სერიალი „ჯონ როსი“
18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები“ მე-13 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 116-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაბები“
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი“
22.00 „ტელემეტრი“
22.15 მხ.ფილმი „ციება-ცხელება“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ.ფ. „ჩაშლილი საქმე“

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
10.00 სათავგადასავლო ფილმი „საიდუმლო კუნძული“
12.15 თრილერი „შეთქმულება თეთრ სახლში“
14.20 კომედია „მომაკვდინებელი ფეხბურთი“
16.15 მულტფილმი „ებვიპატის პრინცი“
17.55 მხატვრული ფილმი „ავი ძაღლი“ 1 სერია
19.00, 22.20, 00.00 „დღეს“
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
20.00 მელოდრამა „მთელი ძალით“
21.30 დოკუმენტური ფილმი
22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
22.45, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.50, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 „ალტერნატივა“
01.05 მხატვრული ფილმი „კლასიკოსი“
03.30 მელოდრამა „სხვადასხვა კუთხეში“

VII არხი

09.20 „აჩიკუდა“
09.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.20 სპორტი
10.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
10.55 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.15 „ოპიექტივი“-სტუმარი (გამეორებით)
12.05 კომპიუტერული ტექნიკა
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 კომპიუტერული თამაშები
13.15 მოგილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.55 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა“
22.00 „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ოცეოლა“ - ცხოვრებისეული. როლებში: ბოიკო მიტიჩი
00.15 სპორტი
00.20 მოგილურები
01.10 „ბიორითმი“ - აბუტინი და ვარუმი

ОРТ

13.00, 16.00, 19.00 Новости
13.15 Комедия „Бедная Саша“
15.00 „Путешествия натуралиста“
15.30 Док. детектив. „Модная кража со взломом“.
16.20 Дог-шоу
17.05 Док.сериал „Живая природа“. „Братья по крови“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Шутка за шуткой“
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?“
22.00 Время
22.40 „Последний герой 3“
23.45 Независимое расследование
00.30 Ночное „Время“.
01.00 „Новый день“. „Формула власти“. Президент Армении
01.30 „На футболе“
02.00 „Апология“
03.05 Боевик „Неудержимый“. „Кролик Рэдекс“

РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Комедия „Внутреннее пространство“
12.00 ,15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Осиное гнездо“
13.15 В „Городке“
13.30 Вести недели
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50 Дорожный патруль
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр“
22.50 Сериал „Семнадцать мгновений весны“
00.20 „Вести+“
00.50 Вести-Спорт
00.55 Худ.фильм „Взрывчатка“

НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7“
11.00 Сегодня утром
11.25 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами“
11.50 Вкусные истории
12.00, 13.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
12.05 „Растительная жизнь“
12.40 Вы будете смеяться!
13.05 Худ.фильм „Человек в железной маске“
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 „Лекарство от депрессии“. Ток-шоу „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Гангстерские войны: „ТТ“ для киллера“
19.20 „Внимание! Розыск!“ „Оружейная квартира“
20.40 Сериал „Тайны следствия“
21.50 Боевик „Кодекс чести“, 13 с.
23.00 „Страна и мир“. Главные события дня
23.35 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Сериал „Тайны следствия“
01.25 Гордон

პრეზიდენტი

ციკლიდან: "ქართველიშვილები"

გიორგი ქართველიშვილის მამა

მე გიორგი ქართველიშვილის მამა ვარ და წელს 75 წლის გავხდი. მე უკვე დიდი ხანია, აღარ ვმუშაობ მესაფლავედ, რადგან საქართველოში რაც დასამარხი იყო, ყველაფერი დავმარხე და მეგობრებმა ახლა რესპუბლიკის პრეზიდენტად გადამიყვანეს. თავიდანვე მომეწონა ეს თანამდებობა და ახლა ისე შევეჩვიე, რომ მის გარეშე ცხოვრება აღარ წარმომიდგენია. ბევრ რამეს მივაღწიე, მაგრამ ვგრძნობ, რომ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია ჩემი ხალხისთვის. ახლა ჩემს დამსახურებაზე რომ ვილაპარაკო, დამიწყებს ის თინეიჯერი მიშიკო - შენ წადი და დამსახურებას არ დაგიკარგავო. მარა, ბოლო ათი წლის ამბავი მაინც უნდა შეგახსენოთ. ვიცი, ახლა ოპონენტები იტყვიან - ეს აფხაზეთიო, ეს ოსეთიო, აჭარაც, ფაქტობრივადო, ახალქალაქიო, მარნეულიო და კიდევ რა ვიცი, მაგრამ რატომ მეორე მხრიდან არ უყურებენ კაცო ამ ყველაფერს?! კარგი როა ეს ჩვენი მიწაწყალი, იმიტომ უჭირავს ყველას თვალი იმაზე, თორემ ცუდი ვის რად უნდა! ყველაფერს ხომ არ გეტყვით, მარა გუშინ მობილურზე ველაპარაკე ჯორჯ დაბლიუს და მითხრა - ე ბიჭო, მოიცადე ერთი წელი, გაიყვანონ რუსებმა რკინიგზა ნორმალურად, ააფუნქციურონ კიდევ რაღაცეები და მერე წაიღეთ უკანო. მჯერა მე მაგ ბიჭის, მეგობრის შვილია და ოჯახშია აღზრდილი. ასევეა სხვა რეგიონებიც. გახსოვთ ალბათ რა ხდებოდა შეიარაღებული ბანდ-ფორმირებების ირგვლივ. სად წავიდნენ ისინი?! სად და გავაფორმალურე ყველანი და ახლა იგივე საქმეს პოლიციის სახელით აკეთებენ. ზვიადმა რომ ვერ ივარგა ამ ათი წლის წინ (გლობალიზაცია მაქვს მხედველობაში), დანგრეული ქვეყანა რომ ჩამაბარა, მაშინ ჩვენი ბიუჯეტი მსოფლიო ბანკის ექსპერტის თვიურ ხელფასზე ნაკლები იყო. ახლა? ახლა სულ ოდნავ ჩამოვრჩებით "მანჩესტერ იუნაიტედს"! "მანჩესტერი" კი, მოგეხსენებათ, რა როლს თამაშობს საერთაშორისო დონეზე. ეხლა ბოლნისში რომ იმუშავეს ბიჭებმა, როგორც იქნა ყველამ გაიგო - საქართველოში არა მარტო მეცნიერება ჰყვავის, არამედ პირველი ევროპელებიც ჩვენ რომ ვართ. კი, სულ ამას გავიძახოდი - ინტეგრაცია, ევროპული სახლი, გლობალიზაციათქო, მაგრამ ვინ დაგიჯერა?! მე არ ვიყავი მთელ სქართველოში თურქულ საქონელს დასავლეთევროპული ფასები რომ დავადე და ხალხს ეთიოპური ხელფასები რომ დავუნიშნე?! მეტი ინტეგრაცია გაგიგიათ?! სოფლის მეურნეობა არ გვივარგაო, სოფელმა ძალა დაკარგაო - ოპოზიციაა და იტყვის, აბა რას იზამს! მთელი თბილისი სოფლად ვაქციე და მეტი რა ვქნა?! გაიარეთ რუსთაველზე, ქალაქის ცენტრალურ უბნებში - რა კუთხის დიალექტია, იქ რომ არ გაიგოთ. ყველა რაიონი ერთნაირად ხომ არ იქნება აყვავებული - ზოგი მეტად აყვავდება და ზოგი უფრო მეტად! ავიღოთ აჭარა: იქ რაც ხდება, არც მეტი არც ნაკლები, ქართული კულტურის რენესანსია. ახლა, კი, ეშლება ხანდახან ასლანს რაღაცეები, მაგრამ ჩემი არ იყოს, მაგასაც არ აკლია სანერვიულოები. ხომ ჩამოიყვანა ზემფირა და რუსეთის სხვა ორკესტრები ამ ზაფხულს! ხომ მოვაბრუნეთ ხალხი თბილისში წიგნისკენ! მარტო ერთ დღეს იმდენი "ჰარი პოტერი" გავყიდეთ, ცხონებულ რუსთაველს არ დაესიზმრებოდა! მუსიკისადმი ინტერესი ისეთ არნახულ დონეზე ავიდა, რომ მსმენელი უკვე ხმისჩამწერ სტუდიებს აყაჩაღებს სასურველი ჩანაწერების მოსაპოვებლად! თეატრები ხომ ცალკე თემაა: გაგიათ სხვაგან სადმე თეატრი შენობაში, თეატრი სახლში, თეატრი სარდაფში, თეატრი ლოჯში, თეატრი თეატრში და თეატრი ჯიბეში?! რა უნდაო თეატრს ჯიბეში, მეტყვის მიშიკო აქ რომ იყვეს, მაგრამ აქ არაა, დარბის აღმა-დაღმა ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით და ტვინს ურევს პატიოსან გადასახადის გადამხდელს. ახალგაზრდაა ჯერ, ჯიბის ბილიარდის ასაკი აქვს და იმიტომ მოსდის ეს შეცდომები. ახლა ზოგიერთი იმასაც ჩამჩიჩინებს, ლტოლვილები უყურადღებოდ ჰყავსო. კაცო, საუკეთესო სასტუმროები დავუთმე ქალაქის ცენტრში, მრავალსართულიანი და ყველაფერი საუკეთესო. ღმერთმა ნუ ქნას და მაქვს კიდევ რეზერვი - "შერატონი" და "მერიოტი". ბოლოს და ბოლოს ლენინის მოედანზე ვაშენებ კიდევ და ისეთი დონის იქნება, ბასკი ლტოლვილების მიღება არ მოგერიდება. ასეა ეს ყველაფერი, თუმცა ამ ბავშვებს არაფრის დანახვა არ უნდათ. მაგრამ, რა მიკვირს, იცით, ჩემი რეზო, თემო, სულხანი და სხვები თუ ხედავენ, დანარჩენები რამ დააბრმავა?!

თანამედროვე ქრისტიანული ხელოვნება ლუთერის ქალაქში

ვიტენბერგი რეფორმაციის აკვანია. აქ, ლუთერის სახლში, დიდი რეფორმატორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა, აქ სტუდენტები მარტინ ლუთერის ლექციებს ისმენდნენ. ლუთერის ოთახში "სუფრასთან საუბრები" იმართებოდა და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ლუთერი აქაურ ეკლესიაში ქადაგებდა და 1517 წლის 31 ოქტომბერს სწორედ აქ ჩამოაყალიბა ბიბლიის გენიალურმა მთარგმნელმა თავის 95 თეზისი. აქ დაიწყო რეფორმატორთა მოძრაობა, რომელიც ეკლესიის რეფორმით არ შემოფარგლულა.

კვირას, საქსენ-ანჰალტში, ვიტენბერგში, ძველი რატუშის შენობაში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოფენა გაიხსნა: "ქრისტიანული ხელოვნება XX საუკუნეში". დარბაზებში მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი დიდი მხატვრების ნამუშევრებია გამოფენილი: მარკ შაგალის, მაქს ბეკმანის, ოტო დიქსის, რობერტ რაუშენბერგისა და სხვათა ნახატები.

"ამ გამოფენით ჩვენი ქალაქი შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობაში შეაბიჯებს," განაცხადა ქალაქის მერმა, ეკჰარდ ნაუმანმა. თავის გამოსვლაში მან საგანგებოდ აღნიშნა ის, რაც მარტინ ლუთერის მშობლიურ ქალაქში ისედაც ყველამ იცის და ისედაც საყოველთაო სიამაყის საგანია: 1966 წელს ძველი ქალაქი UNESCO-ს მსოფლიო კულტურული

ვიტენბერგის ტაძარი

მემკვიდრეობის სიაში იქნა შეტანილი და ღია ცის ქვეშ მუზეუმად გამოცხადდა. ნაუმანმა ქალაქს საუცხოო რეკლამა გაუწია: "ქრისტიანი ტურისტისთვის ჩვენი ქალაქი ფასდაუდებელი ადგილია. რელიგიური თვალსაზრისით, ვიტენბერგი გერმანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი გახლავთ".

ამ გამოფენას ვიტენბერგი მეწარმე ულრიხ შოიფელერს და მის მეუღლეს, გიზელა მაისტერ-შოიფელერს უმადლის. გამოფენის მოსაწყობად ცოლ-ქმარმა საგანგებო ფონდი შექმნა. "გვინდოდა, მოკრძალებული წვლილი ჩვენც შეგვეტანა ვიტენბერგის განვითარების საქმეში," წერს შოიფელერი გამოფენის კატალოგის წინასიტყვაობაში.

ექსპოზიცია სახელმოხვეჭილი ექსპრესიონისტების მიერ ქრისტიანულ თემაზე შექმნილ გრაფიკულ ჩანახატებსაც შეიცავს. მათ შორისაა შაგალის "ბიბლია", პეხშტაინის "მამაო ჩვენო", ემილ ნოლდერის "წინასწარმეტყველი".

სანამ ლუთერის ქალაქში ჩამოაღწევდა, "ქრისტიანულმა ხელოვნებამ" სხვა გალერეები და საერთაშორისო გამოფენებიც მოიარა, მათ შორის საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიტენბერგში კი ექსპოზიციას ახალი ნამუშევრები დაემატა – სალვადორ დალის, პაბლო პიკასოსა და ოტო დიქსის ნახატები.

"მის ევროპა-2002" ოცი წლის გახდა

სვეტლანა კოროლიოვა 20 წლის გახდა. პეტროზავოდსკელ გოგონას დაბადების დღეს, ალბათ, საქალაქო მეურნეობის ტექნიკუმის წყალმომარაგებისა და წყალსადინრების ფაკულტეტის სტუდენტები, მისი თანაკურსელები მიულოცავდნენ, რომ არა დიდი ამბავი, სულ ცოტა ხნის წინათ რომ გადახდა თავს: 2002 წლის 28 დეკემბრის საღამოს, ბეირუთში, ის ევროპის ყველაზე ლამაზ ქალად აღიარეს, თუმცა წამყვანმა ვერაფრით მოახერხა მისი მშობლიური ქალაქის სახელწოდების წარმოთქმა...

როცა სვეტამ კონკურს "მის პეტროზავოდსკში" მონაწილეობა გადაწყვიტა, დედამისი სასტიკი წინააღმდეგი იყო: იმ წელს "მის სოჭისთვის" ვიღაცას მჟავა შეუსხამს, და, ცხადია, შეშინდა. სვეტა კონკურსზე მაინც წავიდა და მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. ახლა ამ ამბავს მშვიდად იხსენებს, მაშინ კი, თურმე, ძალიან უბედურად გრძნობდა თავს: "გამწარებული საპარიკმახეროში წავედი და გრძელი თმა შევიჭერი. მამამ კინაღამ მომკლა..."

მიუხედავად ამისა, სვეტას ფარხმალი არ დაუყრია და "მის რუსეთისთვის" დაიწყო მზადება: "ასეთი ვარ. თუ რამე მოვინდომე, აუცილებლად მივაღწევ ხოლმე."

თავიდან სვეტა ძალიან ღელავდა, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდა, რომ არც ისე ცუდად იყო საქმე: "აღმოვაჩინე, რომ მოსკოვში ყველა გოგო ერთნაირია. ყველა ცდილობს ერთნაირი გახდეს. რა სისულელეა?! მე ეს არ მომეწონა." საერთოდ, კარელიელი ლამაზმანი, ერთობ, ყოჩაღი ქალია და მარცხებსაც არ ეპუება: "ფინალისტების ათეულში როცა მოვხვდი, ძალიან ცუდი კაბა მომცეს, სულ უბრალო, შავი კაბა, დიდი-დიდი, სამკაულის ფონად ევარგა. შავი აზღუდი არ მქონდა და "მის უკრაინამ" მათხოვა. მერე მწვანე კაბა უნდა მცმოდა, მე კიდევ, წითელი მეცვა, იმიტომ რომ მწვანე გამეხა. კაბა "მის გერმანიასაც" გაეხა და ის ქალი კონკურსზე საერთოდ აღარ გამოვიდა. რაღაცნაირი სუსტები არიან."

აი, ასეთი ამბების შემდეგ, სვეტლანა კოროლიოვა "მის ევროპა-2002" გახდა – რატომაც არა? და წელს დაბადების დღეს უკვე სულ სხვა ხალხი ულოცავდა: მოსკოვის არტ-კლუბ "ნოსტალჟიში" მდიდარმა და წარმატებულმა საზოგადოებამ და უამრავმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი.

სანამ სპონსორები Happy Birthday-ს მღეროდნენ, სტუმრები გულდასმით ათვალიერებდნენ სვეტას. მისმა ჩაცმულობამ თავიდან იმედის გაცრუება გამოიწვია: მეტის-მეტად სტანდარტული იყო, არადა, ხალხს დაპირდნენ, რომ დედოფლის კაბა იქ მყოფთა ყველა სამოსზე ძვირფასი იქნებოდა...

მოგვიანებით გაირკვა, რომ შეკრებილთათვის "თვალის დაყენება" ფინალისთვის იყო დაგეგმილი. ქლიავისფერი, ღრმად დეკოლტირებული საქორწილო კაბა, რომელიც მანამდე პარიზის მაღალი მოდის კვირეულში მონაწილეობდა, მოსკოვში კონკურს "მის ევროპას" ორგანიზატორმა და ძვირფასი ტანსაცმლის ფირმის, Bruno Banani-ს მფლობელმა, ენტონი ბორჯიამ ჩამოაბრძანა.

კაბა, ისევე, როგორც დედოფლის გვირგვინი, მარგალიტებით და ბრილიანტებით იყო მოოჭვილი. მაგრამ ყველაზე ძვირფასი პატიოსანი თვალი სვეტას მკერდს უმშვენებდა. ეს უზარმაზარი ტოპაზი, როგორც ბნმა ენტონიმ ბრძანა, ამქვეყნად ერთადერთია და განუმეორებელი.

ბატონი ენტონი თარჯიმნის დახმარებით დიდხანს უყვებოდა მდიდარ რუსებს, რა ლამაზი ქალები ჰყავთ, რომ სწორედ ქალები არიან რუსეთის მთავარი დოვლათი – ელეგანტური, ტაქტიანი და გულითადი ქალები. "კარელიის არყის ხე", სვეტა კი ბ-ნ ენტონისთვის დათოვლილი, ზღაპრული და იდუმალი რუსეთის სიმბოლო ყოფილა.

დღესასწაული დასრულების შემდეგ სვეტამ, კვლავ ჩვეულებრივი კაბა ჩაიცვა, და ჟურნალისტებმა, ცხადია, უმალვე "კონკია" შეარქვეს.

პირველი გამარჯვება - მის რუსეთი 2002

კალეიდოსკოპი

შიშს დიდი თვალები აქვს

ამერიკელმა მომღერალმა, კელი ოსბორნმა, ლონდონში გამოსვლაზე უარი განაცხადა. მიზეზი ის გახლავთ, რომ მას ტერორისტების ეშინია.

ოსბორნს ბრიტანული მუსიკალური პრიზის, NME awards-ის გადაცემაზე უნდა ემღერა. ორგანიზატორების მოხსენების თანახმად, მან გამოსვლის წინა დღეს გადაწყვიტა, რომ ამერიკიდან დიდ ბრიტანეთში გადაფრენა დიდ საფრთხესთან იქნებოდა დაკავშირებული. ეს აზრი მას მშობლებმა, როკ-მომღერალმა ოზი ოსბორნმა და ქალბატონმა შარონმაც მოახვიეს თავს. "შარონი და ოზი ძალიან ზრუნავენ შვილების უსაფრთხოებაზე და არ უნდათ, რომ ასეთ არეულ ვითარებაში იქით-აქეთ იფრინონ," -განმარტა კელი ოსბორნის ლონდონელმა წარმომადგენელმა.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებმა ამ ქვეყნებს შორის მოძრაობის უსაფრთხოებისათვის დამატებითი ღონისძიებები მიიღეს – შიშობენ, რომ "ალ-ქაიდა" და, ალბათ, თავად ბინ ლადენი დასცხებთ. ლონდონის აეროპორტებში დამატებითი დაცვა ჩააყენეს – რამდენიმე ასეული ჯარისკაცი. შესაძლოა, სწორედ ამის შემყურე "გაფუჭდა" კელი ოსბორნი.

Echo-Preis ვარსკვლავებისთვის

ბერლინის საერთაშორისო კონგრესის ცენტრში ჰერბერტ გრიონემაიერმა, რობი ვილიამსმა და ნენამ საუკეთესო ჩანაწერებისთვის გერმანიის ფონო-აკადემიის Echo-Preis მიიღეს.

გრიონემაიერი საუკეთესო როკ და პოპ-მუსიკოსადაა მიჩნეული, რობი ვილიამსი – საერთაშორისო პოპ-შემსრულებლად. ნენას საუკეთესო მომღერალი ქალის წოდება მიენიჭა.

დაჯილდოებულთა შორის არიან ასევე შაკირა, Die Toten Hosen, Wonderwall, Red Hot Chili Peppers და ესპანური ჯგუფი Las Ketchup.

სუსტი ძლიერი სქესი

წელს, უკვე მეოთხედ, 15 და 16 იანვარს ვენის მერიას მამაკაცთა ჯანმრთელობის ცენტრის მისია დაეკისრა. ისევე, როგორც გასულ წლებში, Men's World 2003 მამაკაცების ჯანმრთელობას, ფიზიკურ მომზადებას და კარგად ყოფნას ეძღვნება.

ყოველ სტუმარს შეუძლია იქვე, უფასოდ გაარკვიოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა: გული ან სისხლძარღვები ხომ არ ღალატობს, პოტენციას ხომ არ უჩივის, ყურს ხომ არ აკლია, კბილები ხომ არ უფუჭდება...

ნიუ იორკელი „ავინიონელი გოგონები„

უკვე მესამე დღეა, რაც ნიუ იორკელებს კიდევ ერთი შესანიშნავი გამოფენის დათვალიერება შეუძლიათ: თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში პაბლო პიკასოსა და ანრი მატისის 132 ნამუშევარია გამოფენილი. გამოფენის ცენტრალური სიუჟეტი XX საუკუნის ორ უდიდეს მხატვარს შორის კონკურენციაა. ეს გამოფენა ნიუ იორკამდე ლონდონსა და პარიზში იყო გახსნილი, და იქ დიდძალი დამთვალიერებელი მიიზიდა: სტუმრების რაოდენობამ ნახევარ მილიონ ადამიანს გადააჭარბა.

მართალია, ევროპულ გამოფენებთან შედარებით ამერიკელებს ერთი აშკარა უპირატესობა აქვთ: პიკასოს მიერ 1907 წელს შექმნილი "ავინიონელი გოგონები", რომელიც ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია დაცული, უდიდესი ფასეულობის გამო არასოდეს ტოვებს "მშობლუიურ კედლებს", შესაბამისად, ამ უნიკალური ტილოს ნახვას მხოლოდ ნიუ იორკში ჩაბრძანების შემთხვევაში შევძლებთ.

ისე, მუზეუმი ნამდვილად საოცარი საგანძურის მფლობელია: "ავინიონელი გოგონები" თანამედროვე ხელოვნებაში ახალი ეპოქის დადგომის მაუწყებელი იყო. თავად პიკასო ამბობდა, რომ "ავინიონელმა გოგონებმა" "მთელ წინამორბედ კულტურას გადაუსვა ხაზი".

საერთოდ, იმის ფონზე, რომ ხელოვნების ნიმუშებს, ლამის, ყოველთვიურად და თან ძალიან თავხედურად იპარავენ, ექსპონატების მიმართ ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება სულაც არაა გასაკვირი. მაგალითად, სულ რამდენიმე დღის წინათ, მადრიდში გამართულ საერთაშორისო ხელოვნების ბაზრობაზე, პაბლო პიკასოს მიერ მოხატული თეფში მოიპარეს. წელს მადრიდის ერთკვირიან ბაზრობაში 30 ქვეყნიდან ჩამოსული 270 გალერეა იღებდა მონაწილეობას.

ამ ბაზრობის, ARCO-ს დირექტორის, როზინა გომეზ-მეცის სიტყვით, ეს მოზრდილი კერამიკული თეფში პიკასომ 1949 წელს მოხატა. ხარების ბრძოლის სურათით დამშვენებული თეფში ბონის პუდელკოს გალერეის საკუთრებაა და 11.500 ევროდ იყო შეფასებული. ARCO-ს ორგანიზატორები იფიცებიან, ბაზრობის ისტორიაში ეს პირველი ქურდობის შემთხვევააო. ასე თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: გახსნიდან ორი საათის შემდეგ პიკასოს თეფში გამქრალი იყო...

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ პრივატთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკის სკოლა (უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ინსტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2003 წლის 3 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950
განაცხადების მიღება 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 750$ (£ 6750 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 600$-ად (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნინო მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროპრისტალურ დერმაბრაზიას "Aesthipeel"

MATTIOLI ENGINEERING

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ECMA"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფილიალის: 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

ოფისის ფართობის გაქირავება ფასის საფასურის და ფასის ფასის ფასის ფასის

ვაჟა-ფშაველის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის

- ელექტრონიზე ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის ფასის